PDF Eraser Free

სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნინო ვასაძე
წევრები: ნიკა ჯიაძე
ალექსანდრე კეკენაძე
თამარ ახალაძე
ნინო მოწყობილი
გიორგი ხაბეიშვილი
მამუკა ხოშტარია
მაგული მებონია
ნატალია ბარათელი
დავით კუპატაძე
მაკო ჯაოშვილი
ნინო ბოკუჩავა

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი: 246954620
სახე:



PDF Eraser Free

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

—

თავმჯდომარე:		ნინო ვასაძე
წევრები:		ნიკა ჯიაძე
		ალექსანდრე კვანტაძე
		თამარ ანანიაძე
		ნინო მოწყობილი
		გიორგი ნაბეიშვილი
		მამუკა ხომტარია
		მაგული მეპონია
		ნატალია ბარათელი
		მაკო ჯაოშვილი
		ნინო ბოკუჩავა
		დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 10 აპრილის #369578 ბრძანების (ცვლილება ბრძანებაში #373511, 01.02.22; N445380-04.05.22) საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით: თავმჯდომარე - ნინო ვასაძე, ჯგუფის შემადგენლობა: პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი ნიკა ჯიაძე, თამარ ახალაძე, ნინო მოწყობილი, მამუკა ხოშტარია, გიორგი ხაბეიშვილი(ვიზიტში ჩართვა განახორციელა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით), მაგული მებონია, ნატალია ბარათელი, დავით კუპატაძე, მაკო ჯაოშვილი, ნინო ბუკუჩავა, ალექსანდრე კეკენაძე - დაევალა ვიზიტი სსიპ კოლეჯ ახალ ტალღაში, დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით (მის: ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა N154). ა/წ 2 და 3 მაისს ჯგუფის თავმჯდომარის და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის მიერ შემოწმდა ინსტიტუციური სტანდარტები, ხოლო 4,5,6 მაისს დარგის ექსპერტებთან ერთად მოხდა 12 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება. მათ შორის შემოწმდა: მეფუტკრეობის, სასტუმრო მომსახურების, ხის მხატვრული დამუშავების, სატყეო საქმის, ელექტროობის, საოფისე საქმის, ჰაერის კონდიცირების, ღონისძიებების ორგანიზების, თმის სტილისტის, ინფორმაციის ტექნოლოგიის, ვებტექნოლოგიების და კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. ვიზიტის განხორციელებამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია: საგანმანათლებლო პროგრამა, სამართლებრივი დოკუმენტაცია, რომლითაც რეგულირდება კოლეჯის საქმიანობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შემდეგ დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი დაწესებულებასთან. ვიზიტის დროს გავესაუბრეთ კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, ხარისხის მართვის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლებს, ბიბლიოთეკარს, პროგრამის ხელმძღვანელებს, პედაგოგებს, მათ შორის ინტეგრირებული მოდულის განმახორციელებელ პირებს. დავათვალიერეთ მატერიალური რესურსი-A გარემო, B-C გარემო,ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცე და წიგნადი ფონდი, რაც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. შესაბამისობის შემოწმების მიზნებისთვის, ,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა



PDF Eraser Free
შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის" მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ვიზიტის მიმდინარეობისას დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა დაწესებულებიდან, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მიერ.ვიზიტისას გადამოწმდა მომზადება-გადამზადების პროგრამების განხორციელების პროცესი. ამ ეტაპზე დაწესებულებას შემუშავებული აქვს 22 პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამა, რომელსაც წარმატებით ახორციელებს.

ექსპერტთა მიერ დასკვნის პროექტის წარდგენის შემდგომ, კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის მოვალეობის შესმსრულებლის 2022 წლის 18 ივლისის #815392 წერილით დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტთან დაკავშირებით, მათ შორის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2022 წლის 18 ივლისის #01-04/137 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა. აღნიშნული გეგმა გაწერილია 6 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობებს, განხორციელების პერიოდს, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ 6 თვის ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. შესაბამისად, შეიცვალა ექსპერტთა საბოლოო შეფასება.

თავმჯდომარე:		ნინო ვასაძე
წევრები:		ნიკა ჯიაძე
		ალექსანდრე კეკენაძე
		თამარ ანალაძე
		ნინო მოწყობილი
		გიორგი ნაბეთვილი
		მამუკა ხომტარია
		მაგული მეპონია
		ნატალია ბარათელი
		მაკო ჯაფოშვილი
		ნინო ბოკუჩავა
		დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

III. აკრედიტაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
1.1) პსდ-ს მისია	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
4) ადამიანური რესურსები	☐	☒	☐	☐
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
4.2) პერსონალის განვითარება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5.2) საინფორმაციო რესურსები	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5.3) ფინანსური რესურსები	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯიაძე

ალექსანდრე კეკენაძე

თამარ ანალაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაფარიძე

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

დაწესებულება აქტიურად არის ჩართული როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო პროექტების განხორციელებაში. ერთ-ერთი ასეთი პროექტი, რომელიც განხორციელდა ახალ ტალღაში იყო USAID-ის მიერ დაფინანსებული პროგრამა, რომელიც განხორციელდა "ქემონიქს ინტერნეიშენელის" საქართველოში. პროექტის მიზანი იყო ადგილობრივი სუბიექტების კვალიფიკაციის, პროდუქტიულობის და ბიზნეს კავშირების გაძლიერება მოწყვლადი ოჯახებიდან მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებამდე.
გარდა ამისა, კოლეჯის პარტნიორი ესტონეთის ქალაქ ვალგას სახელმწიფო პროფესიული სასწავლო ცენტრის მოწვევის საფუძველზე სსიპ კოლეჯის "ახალი ტალღა" კულინარიის ხელოვნების სტუდენტები და პროფესიული მასწავლებლები იმყოფებოდნენ ვიზიტით ზემოთ აღნიშნულ სასწავლებელში, სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის მიღების მიზნით, ასევე ქართულმა დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ქალაქ პიარნუში გამართულ გრილ ფესტივალზე, სადაც დაჯილდოვდნენ ნომინაციაში"ქართული კულინარიის წარდგენა".
სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები ხორციელდება ორივე მხრიდან. ქართული მხარე მასპინძლობს კულინარიის, ავტომობილის სერვისის, ლოგისტიკის პროგრამის სტუდენტებს.

V. არსებობის შემთხვევაში, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

რეკომენდაციები არ ყოფილა გაცემული.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

დაწესებულებამ გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული განვითარების გეგმა, ასევე მტკიცებულებები ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ. შესაბამისად, ამ ეტაპისთვის ხარვეზი არ ფიქსირდება.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

თავმჯდომარე:		ნინო ვასაძე
წევრები:		ნიკა ჯიაძე
		ალექსანდრე კეკენაძე
		თამარ ანანიაძე
		ნინო მოწყობილი
		გიორგი ნაბეიშვილი
		მამუკა ხომტარია
		მაგული მებონია
		ნატალია ბარათელი
		მაკო ჯაფარიძე
		ნინო ბოკუჩავა
		დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

შესაბამისობის რეკომენდაციები

4.1.1.1. *დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს სტრუქტურული ერთეულების დებულებების შემუშავება და „ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტისა“ და დაწესებულების სტრუქტურის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა.*

5.1.2.1. *დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს უსაფრთხოების ნორმების შესრულებისთვის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის რეკომენდაციების შესრულება.*

2.2.1.1. *დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არჩევითი მოდულის „ვებგვერდისთვის პოტომასალის შექმნა“ განხორციელებისთვის საჭირო რესურსების შეძენა-განთავსება (ფოტოაპარატი, ფონების ნაკრები ფოტოსტუდიისთვის, განათების ნაკრები ფოტოსტუდიისთვის, და შტატივები).*

2.2.1.1. *დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს „ჰაერის კონდიცირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის C გარემოს მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა - სასწავლო ფართი არანაკლებ 3 მ2-ისა ერთ სტუდენტზე, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისად 15 პროფესიულ სტუდენტისთვის, ორ ცვლაში 30 პროფესიული სტუდენტისთვის.*

განმავითარებელი რეკომენდაციები

4.1.1.2. სასურველია დაწესებულებამ დააზუსტოს პრაქტიკულად განსახორციელებელი საქმიანობის ნათლად ასახვის თვალსაზრისით ხარისხის მართვის მენეჯერისა და ხარისხის მართვის სპეციალისტის, ქსელის ადმინისტრატორისა და კომპიუტერული ქსელის სპეციალისტის, აგრეთვე სასწავლო პროცესის მენეჯერისა და სასწავლო პროცესის სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები, ხოლო ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობებში განსაზღვროს ვერიფიკაციის განხორციელებისა და ანგარიშგების მოვალეობები. ასევე უნდა შეავსოს დამხმარე პოზიციებისთვის ფუნქცია-მოვალეობები.

4.2.1.1. რეკომენდირებულია დაიხვეწოს დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტი „პერსონალის შეფასების წესი და საჭიროებათა კვლევის კითხვარი“ , რათა სწორად განხორციელდეს პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა. ასევე აღნიშნული

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯიაძე
ალექსანდრე კეკენაძე
თამარ ანალაძე
ნინო მოწყობილი
გიორგი ხაბეიშვილი
მამუკა ხომტარია
მაგული მეპონია
ნატალია ბარათელი
მაკო ჯაფოშვილი
ნინო ბოკუჩავა
დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

დოკუმენტი შესაბამისობაში იქნას მოყვანილი დაწესებულების „ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება პოლიტიკის დოკუმენტთან“.

5.1.2.4. ექსპერტთა რეკომენდაციაა, განსაზღვროს პასუხისმგებელი პირი ვიდეოსათვალთვალო კამერებზე როგორც ტექნიკურ, ასევე პროგრამულ ნაწილში.

2.1.1.5. ექსპერტთა რეკომენდაციაა, მეფუტკრეობის სასწავლო გეგმაში-პროგრამის მონაცემების დოკუმენტის მე-9 პუნქტში ჩანაწერი „შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევითი სტატუსის მოდულებს“ ჩასწორდეს, რადგან პროგრამა მოიცავს არჩევით მოდულს მეწარმეობა 1-ს.

2.2.1.1-ექსპერტთა რეკომენდაციაა, მეფუტკრეობის C გარემოში ინვენტარი და აღჭურვილობა განთავსებული იყოს შესაბამის ადგილზე, დაცული იყოს ჰიგიენის ნორმები და სტუდენტისათვის სასიამოვნო სასწავლო გარემო იყოს შექმნილი.

2.4.1.6-ექსპერტთა რეკომენდაციაა, შრომის უსაფრთხოების წესში ჩაემატოს ჩანაწერი ფუტკრის დაკბენის შემთხვევაში, ალარგიული რეაქციების განვითარების თავიდან ასაცილებლად საჭირო ღონისძიებების შესახებ და განხორციელებდეს ინსტრუქტაჟი პროფესიულ სტუდენტებთან ამ საკითხთან დაკავშირებით.

2.2.1.1- ექსპერტთა მიერ გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციაა,ვებტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამისთვის განახლდეს კომპიუტერული ტექნიკა და შესაბამისობაში იქნას მოყვანილი ვებტექნოლოგიების ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული სარეკომენდაციო მოთხოვნებთან.

2.2.1.2-რეკომენდირებულია ღონისძიებების ორგანიზების საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩაერთოს დამატებითი ადამიანური რესურსი პრაქტიკის ობიექტიდან, რომელიც არის აღნიშული კოლეჯის კურსდამთავრებული, აქვს სასტუმრო ბიზნესში სხვადასხვა პოზიციებზე მუშაობის 9 წლიანი გამოცდილება და ამჟამად ხელმძღვანელობს F & B დეპარტამენტს და ღონისძიებების ორგანიზებას. შესაბამისად, მისი პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება სასარგებლო იქნება სტუდენტებისთვის.

2.2.1.1. რეკომედირებულია, „ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის დაწესებულებას ადგილზეც ჰქონდეს პრაქტიკული მოდულების განხორციელების



PDF Eraser Free

შესაძლებლობა. ამისათვის ყველა ჩარხი აღიჭურვოს იმ დამცავი საშუალებებით, რომელიც მას ქარხანა დამამზადებელმა დამზადების დროს გაუკეთა, ყველა ჩარხსა და დანადგარს გაუკეთდეს დამიწება კვალიფიცირებული მუშაკის მიერ. ყველა ჩარხთან განთავსდეს ორი ტიპის ფირნიში: ერთი თუ რა საფრთხეებს შეიცავს ამ ჩარხზე მუშაობა და მეორე რა დამცავი საშუალებები უნდა გამოიყენოს სტუდენტმა. ასევე მოეწყოს შტეპსელები პატარა ჩარხებისთვის. მოწესრიგდეს აღნიშნული გარემოები და ჩაუტარდეს კოსმეტიკური რემონტი.

2.2.1.2-ხის მხატვრული დამუშავების საგანმანათლებლო პროგრამისთვის რეკომენდირებულია, პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირთა დამატებით მოძიება და ხელშეკრულების გაფორმება, პროგრამის უფრო მეტად მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

2.2.1.1-რეკომენდირებულია გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი 2021 წლის 22 ნოემბრის დადებული # 01-42/52 ხელშეკრულებაში, რომ პრაქტიკის ობიექტი მზად არის მიიღოს 15 პროფესიული სტუდენტი, ორ ცვლაში30 პროფესიული სტუდენტი „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

2.1.1.3-ექსპერტთა რეკომენდაციაა, გადაიხედოს და გასწორდეს „სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთება“ (ჩანაწერი - „ჰაერის კონდიცირება“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ A - გარემო და C - გარემო) და თვითშეფასების ანგარიში (ჩანაწერი პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია A/C სასწავლო გარემო), რადგან პროგრამა ითვალისწინებს B - გარემოსაც - მოდულის „ინფორმაციული წიგნიერება 1“ განხორციელებისათვის. ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებაშიც გათვალისწინებულ იქნეს B - გარემო.

2.4.1.6- რეკომენდირებულია ჰაერის კონდიცირების C გარემოში გამოიკრას ამკრძალავი და გამაფრთხილებელი პლაკატები C გარემოში.

VIII. სტანდარტების შეფასება

თავმჯდომარე:		ნინო ვასაძე
წევრები:		ნიკა ჯიაძე
		ალექსანდრე კეკენაძე
		თამარ ანანიაძე
		ნინო მოწყობილი
		გიორგი ხაბეიშვილი
		მამუკა ხომერიკი
		მაგული მეშონია
		ნატალია ბარათელი
		მაკო ჯაფარიძე
		ნინო ბოკუჩავა
		დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. "სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ მისიაა პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებით და თავსებადობით, მრავალპროფილური პროფესიული განათლებით წვლილი შეტანა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მიწოდებით. სოციალური ინკლუზიით, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარებით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობით საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდის უზრუნველყოფა. სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ მისია წინააღმდეგობაში არ მოდის პროფესიული განათლების მიზნებთან და თავის მხრივ ორიენტირებულია პროფესიული განათლების ხუთივე მიზანზე. **შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.**

2. დაწესებულების მისიით გაცხადებულია, რომ იგი მრავალპროფილურია, ორიენტირებულია საერთაშორისო ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მიწოდებაზე. პსდ-ს მისიით თვალსაჩინო ხდება, რომ დაწესებულება ოპერირებს პროფესიული განათლების მიმართულებით. მისი შინაარსი მამოტივირებელია და მიმართულია საზოგადოებრივი კეთილდღეობის ხელშეწყობაზე. **ექსპერტთა შეფასებით, სტანდარტის შესაბამისი ინდიკატორი დაკმაყოფილებულია და დაწესებულების მისია იმგვარად არის ფორმულირებული, რომ განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან.**



PDF Eraser Free

3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს მისიის შესაბამისი ხედვა და ღირებულებები. დაწესებულების ხედვაა მისი კურსდამთავრებულები კონკურენტუნარიანები იყვნენ საერთაშორისო ბაზარზე და ორიენტირებულია საერთაშორისო კავშირების დამყარებასა და თანამშრომლობაზე. დაწესებულების ღირებულებებში გაცხადებულია ის ძირითადი პრინციპები, რითაც დაწესებულება გეგმავს ფუნქციონირებას. მოცემულ შემთხვევაში გუნდურობა და ინოვაციურობა მიაჩნიათ წარმატების მიღწევის გარანტად. **ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები.**

4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების წესი“(2020 წლის 21 დეკემბრის #01-04/217 ბრძანება; ცვლილება #01-04/118 2021 წლის 3 აგვისტო). ზემოთმოხსენიებულ დოკუმენტში გაწერილია მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების და გაზიარების წესი. კოლეჯის დირექტორი ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომელიც მონაწილეობას იღებს მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში. დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია პროფესიული დაწესებულების ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ასევე განთავსებულია კოლეჯის პირველ კორპუსში თვალსაჩინო ადგილას დიდ ბანერზე, ხოლო სხვადასხვა კორპუსში მცირე ბანერებზეა დატანილი. დაწესებულებამ წარმოადგინა შეხვედრების ანგარიშები და ფოტომასალა , რითაც დასტურდება, რომ კოლეჯმა მიაწოდა დაინტერესებულ მხარეებს ინფორმაცია მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ. აღნიშნული დაადასტურა კოლეჯის სტუდენტებთან ინტერვიუმაც. გავესაუბრეთ 9 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს, რომლებმაც დაადასტურეს როგორც გაცნობის ფაქტი, ასევე შინაარსობრივადაც ჰქონდათ ინფორმაცია. **ექსპერტთა შეფასებით, მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ <u>კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები</u>
- ✓ „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების წესი“(2020 წლის 21 დეკემბრის #01-04/217 ბრძანება; ცვლილება #01-04/118 2021 წლის 3 აგვისტო)



PDF Eraser Free

✓ ინტერვიუ
✓ ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების წესი“. მოცემული დოკუმენტით განსაზღვრულია სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტის მე-9 მუხლით დადგენილია ის მახასიათებლები, რისგანაც უნდა შედგებოდეს სტრატეგიული განვითარების გეგმა. კერძოდ, შესავალი, რომელშიც განხილული იქნება წინა სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების შედეგები, სამომავლო პერსპექტივები და ძირითადი ინფორმაცია კოლეჯის შესახებ; SWOT ანალიზის ან დაგეგმვის სხვა ტიპის სტრატეგიის მეთოდოლოგიის ანალიზის შედეგები; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. დაწესებულების მიერ დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი



PDF Eraser Free
შემუშავებულია მოცემული მეთოდოლოგიის შესაბამისად და მოიცავს თითეულ დოკუმენტს, რაც მეთოდოლოგიითაა განსაზღვრული. მონიტორინგისა და შეფასების წესში ასევე განსაზღვრულია მონიტორინგის პერიოდულობა. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხდება წელიწადში ორჯერ ივნისსა და დეკემბერში, ხოლო სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი ერთხელ, სამოქმედო გეგმის საბოლოო ანგარიშის საფუძველზე. დაწესებულებაში განსაზღვრული აქვს https://plan.kpc.ge/ პორტალის ამოქმედება უახლოეს პერიოდში, რომელსაც გამოიყენებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგისთვის. მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია სტრატეგიული გეგმის შემუშავების, გაზიარების, მასში ცვლილებების შეტანის და მონიტორინგის პროცედურები. ზემოთ მოხსენიებული წესის მე-6 მუხლის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დაწყების წინ დირექტორი ქმნის სამუშაო ჯგუფს და ბრძანებით ამტკიცებს მას. ამავე მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრულია, რომ სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე. ის პასუხისმგებელია კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაოების პროცესის წარმართვაზე, ახორციელებს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის კოორდინაციას, უზრუნველყოფს კოლეჯის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კომუნიკაციას, მათ წვდომას ყველა საჭირო ინფორმაციაზე. მე-11 მუხლის თანახმად იგივე სამუშაო ჯგუფი უწევს მონიტორინგს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულებას, აქვე ექსპერტთა მიერ გადამოწმდა დირექტორის მოადგილის სამუშაო აღწერილობა, რითაც დასტურდება, რომ დირექტორის მოადგილის მოვალეობას წარმოადგენს სტრატეგიული დაგეგმარების და მონიტორინგის პროცესში მონაწილეობა. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს განსაზღვრული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.**

2. დაგეგმვის მეთოდოლოგიის მე-8 მუხლით განსაზღვრულია დაგეგმვის პროცესში რეგიონალური, ეროვნული და ადგილობრივი სტრატეგიების გათვალისწინება, მათ შორის დარგობრივი სტრატეგიების გათვალისწინება. ასევე სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების, საერთაშორისო სტანდარტების, საქართველოს საკანონმდებლო და შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნების მხედველობაში მიღება. ამავე წესის მერვე მუხლის მე-3 პუნქტის ე ქვეპუნქტით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული განვითარების ერთწლიან სამოქმედო გეგმებს კოლეჯის დირექტორი შესათანხმებლად წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს. ვიზიტისას დაწესებულებამ წარმოადგინა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმები, რომლითაც დასტურდება სამეთვალყურეო საბჭოს ჩართულობა სტრატეგიული გეგმის ჩამოყალიბების პროცესში. კოლეჯმა წარმოადგინა ასევე შრომის ბაზრის კვლევის ანალიზი, რომლითაც ადასტურებს სხვადასხვა პროგრამების



PDF Eraser Free
განხორციელების საჭიროებას. ასევე წარმოდგენილ იქნა სხვადასხვა ორგამიზაციებთან მიწერილობის დამადასტურებელი ელექტრონული წერილები. **ექსპერტთა შეფასებით, სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.**

3. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 29 იანვრის # 01-04/13 ბრძანებით დამტკიცებული 2019-2025 წლების სტრატეგიული გავითარების გეგმა მოიცავს ხუთ სტრატეგიულ მიზანს: მათ შორის კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ინფრასტრუქტურის განვითარებას(მიზანი#3),სტუდენტური სერვისების განვითარებას(მიზანი#4), ადამიანური რესურსების განვითარებას(მიზანი#5). მოცემული სტრატეგიული მიზნის შესაბამის ამოცანები: 3.2. მიმდინარე პროგრამების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გათანამედროვება; 4.4. ახალი საერთაშორისო პროექტების, პარტნიორების/საწარმოების მოძიება/თანამშრომლობა; 5.2. პროგრამის განმახორციელებლ პირთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა განსაკუთრებით ეხმიანება კოლეჯის მისიას და ხელს უწყობს დაწესებულების ხედვაში ასახული მიზნების მიღწევას. სტრატეგიული გავითარების გეგმაში განსაზღვრულია ვადები, პასუხისმგებელი პირები და შესრულების ინდიკატორები თითეული ამოცანისთვის. სამოქმედო გეგმაში გაწერილია ის აქტივობები, რითაც უნდა მოხდეს კოკრეტული მიზნის მისაღწევის ამოცანების შესრულება და ინფორმაცია საჭირო რესურსების შესახებ. **შესაბამისად, დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.**

(დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ <u>კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები</u>
- ✓ „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების წესი“(2020 წლის 21 დეკემბრის #01-04/217 ბრძანება; ცვლილება #01-04/118 2021 წლის 3 აგვისტო)
- ✓ ინტერვიუ
- ✓ სტრატეგიული განვითარების გეგმა
- ✓ 2019, 2020, 2021, 2022 წლის ერთწლიანო სამოქმედო გეგმები

შეფასება:



PDF Eraser Free

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში სამოქმედო გეგმების მონიტორინგისთვის დაგეგმილია პლატფორმის შექმნა. ამ ეტაპზე მონიტორინგთან დაკავშირებით კოლეჯმა წარმოადგინა სხვადასხვა სამსახურის ანგარიშები, eflow-ს დოკუმენტბრუნვის ერთიან სისტემაში ატვირთული სამსახურებრივი ბარათები, რომელშიც სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოადგენენ პასუხისმგებელი პირები აქტივობების შესრულებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას. დირექტორის მოვალეობის შესრულებელთან ინტერვიუმ დაადასტურა, რომ იგი პირადად ახორციელებს მონიტორინგის პროცესს. კოლეჯის ვებგვერდზე ატვირთულია ასევე კორექტირებული სამოქმედო გეგმები, რითაც დასტურდება, რომ მონიტორინგის და შეფასების პროცესი ნამდვილად მიმდინარეობს და საჭიროების შემთხვევაში ხდება გეგმების გადახედვა და ცვლილებების შეტანა. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ მე-11 მუხლით დადგენილია მონიტორინგის განხორციელებისა და შეფასების წესი, რითაც ხელმძღვანელობს დაწესებულება პროცესის მიმდინარეობისას. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.**
2. „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ მე-11 მუხლით გაწერილია



PDF Eraser Free

მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები და პროცედურები, რომლითაც განსაზღვრულია როგორ რეაგირებს დაწესებულება შეფასების შედეგებზე-ინიცირება წარედგინება კოლეჯის დირექტორს, რომელიც შესათანხმებლად ინფორმაციას წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს. შესრულებული სამუშაოს მონიტორინგის შედეგად თანამშრომლებისთვის დაკისრებული იქნა დისციპლინარული სახდელი, რაც ასევე დასტურდება წარმოდგენილი წერილებით და eflow-ს დოკუმენტაციით. შეფასებაზე რეაგირებას ადასტურებს კორექტირებული სამოქმედო გეგმებიც. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.**

3. სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები ატვირთულია კოლეჯის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის. **ექსპერტთა შეფასებით, სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების წესი“(2020 წლის 21 დეკემბრის #01-04/217 ბრძანება; ცვლილება #01-04/118 2021 წლის 3 აგვისტო);
- ✓ ინტერვიუ;
- ✓ სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ✓ 2019, 2020, 2021, 2022 წლის ერთწლიანო სამოქმედო გეგმები;
- ✓ სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები.
- ✓ კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 28 იანვრის #80964

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



PDF Eraser Free

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. კოლეჯ „ახალ ტალღის“ დირექტორს 2020 წლის 13 ივნისის ბრძანებით N 01-04/110 დამტკიცებული აქვს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და მასში გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის, მიღებული განათლების აღიარების წესი. ეს წესი არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა მობილობას, სტატუსის აღდგენას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა შეფასების სისტემას, კოლეჯის მიერ მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების, სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების/სახელმწიფო ენაში მომზადების მოდულების და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესსა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.**



PDF Eraser Free

2. კოლეჯ „ახალ ტალღაში“ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანახმად სწავლის დაწყების მომენტიდან ხდება პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმთან დაკავშირებით. ასევე ვებ-გვერდის გაცნობის პარალელურად პროფესიული სტუდენტები/მსმენელები ეცნობიან კოლეჯის მისიას, ხედვას და ღირებულებებს, სტრატეგიული განვითარების გეგმას, სტრუქტურას, იმ პროგრამებს, რომლებსაც სთავაზობს კოლეჯი მსურველებს. დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ სტუდენტის უფლებების და ინტერესების დაცვასთან დაკავშირებით სტუდენტთა მიერ უკმაყოფილების კონკრეტული შემთხვევები არ დაფიქსირებულა. პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგების თანახმად დასტურდება, რომ ისინი იცნობენ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს, რაც დადასტურდა ვიზიტის განმავლობაში სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრებითაც. **ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.**

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის, ასევე იმის შესახებ, რომ საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ ისარგებლონ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით, თუმცა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ შეფასების შედეგების გასაჩივრების წესის გამოყენება პრაქტიკულად არ მომხდარა, თუმცა პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ნამდვილად ფლობენ ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ, რაც გაწერილია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ მე-14 მუხლში (დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 13 ივლისის №01-04/112 ბრძანებით). **ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლებენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.**

4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა; ექსპერტების მიერ მოხდა შერჩევითი პრინციპით სტუდენტსა და დაწესებულებას შორის გაფორმებული ხელშეკრულების გადამოწმება, მათ შორის არასრულწლოვან პირთანაც, სადაც ნათლადაა გაწერილი მათ უფლებები და კანონიერი ინტერესები. არასრულწლოვანებთან ხელშეკრულებები ფორმდება მათ კანონიერ წარმომადგენლებთან; ხელშეკრულებები ფორმდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის (პროცედურის) შესაბამისად; საჭიროების შემთხვევაში ხელშეკრულებებში ცვლილებები შედის რეგულაციების შესაბამისად,



PDF Eraser Free

გონივრულ ვადებში და პროცესში გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტის საუკეთესო ინტერესები. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა.**

5. კოლეჯის „სასწავლოს პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-17 მუხლის თანახმად, პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება დგება შემდეგ შემთხვევებში: ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის/ მსმენელებისთვის (სსსმ პირებისთვის); ბ) პროფესიული სტუდენტის მობილობისას (საჭიროებისამებრ); გ) სტატუს აღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის (საჭიროებისამებრ) ; დ) მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას; ე) პროფესიული სტუდენტებისთვის ფორსმაჟორული ვითარების დროს (საჭიროებისამებრ). მარეგულირებელი წესის მე-17 მუხლის მე-6 პუნქტის ა ქვეპუნქტით გაწერილია, რომ პროფესიული სტუდენტის/მსმენელის კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩართული იყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში, ხოლო არასრულწლოვანი/მხარდაჭერის მიმღები პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში შესაძლოა ჩართულ იქნას მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. დაწესებულებაში ვიზიტისას გადამოწმებულ იქნა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლის გაცნობასაც ადასტურებდნენ პროფესიული სტუდენტები ხელმოწერით. ინტერვიუს დროს ასევე დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ინდ.გეგმების დამტკიცება არ ხდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რაც დადასტურდა ასევე ინდ.გეგმების ნახვის დროსაც.

ექსპერტთა შეფასებით, პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ხელშეკრულებები



PDF Eraser Free

- ✓ პსდ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ✓ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- ✓ ადმინისტრაციასთან, პროფესიულ სტუდენტებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-19 მუხლის თანახმად, პროფესიული სტუდენტი/მსმენელი სასწავლო პროცესის მენეჯერის, სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიული განათლების მასწავლებლისგან იღებს სათანადო კონსულტაციას და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. მსგავს მხარდაჭერას პროფესიული



PDF Eraser Free

სტუდენტი/მსმენელი განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე სისტემატურად იღებს პროფესიული განათლების მასწავლებლისგან. პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ინფორმირება შეფასების შედეგების შესახებ ხორციელდება ინდივიდუალურად, კონფიდენციალურობის დაცვით. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მხრიდან წამოსული მომართვის შემთხვევაში, გათვალისწინებულია დამატებითი კონსულტაციები. კონსულტაციის ვადებს და ფორმებს ადგენს სასწავლო პროცესის მენეჯერი. აღნიშნული დასტურდება ასევე სტუდენტებთან ინტერვიუებით. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა აზრით, **პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.**

2. *„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-*19 მუხლის თანახმად, სწავლის დაწყების მომენტიდან ხდება პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ადაპტაცია სასწავლო გარემოსთან. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს აცნობს კოლეჯის სერვისებს და ინფრასტრუქტურას ინფოტურის მეშვეობით (ბიბლიოთეკა, სამზარეულო, საერთო საცხოვრებელი, რეკრეაციული ზონები და ა. შ). სასწავლო წლის პირველ დღეს კოლეჯის პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი პრეზენტაციის საშუალებით აცნობს პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს კოლეჯის ვებგვერდსა და ფეისბუქ-გვერდს. ვებგვერდის გაცნობის პარალელურად პროფესიული სტუდენტები/მსმენელები ეცნობიან კოლეჯის მისიას, ხედვას და ღირებულებებს, სტრატეგიული განვითარების გეგმას, სტრუქტურას, იმ პროგრამებს, რომლებსაც სთავაზობს კოლეჯი მსურველებს, ასევე კოლეჯში მოქმედ სხვადასხვა სერვისებს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტს, მათ უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს და „პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის წესს“. სასწავლო წლის დასაწყისში, პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს, კოლეჯის უსაფრთხოების სპეციალისტი უტარებს ზოგადი უსაფრთხოების წესების შესახებ ინსტრუქტაჟს. პროფესიულ სტუდნეტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯი ზრუნავდა მათ ადაპტაციაზე სასწავლო გარემოში. **ექსპერტთა აზრით, პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.**

3. დაწესებულება პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას; აღნიშნული საკითხის შესახებ ინფორმაცია მიღებული იქნა ვიზიტის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუს ფარგლებში, რომლებმაც დაადასტურეს რომ დაწესებულებაში არსებული კურატორების შუამავლობით დროულად იღებენ საჭირო ინფორმაციას თუ დახმარებას. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.**



PDF Eraser Free

4. კოლეჯის მარეგულირებელი წესის თანახმად, დაწესებულება უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას; ამ მიზნით კოლეჯი ყოველმხრივ ახალისებს და ხელს უწყობს საგანმანათლებლო, შემოქმედებითი, სპორტული, საქველმოქმედო, საექსკურსიო-შემეცნებითი და საზოგადოებრივად სასარგებლო სტუდენტური ინიციატივების განხორციელებას, რომელიც შეესაბამება კოლეჯის მიზნებსა და საქმიანობის სფეროს; ისინი გეგმავენ აქტივობებს, გამოყოფენ განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის - ღონისძიების მომწყობს - რომელიც ინიციატივის საფუძველზე ათანხმებს დირექტორთან ვადებს, რესურსებს და დაგეგმილ აქტივობებს. განსახორციელებელ ღონისძიებას აანონსებენ კოლეჯის ვებ-გვერდზე, ასევე სოციალურ(ფეისბუქ) გვერდზე. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ვებგვერდი, ფეისბუქგვერდი, სხვადასხვა ჩანაწერები, ანგარიშები და დოკუმენტები განხორციელებული ანდა განსახორციელებელი სტუდენტური ინიციატივების, აქტივობებისა პროექტების შესახებ, რითიც დადასტურდა ზემოაღნიშნული. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას.**

5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას. ქმნის კითხვარებს და აანალიზებს მათ, დაწესებულება სტუდენტისგან იღებს უკუკავშირს მიწოდებული სერვისების ხარისხის შესახებ და აფასებს მათ. პროფესიულ სტუდენტებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი იღებს უკუკავშირს სტუდენტებისგან, 28/05/2021 წელს კოლეჯს ჩატარებული აქვს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა. დაწესებულებამ წარმოადგინა კითხვარი, რომლითაც ახდენს სტუდენტთა გამოკითხვას. კითხვარი მოიცავს როგორც მოდულის განმახორციელებელ პირთა და სასწავლო პროცესის შეფასების შესახებ კითხვებს, ასევე კოლეჯის ადმინისტრაციული ნაწილის მუშაობის შეფასებასთან დაკავშირებით. ვიზიტისას ექსპერტთა მიერ გადამოწმდა გამოკითხვის შედეგების გაანლიზების დამადასტურებელი დოკუმენტაცია-კოლეჯის ხარისხის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათები. შესაბამისად,**ექსპერტთა შეფასებით, პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.**

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯიაძე

ალექსანდრე კეკენაძე

თამარ ანანიაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაფარიძე

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიულ სტუდენტებთან კვლევის კითხვარი და შედეგები.
2. სტუდენტური ღონისძიებებისა და ინიციატივების ამსახველი დოკუმენტაცია;
3. სსიპ-კოლეჯი "ახალი ტალღის" 2022 წლის სამოქმედო გეგმა. დამტკიცებული 7/02/2022 წლის N01-04/22 დირექტორის ბრძანებით. გამოყოფილი ბიუჯეტი „სტუდენტური სერვისებისთვის (კონფერენციები, შეჯიბრებებები, ტრენინგები, მასტერკლასები, ექსკურსიები და სხვ)"
4. პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



PDF Eraser Free

1. პსდ-ში არსებობს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამსახური, რომელიც რომელიც პასუხისმგებელია არსებულ და პოტენციურ პროფესიულ სტუდენტთა კარიერული განვითარების მხარდაჭერაზე, მათთან და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად არსებულ დამტკიცდა რომ კარიერული განვითარების მხარდაჭერის სერვისი ფუნქციონირებს და სტუდენტებს სხვადასხვა სახის კუნსულტაცია მიუღიათ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერისგან. **ექსპერტთა შეფასებით, კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის.**
2. დაწესებულება მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ისინი მუდმივ რეჟიმში ახორციელებენ მოლაპარაკებას დამსაქმებლებთან. ახორციელებენ დამსაქმებლების ვაკანსიების მონაცემთა ბაზის ფორმირებასა და განახლებას; ერთობლივი ღონისძიებების ჩატარება სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ხელშეწყობის მიზნით, რასაც ახორციელებს შექმნილი ბაზებით. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამსახური, ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის გამოყენებით აცნობებს სტუდენტებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. დაწესებულებამ ვიზიტისას წარმოადგინა დამსაქმებელთა ბაზები. ასევე პრაქტიკის ობიექტებთან გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ დასაქმებულთა უმრავლესობა აღნიშნული კოლეჯის კურსდამთავრებულია. ექსპერტთა შეფასებით, პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.
3. კოლეჯს „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში“ შემუშავებული აქვს დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა მეთოდოლოგია, რომელიც რელევანტურია კვლევის მიზნის, გაწერილია პასუხისმგებელი პირი, კვლევის ჩატარების პერიოდები; პარამეტრები, რა იქნება მოკვლეული აღნიშნული გამოკითხვების შედეგად. მიღებული მონაცემები აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს. კვლევები ითვალისწინებს ისეთ პარამეტრებს, როგორიცაა, დასაქმდა თუ არა კურსდამთავრებული, დასაქმდა თუ არა იმ სპეციალობით, რაც დაამთავრა, კმაყოფილია თუ არა დაწესებულებაში მიღებული უნარებით, იყენებს თუ არა მათ სამუშაო პროცესში და ა.შ. (ამ მიზნისთვის კოლეჯი მუდმივად აახლებს



PDF Eraser Free
კურსდამთავრებულთა ბაზას). **ექსპერტთა შეფასებით, პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით.**

4. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222 ბრძანებით დამტკიცებულ (ცვლილება: 29/11/2021 წლის N01-04/212 ბრძანებით) „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ ასევე ითვალისწინებს „კურსდამთავრებულთა კვლევის კითხვარს“ და „დამსაქმებელთა კვლევის კითხვარს“ , რომლის მეშვეობით პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი ატარებს დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევას და ანალიზს; კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს. კვლევების შედეგად ცვლილება შევიდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში „სასტუმრო მომსახურება“, სარესტორნო მომსახურება“, შესაბამისად პროგრამებს არჩევით მოდულად დაემატა „ბარის ორგანიზება“. **ექსპერტთა შეფასებით, კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222 ბრძანებით დამტკიცებულ (ცვლილება: 29/11/2021 წლის N01-04/212 ბრძანებით) „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“.
- ✓ პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი და შედეგები
- ✓ პროფესიულ სტუდენტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შესაბამება
☐ მეტწილად შესაბამება
☐ ნაწილობრივ შესაბამება
☐ არ შესაბამება



PDF Eraser Free

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის 2020 წლის 27 ივლისის #01-04/126 ბრძანებით დამტკიცებულია დაწესებულების სტრუქტურა და თანამდებობრივი ინსტრუქციები. აღნიშნული დოკუმენტების გაცნობით დასტურდება, რომ თითოეული თანამშრომლის ფუქცია გაწერილია და მოიცავს ინფორმაციას : თანამდებობის, საკვალიფიკაციო მოთხოვნების, უშუალო ხელმძღვანელის, დაქვემდებარებული პერსონალის, ფუნქცია-მოვალეობების და სამუშაო პირობების შესახებ. სამუშაო აღწერილობები დაწესებულებას გაწერილი აქვს ასევე შტატგარეშე თანამშრომლებისთვის. სამუშაო აღწერილობები შრომით ხელშეკრულებებს დანართის სახით აქვს მიბმული და მათი გაცნობის ფაქტი დადასტურებულია დასაქმებულთა მხრიდან ხელმოწერით. თუმცა ხდება მოვალეობათა გადაფარვა ხელმძღვანელსა და დაქვემდებარებულ პირებს შორის, სამუშაო აღწერილობებში გამიჯნული არ არის უფროსისა და დაქვემდებარებულის ფუნქცია. პსდ-მ ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტთან მიმართებით **მეტწილად შეაფასა** საკუთარი დაწესებულება და წარმოადგინა დოკუმენტაციის პაკეტი გაუმჯობესების გეგმასთან ერთად. დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვართან ერთად წარმოდეგნილი გაუმჯობესების გეგმა დირექტორის ბრძანებით არის დამტკიცებული 2022 წლის 24 თებერვალს. პსდ-ს მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის ფორმატის მიხედვით მისი განხორციელება დაგეგმილია მარტის თვიდან, ხოლო მოქმედების ვადა არა ექვს თვეზე, არამედ 10 თვეზეა გაწერილი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი გეგმით იდენტიფიცირებულია ოთხი პრობლემური საკითხი, მათგან ორი საკითხი ეხება დაწესებულების ადამიანურ რესურსებს, კერძოდ, სტრუქტურის შეუსაბამობას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტთან და პერსონალის შეფასების წესის გაუმჯობესების საკითხს. იდენტიფიცირებულ პრობლემასთან დაკავშირებით, კოლეჯს გაწერილი



PDF Eraser Free
აქვს „გაუმჯობესების გეგმა“ თვეების მიხედვით. შესრულების გრაფიკის, აქტივობების, შესრულების ინდიკატორების, მტკიცებულებების, პასუხისმგებელი და ჩართული პირების, მონაწილე მხარეების, ადამიანური რესურსის, დაფინანსების წყაროს,მატერიალური რესურსი და შესრულების სტატუსი - შესავსები ველებია დატოვებული და ნაკლებ ინფორმაციას იძლევა შეფასებისთვის. გაუმჯობესების გეგმის მიხედვით ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა კონკრეტული აქტივობების შესრულების ვადები და მტკიცებულებები. გეგმის მიხედვით ვიზიტის პერიოდში ვადის შესაბამისად შექმნილია სამუშაო ჯგუფი, ასევე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტისა და სტრუქტურის პროექტის სამუშაო ვერსია. მეორე აქტივობა ეხება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის და სტრუქტურის პროექტის სამუშაო ვერსიის შექმნასთან დაკავშირებულ მტკიცებულებებს. კოლეჯმა წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე დასწრების ამსახველი დოკუმენტი და ასევე შეხვედრის ამსახველი ოქმი, სტრუქტურის სამუშაო ვერსიის დოკუმენტი და ასევე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის პირველადი ვერსია.

დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტისას დაადგინეს რომ დაწესებულების მიერ გაუმჯობესების გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების მიზნით, ექსპერტების ვიზიტზე ყოფნის პერიოდში, დირექტორის მ/შ -ის 2022 წლის 2 მაისის № 01-04/96 ბრძანების საფუძველზე, სსიპ „ახალი ტალღა“ მოდიფიცირებული სტრუქტურისა და პერსონალის შეფასების წესის შემუშავების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ შექმნილია სამუშაო ჯგუფი, განსაზღვრულია ჯგუფის შემადგენლობა და განსაზღვრულია სამუშაოს შესრულების ვადად 25 აგვისტო. სამუშაო ჯგუფის ვალდებულებად განისაზღვრა მითითებულ ვადაში 2020 წლის 28 დეკემბრის ბრძანების გათვალისწინებით მოდიფიცირებული სტრუქტურის და პერსონალის შეფასების წესის წარდგენა. პროექტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ამსახველი ოქმი და ჯგუფის მიერ შემუშავებული დოკუმენტის პროექტი სამუშაო ჯგუფის შექმნიდან ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი. გაუმჯობესების გეგმაში გრაფები: ადამიანური, მატერიალური, ფინანსური რესურსი ასევე შესრულების სტატუსის გრაფა შეუვსებელია ყველა იდენტიფიცირებულ პრობლემასთან მიმართებაში.

ექსპერტთა მიერ აღნიშნული ინდიკატორი სტანდარტთან მიმართებაში შეუსაბამოდ იქნა მიჩნეული.

კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2022 წლის 18 ივლისის #815392 წერილით დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტთან დაკავშირებით, მათ შორის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2022 წლის 18 ივლისის #01-04/137 ბრძანებით



PDF Eraser Free

დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა. აღნიშნული გეგმა გაწერილია 6 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას(სამუშაო ჯგუფის მიერ დოკუმენტებს შორის შესაბამისობის შემოწმება, სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა), განხორციელების პერიოდს, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ 6 თვის ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

ექპერტთა მიერ აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს სტრუქტურული ერთეულების დებულებების შემოწმება და „ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტისა“ და დაწესებულების სტრუქტურის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა.

2. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია როგორც საშტატო ერთეულით განსაზღვრული, ისე შტატგარეშე თანამშრომელთა ფუნქციები. საერთო ჯამში, პერსონალის ფუნქციები მოიცავს ყველა იმ საკითხს რაც, კოლეჯის ძირითად საქმიანობას უკავშირდება. კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმაში განსაზღვრულია თითოეულ ამოცანაზე პასუხისმგებელი პირი. ძირითადი მიზნების და ამ მიზნების შესაბამისი ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი საჭირო ადამიანური რესურსი ფუნქციების შესაბამისად არის განსაზღვრული. როგორც წინა კომპონენტის აღწერისას ითქვა, არ არის გამიჯნული სამუშაო აღწერილობებში ხლმძღვანელისა და დაქვემდებარებულის ფუნქცია-მოვალეობები. კოლეჯის თანამშრომლების დანიშვნას და მათ უფლება-მოვალეობებს არეგულირებს თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამუშაო აღწერილობები, მათთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა კანონქვემდებარე აქტები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრუქტურისა და თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად, შიდა სამართლებრივი და მარეგულირებელი აქტების შემუშავება ხორციელდება ცენტრალიზებულად და საერთოა ორივე ლოკაციისთვის.

სტრუქტურის შესაბამისად ქობულეთში გათვალისიწნებულია შემდეგი საშტატო ერთეულები:



PDF Eraser Free

- დირექტორის მოადგილე;
- საქმისმწარმოებელი;
- კომპიუტერული ქსელების სპეციალისტი;
- ლოჯისტიკი;
- მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის სპეციალისტი;
- მიმღები ადმინისტრატორი;
- მედდა;
- მიმღები ადმინისტრატორი;
- პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი;
- პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი;
- რეესტრის წარმოების სპეციალისტი;
- სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი;
- სასწავლო პროცესის მენეჯერი;
- სასწავლო პროცესის სპეციალისტი;
- ფინანსური მენეჯერი;
- ქსელის ადმინისტრატორი;
- ადამიანური რესურსების სპეციალისტი;
- ბიბლიოთეკარი;
- ბუღალტერი;
- ფაბლაბის სპეციალისტი;
- ღონისძიებების ორგანიზატორი;
- შესყიდვების სპეციალისტი;
- ხარისხის მართვის სპეციალისტი;
- ხარისხის მართვის მენეჯერი;

წარმოდგენილი სტრუქტურა მოიცავს ინფორმაციას დამხმარე პერსონალის პოზიციების შესახებ, სტრუქტურაში გათვალისწინებულია: კვების ბლოკის ხელმძღვანელი, მძღოლი, დამლაგებელი, დარაჯი, მეეზოვე, ცეცხლფარეში, დამხმარე პერსონალი, სასტუმროს ადმინისტრატორი, საერთო საცხოვრებლის ადმინისტრატორი; შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი თუმცა აღნიშნულ პოზიციებზე არ არის წარმოდგენილი სამსახურეობრივი ინსტრუქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან მიმართებაში.**



PDF Eraser Free

განმავითარებელი რეკომენდაციაა, დაწესებულებამ დააზუსტოს პრაქტიკულად განსახორციელებელი საქმიანობის ნათლად ასახვის თვალსაზრისით ხარისხის მართვის მენეჯერისა და ხარისხის მართვის სპეციალისტის, ქსელის ადმინისტრატორისა და კომპიუტერული ქსელის სპეციალისტის, აგრეთვე სასწავლო პროცესის მენეჯერისა და სასწავლო პროცესის სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები, ხოლო ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობებში განსაზღვროს ვერიფიკაციის განხორციელებისა და ანგარიშგების მოვალეობები. ასევე შეავსოს დამხმარე პოზიციებისთვის ფუნქცია-მოვალეობები.

3. კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222 ბრძანებით დამტკიცებულ „ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ დოკუმენტში და არც ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმაში არ იკვეთება ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციების ინტერესთა კონფლიქტი. ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ხარისხის სამსახური-ხარისხის მენეჯერი და ხარისხის სპეციალისტი. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა ფუნქციონირებს იმგვარად, რომ არ ხდება შესასრულებელი და შესაფასებელი საქმიანობების გადაკვეთა აღნიშნული სამსახურის მიერ. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს**.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა;
- ✓ ხარისხის უზრუნვეყოფის შიდა მექანიზმები;
- ✓ სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები;
- ✓ ადამიანური რესურსების მართვის და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი;
- ✓ გაუმჯობესების გეგმა;
- ✓ ინტერვიუ.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯღიაძე
ალექსანდრე კეკენაძე
თამარ ანალაძე
ნინო მოწყობილი
გიორგი ნაბეიშვილი
მამუკა ხომტარია
მაგული მეპონია
ნატალია ბარათელი
მაკო ჯაფოშვილი
ნინო ბოკუჩავა
დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

□ არ შეესაბამება

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 28 დეკემბრის N01-04/225 ბრძანებით დამტკიცებულ „ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტით“ რეგულირდება პერსონალის მართვა, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა პერსონალის მოზიდვა, შერჩევა, ადაპტირება. გარდა ამისა, დაწესებულებამ წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 11 თებერვლის #01-04/26 ბრძანებით დამტკიცებული „ თანამშრომელთა სამუშაოსთან ადაპტაციისა და ინტეგრაციის წესი“, ასევე „პერსონალის შეფასების წესი და საჭიროებათა კვლევის კითხვარი“, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის შერჩევის წესი და პირობები.

გარდა ამისა, პროცესები რეგულირდება დაწესებულების შინაგანაწესით: დადგენილია დასაქმებულ პირთა წახალისების და დისციპლინარული სახდელების დაკისრების პირობები. თანამშრომლები იცნობენ კოლეჯის შინაგანაწესს, როემლიც საჯაროა, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე და მისი გაცნობის ფაქტს ადასტურებენ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით. დაწესებულების შიდა დოკუმენტაცია წინააღმდეგობაში არ მოდის შრომის კოდექსთან და მოქმედ კანონმდებლობასთან. **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 27 ივლისის N01-04/125 ბრძანებით დამტკიცებულ (ცვლილება 2020 წლის 28 დეკემბრის N01-04/225 ბრძანებით) „ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება პოლიტიკის დოკუმენტში“ აღწერილია პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის მექანიზმი, გაწერილია

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯიაძე
ალექსანდრე კეკენაძე
თამარ ანალაძე
ნინო მოწყობილი
გიორგი ნაბეიშვილი
მამუკა ხომტარია
მაგული მებონია
ნატალია ბარათელი
მაკო ჯაფარიძე
ნინო ბოკუჩავა
დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვის და დასაქმების პროცედურები. გარდა ამისა, კოლეჯს დამტკიცებული აქვს 2022 წლის 11 თებერვლის N01-04/25 ბრძანებით „კონკურსის საჭიროების შემთხვევაში ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის შერჩევის წესი და პირობები“. კოლეჯს გაწერილი აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები თითოეული პოზიციისთვის . შესაბამისად, კოლეჯში დასაქმებული პირები არიან შერჩეული აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად. შერჩეულ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.**

3. კოლეჯში ვიზიტისას გადმოწმდა ადმინისტრაციულ თანამდებობებზე დასაქმებულ პირთა პირადი საქმეები- სამუშაო გამოცდილებისა და კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შერჩეულ პირთა პირადი საქმეებით დადასტურდა, რომ დაწესებულებამ პერსონალი აიყვანა დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობაში თითეული დასაქმებული პირის საქმიანობასთან. **ექსპერტთა შეფასებით, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.**

4. კოლეჯის საქმიანობა ეყრდნობა თანამონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს. ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტში“ გაწერილია კოლეჯის პერსონალის მართვის მისია, ხედვა და ღირებულებები., რომლის ერთ-ერთ მთავარ ღირებულებას გუნდური სულისკვეტება წარმოადგენს. აღნიშნული დასტურდება კოლეჯის საქმიანობით. სტრატეგიულ დაგეგმარებაში ჩართულია სხვადახვა დაინტერესებული მხარეები, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნილი იყო სამუშაო ჯგუფი, რომელთა მუშაობის ამსახველ დოკუმენტაციას გავეცანით ადგილზე ვიზიტისას. დაწესებულებას ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც ასევე ჩართულია კოლეჯის მართვის პროცესებში. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):



PDF Eraser Free

- ✓ სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები;
- ✓ ადამიანური რესურსების მართვის და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი;
- ✓ „კონკურსის საჭიროების შემთხვევაში ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის შერჩევის წესი და პირობები“;
- ✓ თანამშრომელთა ადაპტაციის წესი;
- ✓ პერსონალის პირადი საქმეები;
- ✓ ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ დირექტორის 2020 წლის 28 დეკემბრის N01-04/225



PDF Eraser Free
ბრძანებით), რომლის მე-3 თავი ითვალისწინებს პერსონალის განვითარებას. დოკუმენტის შესაბამისად - პერსონალის საქმიანობის შეფასება ხორციელდება კოლეჯის თითოეული პოზიციის შესაბამისად შემუშავებული სამუშაო აღწერილობების შესაბამისი ინდიკატორების საშუალებით. შეფასების მიზანია პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის ხელშეწყობა, პერსონალის წახალისება და კარიერული წინსვლის თანაბარი, ობიექტური და გამჭვირვალე მექანიზმების შემუშავება. პერსონალის შეფასებისთვის კოლეჯს შემუშვებული აქვს სხვადასხვა მეთოდები (მიზნების მიხედვით შეფასება, კომპეტენციების მიხედვით შეფასება, შესრულებული სამუშაოს შეფასება და ა.შ.). რომელთა გამოყენებასაც სამომავლოდ აპირებენ. ვიზიტის დროს კოლეჯმა წარმოადგინა „პერსონალის შეფასების წესი და საჭიროებათა კვლევის კითხვარის“ შესაბამისად შემუშავებული კითხვარებით განხორციელებული გამოკითხვა, გამოკითხვის შედეგები და დაგეგმილი ღონისძიებები. კითხვარის საშუალებით ადმინისტრაციულ პერსონალს აფასებს დირექცია, ხოლო ადამიანური რესურსების სპეციალისტი ახორციელებს შედეგების ანალიზს. პერსონალის შეფასება ხდება 5 ქულიანი სისტემით, საიდანაც - 0 უდრის სრულად არადამაკმაყოფილებელს, ხოლო 5 - სრულად დამაკმაყოფილებელს. შესაფასებელი უნარ-ჩვევებია: სამუშაოს შესრულების ხარისხი, სამუშაოს დამოუკიდებლად შესრულების უნარი, ერთდროულად სხვადასხვა საქმის შესრულების უნარი, სამუშაოს დროულად შესრულება, კომუნიკაციის უნარი, გუნდურად მუშაობის უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, სამუშაოს შესრულების ვადების დაცვა და სამუშაო შინაგანაწესის/ეთიკის დაცვა. **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

ექსპერტთა რეკომენდაციაა, დაიხვეწოს დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტი „პერსონალის შეფასების წესი და საჭიროებათა კვლევის კითხვარი“ , რათა სწორად განხორციელდეს პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა. ასევე აღნიშნული დოკუმენტი შესაბამისობაში იქნას მოყვანილი დაწესებულების „ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება პოლიტიკის დოკუმენტთან“.

2. დაწესებულების მიერ შემუშავებულ სამოქმედო გეგმაში, კერძოდ სტრატეგიული მიზანი N 5 (1,2,3) ითვალისწინებს გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების შედეგად პერსონალის განვითარებისთვის დაგეგმილ აქტივობებს, პერიოდს და პასუხისმგებელ პირებს. კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, ასევე გაწერილია 2022 წლის განმავლობაში ეტაპობრივად



PDF Eraser Free
ჩასატარებელი ტრენინგების გეგმა. **ექსპერტთა შეფასებით, პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით.**

3. პროგრამების განმახორციელებელ პირებს სწავლება/შეფასებისა და დარგობრივი კომპეტენციების მიმართულებით უტარდებათ შეხვედრები, ტრენინგები, მასტერკლასები გეგმა გრაფიკის შესაბამისად. ასევე, პროფესიული განათლების მასწავლებლები დარგობრივი კომპეტენციის განვითარების მიზნით ჩართულები არიან სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში. დაწესებულების მიერ შემუშავებულია „პერსონალის შფასების წესი და საჭიროებათა კვლევის კითხვარი," რომლის მე-9 დანართის შესაბამისად ხორციელდება მასწავლებლის პროფესიული საჭიროებების კვლევა. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.**

4. კოლეჯს 2020 წლის 28 დეკემბრის N01-04/225 ბრძანებით დამტკიცებული აქვს - „ადამიანური რესურსების მართვა და განვითარების - პოლიტიკის დოკუმენტი", რომლის მეორე თავის 2.2 პუნქტი ითვალისწინებს -პერსონალის მიღებასა და ადაპტაციას. დაწესებულებას ასევე 2022 წლის 11 თებერვლის N01-04/26 ბრძანებით დამტკიცებული აქვს - „ახალი თანამშრომლის სამუშაოსთან ადაპტაციისა და ორგანიზაციასთან ინტეგრაციის წესი", რომელშიც გაწერილია: ადაპტაციის პროცესში მონაწილე მხარეები და პროცედურები. წესს დანართის სახით დართული აქვს ინტეგრაციის პროცესში გამოსაყენებელი ფორმების შაბლონები. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული წესით მიღებული თანამშრომლის ინტეგრაციის პროცესში შევსებული ფორმა. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.**

5. კოლეჯის შინაგანაწესის 26-ე მუხლით რეგულირდება დასაქმებულის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. ასევე შინაგანაწესით არის გაწერილი თანანმშრომლის წახალისების და დაწინაურების პროცედურები. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ დაწესებულების შინაგანაწესი;
- ✓ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ✓ პერსონალის შეფასების წესი და საჭიროებათა კვლევის კითხვარი;
- ✓ ახალი თანამშრომლის სამუშაოსთან ადაპტაციისა და ორგანიზაციასთან ინტეგრაციის წესი;
- ✓ გაუმჯობესების გეგმა;



PDF Eraser Free

- ✓ შეკვეთილი კითხვარები და გამოკითხვის შედეგები;
- ✓ პერსონალის პირადი საქმეები;
- ✓ ვებ-გვერდი;
- ✓ სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ✓ პერსონალთან გასაუბრება;
- ✓ პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი მასალა.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

თავმჯდომარე:		ნინო ვასაძე
წევრები:		ნიკა ჯიაძე
		ალექსანდრე კეკენაძე
		თამარ ანალაძე
		ნინო მოწყობილი
		გიორგი ნაბეთვილი
		მამუკა ხომტარია
		მაგული მებონია
		ნატალია ბარათელი
		მაკო ჯაფოშვილი
		ნინო ბოკუჩავა
		დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.



PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ კოლეჯი "ახალი ტალღა" უზრუნველყოფილია მინიმუმ ავტორიზაციის ვადით შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით, რაც მნიშვნელოვანია სასწავლო და სამუშაო პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობისთვის.

კოლეჯის მფლობელობაშია ქობულეთში, რუსთაველის N 154-ში 9433 მ2 ფართობზე შენობა-ნაგებობები, რომელთა ფლობა დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი იქნა შიდა აზომვითი ნახაზები და ფართების შესახებ შევსებული სპეციალური ფორმა. დაწესებულების დათვალიერებისა და დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ ქობულეთის მისამართზე ფართში განთავსებულია ფოიე, თეორიული სწავლების აუდიტორიები - 30 A გარემო, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართები 16 B გარემო, საშტატო ნუსხით გათვალისწინებული თანამშრომლებისთვის 16 სამუშაო ოთახი, 19 პროგრამების სპეციფიკის შესაბამისად აღჭურვილი სახელოსნო, შეხვედრების და საკონფერენციო 3 სივრცე, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის 3 ოთახი, პროფესიული სტუდენტებისთვის დასვენებისა და მუშაობისთვის გამოყოფილი სივრცეები, 9 სანიტარული კვანძი გოგონებისა და ვაჟებისთვის ცალ-ცალკე, მათ შორის 2 შშმ პირებისთვის ადაპტირებული, 1 ბიბლიოთეკა, 1 არქივი, 1 საწყობი და 4 ფოიე.

ყველა სასწავლო და სამუშაო სივრცე აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით. კოლეჯს ქობულეთში ასევე გააჩნია დახურული სპორტული დარბაზი, სტადიონი სპორტული ღონისძიებებისათვის, დარბაზი სხვადახვა ტიპის შემოქმედებითი ღონისძიებებისათვის, კეთილმოწყობილი ეზო, სტუდენტური კაფე, რესტორანი, სასტუმრო, საერთო საცხოვრებელი პროფესიული სტუდენტებისათვის, პირველადი დახმარების ოთახი.

მატერიალური რესურსების მართვა/შეფასებაკოლეჯში რეგულარულად ხორციელდება 2020 წლის 23 დეკემბრის N01-04/219 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 28.01.2022 წლის N01-04/14 ბრძანებით) „მატერიალური რესურსების განკარგვის წესის“ შესაბამისად.

დაწესებულებამ წარმოადგინა ინფრასტრუქტურისა და მატერიალური აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც შესწავლილი იქნა ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ, დათვალიერებული იქნა ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების ფაქტობრივი არსებობა და მდგომარეობა, ასევე, ვიზიტის ფარგლებში მათ მიერ განხორციელდა ინტერვიუები კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯიაძე

ალექსანდრე კუკუნაძე

თამარ ანალაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მეპონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაფოშვილი

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით, სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

2. სსიპ კოლეჯ ,,ახალ ტალღაში“ 2020 წლის 23 დეკემბრის N01-04/219 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 28.01.2022 წლის N01-04/14 ბრძანებით) „მატერიალური რესურსების განკარგვის წესის“ შესაბამისად მე-3 მუხლში გაწერილია კოლეჯის მატერიალური რესურსებით სარგებლობის პირობები, რომლის თანახმად დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ტექნიკა, სახელოსნო აღჭურვილობა და სხვა მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დაუბრკოლებლადაა ხელმისაწვდომი პროფესიული სტუდენტებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა ზემოაღნიშნული რეგულაცია და განხორციელდა ინტერვიუები პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებმაც დაადასტურეს, რომ სარგებლობენ კოლეჯის ინფრასტრუქტურით. **შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია მათთვის.**

3. კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. დაწესებულების წარემომადგენლებთან გასაუბრების და დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ ყოველდღიურად, გრაფიკის მიხედვით ხორციელდება ფართებისა დეზინფექცია და დასუფთავება. ქობულეთში განთავსებულ კოლეჯში აღნიშნულს ახორციელებს 10 დამლაგებელი.

კოლეჯში სამზარეულოში, საკონდიტროში, ბარში, რესტორანსა და სასტუმროში გამოიყენება ქიმიური ხსნარების დოზირების და გამოყენების აღრიცხვიანობის ჟურნალი, რომელშიც ასევეა ჩანიშნული დასუფთავების გრაფიკი და დასუფთავების საშუალებები. პროცესს ზედამხედველობს „კვების ბლოკის ხელმძღვანელი“, რომელიც აკონტროლებს სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმების დაცვას, რაც დასტურდება მასთან გაფორმული ხელშეკრულებითა და სამუშაო აღწერილობით.

კოლეჯში დაცულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ყველა რეკომენდაცია Covid-19- ის გავრცელების პრევენციული ღონისძიებებთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტებმა დაათვალიერეს კოლეჯის ინფრასტრუქტურის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცულობის თვალსაზრისით, გაესაუბრნენ პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებს და დაადგინეს, რომ **კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.**

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯღამე

ალექსანდრე კეკენაძე

თამარ ანანიაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაფარიძე

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

4. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელდა ქობულეთში განთავსებულ კოლეჯის შენობებში ცენტრალური გათბობის სისტემების ვიზუალური დათვალიერება, რომელთა ფუნქციონირება დასტურდება პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით, გაზის (ქობულეთის შემთხვევაში) გადასახადის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტებით და კოლეჯის ტექნიკური პერსონალის შემადგენლობითა და მათი ფუნქცია-მოვალეობების გაცნობით . ექსპერტთა შეფასებით, **კოლეჯში ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემები.**
5. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 1 ივლისის N01-04/95 ბრძანებით (ცვლილება 2020 წლის 21 დეკემბრის N01-04/216 ბრძანებით) დამტკიცებულია „შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“. კოლეჯს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შესაბამისი კომპეტენციის მქონე სერტიფიცირებულ უსაფრთხოების სპეციალისტთან, რომელიც უზრუნველყოფს კოლეჯში შრომის უსაფრთხოებას. მასთან გასაუბრებითა და შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესით განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, სახანძრო უსაფრთხოება, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა კოლეჯის შენობა-ნაგებობაში და მის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის, რომელიც საჭიროებს აღნიშნულ დახმარებას, საჭიროების შემთხვევაში შენობაში მყოფთა ევაკუაციას, ხოლო შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ ხორციელდება შესაბამისი აქტივობები, რომელიც დასტურდება პერსონალთან ინტერვიუს შედეგებით, ხელმოწერების ჟურნალებითა და ფოტომტკიცებულებებით. ექსპერტთა შეფასებით, **კოლეჯში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.**
6. სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღის“ დირექტორის 2020 წლის 23 დეკემბრის N01-04/219 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 28.01.2022 წლის N01-04/14 ბრძანებით) „სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი, სახარჯი მასალების აღრიცხვა/გაცემის პროცედურების“ შესაბამისად ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალებითა და ნედლეულით უზრუნველყოფა. აღნიშნული მექანიზმის მიხედვით შესაბამისი პირი (კოლეჯის სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი/პროგრამის ხელმძღვანელი/ ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი/ პროფესიული განათლების მასწავლებელი) დირექტორს წარუდგენს წერილობით მოთხოვნას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოსაყენებელი სახარჯი მასალა-ნედლეულის თაობაზე.

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯიაძე
ალექსანდრე კეკენაძე
თამარ ანანიაძე
ნინო მოწყობილი
გიორგი ნაბეიშვილი
მამუკა ხომტარია
მაგული მებონია
ნატალია ბარათელი
მაკო ჯაფარიძე
ნინო ბოკუჩავა
დავით კუპატაძე

PDF Eraser Free
აღნიშნული მექანიზმის საფუძველზე ხორციელდება მასალა-ნედლეულის შენახვა, გაცემა, გამოყენება, აღრიცხვა, ჩამოწერა, ანგარიშგება, ინსპექტირება და უტილიზაცია.

აღნიშნული წესის გამოყენების დადასტურების მიზნით ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება და მასალა-ნედლეულის შესყიდვების, აღრიცხვისა და მათი ჩამოწერის/უტილიზაციის დოკუმენტების შესწავლა, ასევე, პროგრამების განმახორციელებლებისა და პროფესიული სტუდენტების მიერ ინტერვიუებისას დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესისითვის მუდმივად უზრუნველყოფილია მასალა-ნედლეულის მიწოდება. **ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები**.

7.კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება: 29/11/2021 წლის N01-04/212 ბრძანებით) „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით“, რომლის საფუძველზეც რეგულარულად ხორციელდება კოლეჯის რესურსების შეფასება. შეფასების მეთოდად ხარისხის მართვის სამსახურს გამოყენებული აქვს გამოკითხვის მეთოდი. ისინი ყოველწლიურად ახორციელებენ კოლეჯის პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვას და შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი საჭიროების მიხედვით იგეგმება რესურსების განვითარებისთვის განსახორციელებელი აქტივობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების დამადასტურებელი დოკუმენტები და ჩატარდა გასაუბრება ხარისხის მართვის მენეჯერთან, რომელმაც განმარტა რომ გარდა გამოკითხვებით მიღებული ინფორმაციისა რესურსების საკმარისიანობასა და განვითარებასთან დაკავშირებით, სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს რესურსების რეგულარულ შეფასებას მოდულების მიხედვით და გამოვლენილი საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება რესურსების შევსება მათთან კოორდინაციით. რესურსების შეფასების მიზნით გამოიყენება აგრეთვე ყოველწლიური ინვენტარიზაციის შედეგებიც, რომელსაც ახორციელებს ინვენტარიზაციის კომისია კოლეჯის დირექტორის 12.11.2021 წ N01-04/204 ბრძანებით დამტკიცებული ინვენტარიზაციის პროცედურების დაცვით. ინვენტარიზაციის შედეგების მიხედვით მატერიალური რესურსების განკარგვის წესის დაცვით ხორციელდება დაზიანებული რესურსების ჩამოწერა და განახლების დაგეგმვა.

აგრეთვე, პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ ინტერვიუების ფარგლებში აღინიშნა, რომ დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ახორციელებს სააუდიტორიო



PDF Eraser Free
მეცადინეობებზე/პროფესიული სტუდენტების შეფასების პროცესებზე დასწრებას და ამ პროცესებში გამოყენეული რესურსების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასებას და მათ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას. ხოლო მიღებული შედეგების საფუძველზე, შეიმუშავებს რეკომენდაციებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების მიმართულებით.

ექსპერტთა შეფასებით, ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით კოლეჯში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.

8. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ კოლეჯის ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დგინდება, რომ კოლეჯის ქობულეთის შენობებში განთავსებულია ქალებისა და მამაკაცებისთვის გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც უწყვეტად მარაგდება წყლით, აქვს ვენტილაციის საშუალება, უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობა. კოლეჯის ყველა სველ წერტილში არის როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, განთავსებულია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებები, ხელის ქაღალდის ხელსახოცების კონტეინერები, რაც covid-19 გავრცელების პრევენციული წესის მიხედვით მოთხოვნას წარმოადგენს. კოლეჯის სველი წერტილები ადაპტირებულია შშმ პირებისათვის. შესაბამისად, კოლეჯის მიერ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

9. კოლეჯის ყველა აუდიტორიაში, კომპიუტერულ კლასებში, პრაქტიკულ ლაბორატორიებში, ბიბლიოთეკაში, ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეებში არის როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათება, რაც დადასტურდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ვიზუალური დათვალიერებით. შესაბამისად, კოლეჯის მიერ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

10. კოლეჯში გამოყოფილია განცალკევებული სამუშაო ოთახები ადმინისტრაციული პერსონალისთვის დაწესებულების პირველ კორპუსში, მათ შორის პროფესიული სტუდენტების უშუალო მომსახურე რგოლებისთვის ძირითადად დაწესებულების პირველ სართულზე, სასაწავლო აუდიტორიები კი განლაგებულია სამივე კორპუსში. ასევე, სათავსოებისათვის გამოყოფილია მეორე და მესამე კორპუსის სარდაფები და მეორე კორპუსის მეხუთე სართულზე ოთახი. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების დროს ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამუშაოები სათავსოები კოლეჯის მეორე კორპუსის სარდაფში გადატანის მიზნით.

ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯში სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.



PDF Eraser Free

11.სსიპ კოლეჯში „ახალი ტალღა“ ბიბლიოთეკა განთავსებულია კოლეჯის პირველ სართულზე, იგი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადაპტირებულია შშმ პირებისთვის.

ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას და კოლეჯის ვებ-გვერდზე გამოკრულია დირექტორის 06.03.2019 წლის N 01-04/38 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკის დებულება“ და 21.05.2021 წლის N01-04/68 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“.

ექსპერტთა მიერ გადამოწმებული იქნა საგანმანათლებლო რესურსები, კატალოგები, ჟურნალები, ელექტრონული ვერსიები და დადასტურდა, რომ ბიბლიოთეკარი, რომელიც არის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, საკუთარ სამუშაო პროცესს ახორციელებს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესისა და დებულების შესაბამისად, ხოლო საგანმანათლებლო რესურსები კი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ინტერვიუებით დადგინდა, რომ **კოლეჯის პერსონალის, პროგრამის განმახორციელებლებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ✓ ინვენტარიზაციის აქტები;
- ✓ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები;
- ✓ „მატერიალური რესურსების განკარგვის წესი“;
- ✓ სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალების ჩამოწერის აქტები;
- ✓ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით მატერიალური რესურსების და მასალების შესყიდების დოკუმენტაცია;
- ✓ დამლაგებლების და დეზინფექციის ჩატარების გრაფიკი;
- ✓ პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- ✓ კოლეჯის შენობა/ნაგებობების აზომვითი ნახაზები;
- ✓ ცენტრალური გათბობის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია - საგადახდო დავალებები, ქვითრები;



PDF Eraser Free

- ✓ „შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“;
- ✓ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის შრომითი ხელშეკრულება და სერტიფიკატი;
- ✓ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ ჩატარებული ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების ჩატარების ამსახველი ფოტომტკიცებულება;
- ✓ „მატერიალური რესურსების განკარგვის წესი“.
- ✓ შესყიდვების სპეციალისტის, ლოჯისტიკის და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორის სამუშაო აღწერილობები;
- ✓ სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის საჭირო მასალა-ნედლეულის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის 2022 წლის სამოქმედო გეგმა;
- ✓ მოხმარებული ელექტროენერგიის გადახდის დოკუმენტაცია;
- ✓ კოლეჯის შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზები;
- ✓ შევსებული ფორმა ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო სივრცეების/ფართების ფლობის შესახებ;
- ✓ კოლეჯის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ✓ ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

თავმჯდომარე:	ნინო ვასაძე
წევრები:	ნიკა ჯიაძე
	ალექსანდრე კეკენაძე
	თამარ ანალაძე
	ნინო მოწყობილი
	გიორგი ნაბეიშვილი
	მამუკა ხომტარია
	მაგული მეპონია
	ნატალია ბარათელი
	მაკო ჯაფოშვილი
	ნინო ბოკუჩავა
	დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

5.1.2 მხდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯმა 2020 წლის 19 აგვისტოს მდებარე შენობების უსაფრთხოების მიზნით ექსპერტიზის ჩატარების მიზნით ხელშეკრულება გააფორმა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან და მიიღო დასკვნები, რომლის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ კოლეჯის შენობებში საქმიანობის განხორციელება უსაფრთხოა, ხოლო, 2021 წლის 4 აგვისტოს N 768958 კორესპონდენციით კოლეჯმა მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების შესახებ შემოწმებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავებაში კონსულტირების მიზნით. აღნიშნული მიწერილობის საფუძველზე შემოწმდა კოლეჯის მფლობელობაში მყოფი შენობა-ნაგებობები და კოლეჯმა მიიღო რეკომენდაციები სახანძრო უსაფრთხოების ნორმების შესრულებისთვის. კერძოდ მეორე საევაკუაციო გასასვლელის (კიბის) მონტაჟი I კორპუსის შენობის მე-3 და მე-2 სართულებიდან და II კორპუსში განთავსებული საერთო საცხოვრებლიდან; შენობების (კოლეჯის I, II და III კორპუსების) სხვენში და პირველი სართულიდან კიბის უჯრედიდან სარდაფში ჩასასვლელში მოსაწყობია არანაკლებ 30 წუთიანი ცეცხლმედეგობის მქონე ხანძარსაწინააღმდეგო კარი; I, II, III და IV კორპუსებში გასამართია შენობის ფართზე დამონტაჟებული სამისამართო ტიპის სახანძრო სიგნალიზაცია და ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაციის მართვის სისტემები. აღნიშნულის დაფინანსების მიზნით დაწესებულებამ მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს და მიიღო დაფინანსება, თუმცა შესასრულებელი დარჩა 3 პუნქტი და ავტორიზაციის განაცხადი გაუმჯობესების გეგმით წარმოადგინა, რომელიც დირექტორის 2022 წლის 24 თებერვალის #01-04/40 ბრძანებით არის დამტკიცებული. გაუმჯობესების გეგმით აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებას სჭირდება 6 თვეზე მეტი. საქართველოს



PDF Eraser Free
განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 2010 წლის 1 ოქტომბრის #99/ნ ბრძანების 40-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტით განსაზღვრულია, რომ დაწესებულება „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან“, თუ მოკლევადიან პერიოდში (არაუმეტეს 6 თვისა) დასაძლევად მას აქვს მზაობა და შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი გეგმა., ხოლო „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან“, თუ დაწესებულებას აქვს განსაზღვრულ პერიოდში (არაუმეტეს 18 თვისა) სუსტი მხარეების დასაძლევად შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი გეგმა. თუმცა აღნიშნული გეგმა არ არის წარმოდგენილი სრულყოფილად.

კოლეჯის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომლის ფუნქცია-მოვალეობებში შედის კოლეჯში შრომის, ჯანმრთელობის, სახანძრო და საგანგებო სიტუაციებში უსაფრთხოების დაცვის ორგანიზება, ტრენინგები და სხვა აქტივობები. იგი კანონმდებლობის მოთხოვნათა მიხედვით არის სერტიფიცირებული პირი.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დადგენილი იქნა, რომ ინდიკატორის მოთხოვნა ,,დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში უსაფრთხოების ზომები“ სრულად არ არის დაცული და და აღნიშნული წარმოადგენს ხარვეზს.

კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2022 წლის 18 ივლისის #815392 წერილით დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტთან დაკავშირებით, მათ შორის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2022 წლის 18 ივლისის #01-04/137 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა. აღნიშნული გეგმა გაწერილია 6 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას, განხორციელების პერიოდს, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ 6 თვის ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

ექპერტთა მიერ აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს უსაფრთხოების ნორმების შესრულებისთვის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის რეკომენდაციების შესრულება.

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯღამე

ალექსანდრე კეკენაძე

თამარ ანანიაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაოშვილი

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის მოვალეობის შესმსრულებლის 2022 წლის 18 ივლისის #815392 წერილით დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტთან დაკავშირებით, მათ შორის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2022 წლის 18 ივლისის #01-04/137 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა. აღნიშნული გეგმა გაწერილია 6 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას(მეორე საევაკუაციო გასასვლელის (კიბის) მონტაჟი I კორპუსის შენობის მე-3 და მე-2 სართულებიდან და II კორპუსში განთავსებული საერთო საცხოვრებლიდან; შენობების (კოლეჯის I, II და III კორპუსების) სხვენში და პირველი სართულიდან კიბის უჯრედიდან სარდაფში ჩასასვლელში მოსაწყობია არანაკლებ 30 წუთიანი ცეცხლმედეგობის მქონე ხანძარსაწინააღმდეგო კარი; I, II, III და IV კორპუსებში გასამართია შენობის ფართზე დამონტაჟებული სამისამართო ტიპის სახანძრო სიგნალიზაცია და ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაციის მართვის სისტემები. შსს საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტის მოწვევა დასკვნის მიღების მიზნით), განხორციელების პერიოდს, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას, ფინანსურ რესურსს და შესრულების მტკიცებულებებს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ 6 თვის ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

ექპერტთა მიერ აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

2. კოლეჯში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით შემუშავებულია მექანიზმები, რომელიც გაწერილია 2020 წლის 1 ივლისს დირექტორის N01-04/95 ბრძანებით დამტკიცებულ (ცვლილებები განხორციელდა 21.12.2020 წლის 21 დეკემბერს N01-04/216 ბრძანებით) „შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესში“. კოლეჯში მოწყობილია სათანადოდ აღჭურვილი პირველადი გადაუდებელი დახმარების კაბინეტი, ხოლო საშტატო ნუსხით გათვალისწინებულია შესაბამისი კომპეტენციის მედდა. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმებული იქნა მარეგულირებელი დოკუმენტები, მედდის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამუშაო აღწერილობა, ვიზუალურად იქნა დათვალიერებული პირველადი გადაუდებელი დახმარების კაბინეტის მუშაობის დამადასტურებელი მედიკამენტების აღრიცხვისა და გაცემისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის აღრიცხვის ჟურნალები.

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯღამე

ალექსანდრე კეკენაძე

თამარ ანალაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაბოშვილი

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით,სსიპ კოლეჯში ,,ახალი ტალღა“ მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

3. დაწესებულებაში შსს სსდ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2022 წლის 11 თებერვლის N364743 წერილით შეთანხმებულია სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს მიერ დამტკიცებულია 2022 წლის 15 თებერვლის N01-04/30 ბრძანებით და შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის #508 დადგენილებით დამტკიცებულ ,,სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმას“. ასევე, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობებში გაწერილია კოლეჯში საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების უზრუნველყოფა.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.

4. კოლეჯში მთელს ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია წესრიგის დაცვა შსს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ 2021 წლის 17 დეკემბრის დაცვის მომსახურეობის შესახებ N 03-08/188 ხელშეკრულების თანახმად. გარდა ამისა, კოლეჯის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული 12 დარაჯი და კოლეჯის ყველა შენობა და გარე პერიმეტრი კონტროლდება ინფორმაციის შენახვის ფუნქციის მქონე სათავლთვალო 69 კამერით. დაწესებულებას არცერთი საშტატო ერთეულის ფუნქციებში არა აქვს განსაზღვრული თუ ვინ ჰყავს ვიდეოსათვალთვალო კამერებზე პასუხისმგებელი პირი, როგორც მისი დაზიანების (ტექნიკური მხარე), ასევე საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის ამოღების (პროგრამული მხარე) ჭრილში.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

<u>ექსპერტთა რეკომენდაციაა, განსაზღვროს პასუხისმგებელი პირი ვიდეოსათვალთვალო კამერებზე როგორც ტექნიკურ, ასევე პროგრამულ ნაწილში.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ,,შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“;
- ✓ ინცინდენტების აღრიცხვის ჟურნალი;
- ✓ მედდასთან გაფორმებული ხელშეკრულება და სამუშაო აღწერილობა;



PDF Eraser Free

- ✓ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობის უსაფრთხოების შესახებ;
- ✓ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- ✓ "საგანგებო შტაბის შექმნა, საგანგებო შტაბის წევრთა ფუნქციონალური მოვალეობების განსაზღვრა და საგანგებო შტაბის შეტყობინების სქემა";
- ✓ დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;
- ✓ მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე;
- ✓ დარაჯებთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ✓ გაუმჯობესების გეგმა;
- ✓ შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან 2021 წელს 17 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულება N 03-08/188 დაცვის მომსახურებს შესახებ.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



PDF Eraser Free

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში არსებობს 1გბ-იანი ლოკალური ქსელი, შესყიდულია 100 მგ-იანი სიმძლავრის ინტერნეტ მომსახურება. ყველა კაბინეტი (ადმინისტრაციული, კალას-ლაბორატორია A და B გარემო) აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით - 279 პერსონალური კომპიუტერი, 135 ლეპტოპი შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით, 62 პროექტორი, 47 პრინტერი, 6 სიმულატორი, 4 სერვერი და ა. შ. კოლეჯის ეზოში ხელმისაწვდომია უკაბელო ინტერნეტი. ბიბლიოთეკაში განთავსებულია პერსონალური კომპიუტერები, რომლის მეშვეობით მკითხველები უკავშირდებიან ელექტრონულ ბიბლიოთეკას.

ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები -03/07/2020 წლის N01- 04/97 ბრძანების (ცვლილება 21.12.2020 წლის N 01-04/216 ბრძანებით) საფუძველზე დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები, აღნიშნულის საფუძველზე მოხდა ინტერნეტ-პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულების გადამოწმება და ამასთანავე IT ინფრასტრუქტურის ფიზიკური დათვალიერება, ასევე კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შემოწმება. **ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ინტერნეტ-რესურსი; ასევე ბიბლიოთეკაში განთავსებულ პერსონალურ კომპიუტერებში მკითხველებისათვის ხელმისაწვდომია ელექტრონული ბიბლიოთეკა.**

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯიაძე

ალექსანდრე კეკენაძე

თამარ ანანიაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაფარიძე

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

2. კოლეჯში არის სამი საშტატო ერთეული, ორი ქსელის სპეციალისტი და ერთი ქსელის ადმინისტრატორი, რომელთაც თანამდებობრივი ინსტრუქციით ევალებათ უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრა, განხორციელება და მონიტორინგი. ქსელის ადმინისტრატორი მართავს კოლეჯში IT რისკებს 03/07/2020 წლის N01- 04/97 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 21.12.2020 წლის N 01-04/216 ბრძანებით) „საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობისა და IT რისკების მართვის პოლიტიკის“ საშუალებით.

აღნიშნულის საფუძველზე პასუხისმგებელ პირთან მოხდა გასაუბრება და დასტურდება რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ IT რისკების მართვის პოლიტიკის საშუალებით ნამდვილად ხდება პოლიტიკის საფუძველზე დადგენილი წესების განხორციელება და მონიტორინგი. **ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას ნამდვილად ჰყავს მაღალკვალიფიციური ქსელის ადმინისტრატორი,რომელიც უზრუნველყოფს** საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;

3. კოლეჯი უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას კანონმდებლობით დადგენილი წესით - 22.07.2020 წლის N01-04/122 ბრძანებით დამტკიცებულია (ცვლილება 21.12.2020 წლის N01-04/216 ბრძანებით) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი.” აღნიშნული მექანიზმით შესაბამისად ხორციელდება პერსონალური მონაცემების დამუშავება; პერსონალურ მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. კოლეჯის ქსელის ადმინისტრატორის, ასევე სხვადასხვა საშტატო ერთეულის სამუშაო აღწერილობა ავალდებულებს პერსონალურ მონაცემთა დაცვას. ქსელის ადმინისტრატორი ახორციელებს თანამშრომელთა ტრენინგს პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით. ვებ-გვერდზე განთავსებულია თანამშრომელთა პირადი მონაცემები, ფოტო, ელ-ფოსტა. აღნიშნულთან დაკავშირებით მათი თანხმობა მოპოვებულია წერილობით და ინახება მათ პირად საქმეში. სტუდენტებთან გაფორმებულია წერილობითი თანხმობა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება უზურნველყოფს პერსონალური მონაცემების უსაფრთხოებას, ამასთანავე საშტატო ერთეულით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი - ქსელის ადმინისტრატორი თანამშრომლებისათვის ახორციელებს ტრენინგებს პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით.

4. კოლეჯში არსებობს სამი საშტატო ერთეული (ქსელის ადმინისტრატორი, 2 ქსელის სპეციალისტი, რომლებიც მუდმივად ახორციელებენ საინფორმაციო ინფრასტრუქტურის მონიტორინგს და პროფილაქტიკას დირექტორის 03/07/2020 წლის N01-04/97 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 21.12.2020 წლის N 01-04/216 ბრძანებით) „საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობისა და IT რისკების მართვის პოლიტიკის“ შესაბამისად.



PDF Eraser Free

აღნიშნულის საფუძველზე პასუხისმგებელ პირებთან ჩატარდა გასაუბრება და დასტურდება, რომ დაწესებულება პერმანენტულად ახორციელებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურის მონიტორინგსა და მონიტორინგის საფუძველზე პროფილაქტიკას.

5. კოლეჯის პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის მუდმივად ხელმისაწვდომია კომპიუტერული ტექნიკა და ინტერნეტი, და შესაბამისი მომსახურება ქსელის ადმინისტრატორისა და სპეციალისტების ხელშეწყობით. მეცადინეობების დასრულების შემდეგ პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება ისარგებლონ კოლეჯის კომპიუტერული ტექნიკით სასწავლო აუდიტორიებში შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მეთვალყურეობით, ბიბლიოთეკაში.

პასუხისმგებელ პირებთან, კოლეჯის პერსონალთან და პროფესიული სტუდენტებთან გასაუბრების საფუძველზე ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯის პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის მუდმივად ხელმისაწვდომია კომპიუტერული ტექნიკა და ინტერნეტი და შესაბამისი მომსახურება ქსელის ადმინისტრატორისა და სპეციალისტების ხელშეწყობით.

6. კოლეჯში ადმინისტრაციის, პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლებისთვის ფუნქციონირებს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა EFLOW. ხოლო სტუდენტებისთვის ინფორმაციის გაცვლა ხორციელდება ვებ-გვერდის, ფეისბუქ- გვერდის, ელექტრონული ფოსტისა და საქართველოს ფოსტის საშუალებით. კოლეჯის დირექტორის 14.07.2020 წლის N01-04/113 ბრძანებით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, ერთიანი საკომუნიკაციო პლათფორმის შექმნის (email-ის მეშვეობით) მიზნით პასუხისმგებელი პირი, რომელიც პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ახლადშექმნილ ელექტრონულ ფოსტას აწვდის რეესტრის სპეციალისტს, რომ მონაცემები ასახოს შესაბამის ბაზაში. დამატებით სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მხარდაჭერით კოლეჯში დანერგილია Office 365-ის პლატფორმა, როგორც თანამშრომლებისათვის, ისე პროფესიული სტუდენტებისთვის.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას დანერგილი აქვს ერთიანი საკომუნიკაციო პლატფორმა და ასევე Office 365-ის პლატფორმა, როგორც თანამშრომლებისათვის, ისე პროფესიული სტუდენტებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები
- ✓ „საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობისა და IT რისკების მართვის პოლიტიკა«



PDF Eraser Free

- ✓ ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ✓ კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ✓ პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში მოქმედებს დირექტორის 06.07.2020 წლის N01-04/100 ბრძანებით (ცვლილება 2020 წლის 21 დეკემბრის №01- 04/218 ბრძანება) დამტკიცებული „საქმისწარმოებისა და არქივის წარმოების წესი“ საქმისწარმოება კოლეჯში აგებულია ცენტრალიზაციის პრინციპით. მათ შორის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის WWW.EFLOW.EMIS.GE-ს საშუალებით. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია კოლეჯის საქმისმწარმოებელი. საქმისწარმოების წესის შესაბამისად საქმისმწარმოებლის მოვალეობაა: კოლეჯში შემოსული ყველა სახის დოკუმენტის რეგისტრაცია, პირველად დამუშავება, ელექტრონულ “pdf” ფორმატში გადაყვანა და ადრესატისათვის დაუყოვნებლივი გადაგზავნა; კოლეჯში მატერიალური



PDF Eraser Free
სახით შემოსული დოკუმენტის დედანის შენახვა და საჭიროების შემთხვევაში მისი შემსრულებლისათვის წარდგენა; დოკუმენტების გაფორმების სისწორის კონტროლი; ელექტრონული დოკუმენტის ჩამოწერის (უზრუნველყოფა არსებობის შემთხვევაში). კოლეჯის მატერიალური და ელექტრონული დოკუმენტაციის დროული გაგზავნის უზრუნველყოფა; მატერიალურად გასაგზავნი დოკუმენტის ამობეჭდვა და საჭიროების შემთხვევაში მატერიალური ხელმოწერის უზრუნველყოფა; დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღისა, დოკუმენტების რეგისტრაცია და ადრესატებისათვის მიწოდება; საქმისწარმოების წესის აქტუალიზება, წესისა და მასში განხორციელებული ცვლილებების გაცნობა პერსონალისათვის; საარქივოდ საქმეთა მომზადება და გადაცემა საარქივო საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირისათვის; საქმეთა ნომენკლატურის პროექტის მომზადება და დასამტკიცებლად წარდგენა; სხვა ფუნქცია-მოვალეობების შესრულება რაც უზრუნველყოფს კოლეჯში საქმისწარმოების შეუფერხებელ და სწორ წარმართვას. დაწესებულებაში საქმისმწარმოებელი საშტატო განრიგით არის გათვალისწინებული. აღნიშნულისა საფუძველზე ჩატარდა გასაუბრება პასუხისმგებელ პირთან, ამასთანავე შემოწმდა 06.07.2020 წლის N01-04/100 ბრძანებით (ცვლილება 2020 წლის 21 დეკემბრის №01-04/218 ბრძანება) დამტკიცებული „საქმისწარმოებისა და არქივის წარმოების წესი“ **. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში საქმისწარმოება აგებულია ცენტრალიზაციის პრინციპით და შეესაბამება ინდიკატორით გასაზღვრულ მოთხოვნებს.**

2. კოლეჯში მოქმედებს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა WWW.EFLOW.EMIS.GE. ყველა თანამშრომელი ჩართულია ელექტრონულ სისტემაში. ასევე გამოიყენება მართვის თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორიცაა teams, Google, office 365 , zoom და სხვა პლატფორმები. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის.**

3. კოლეჯში დირექტორის 03.06.2020 წ. N 01- 04/96 ბრძანებით (ცვლილება 2020 წლის 21 დეკემბრის №01-04/218 ბრძანება) განსაზღვრულია “პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მუშაობის წესი (რეესტრის წარმოების წესი)” რის საფუძველზეც უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საინფორმაციო სისტემაში (www.vet.emis.ge) სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ მუშაობის პირობებს, სისტემაში ინფორმაციის მიწოდებასა და სისტემაში შეტანაზე პასუხისმგებელ პირებს, ინფორმაციის შეტანის, რეგისტრირებულ ინფორმაციაში ცვლილების განხორციელების, ინფორმაციის ამოღების ვადებსა და წესებს. წესი არეგულირებს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კოლეჯის შესახებ იმ ინფორმაციის ასახვისა და სისტემატიზაციის საკითხებს, რომელიც დაკავშირებულია საგანმანათლებლო დაწესებულებების,



PDF Eraser Free

შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების, ადმინისტრაციული პერსონალის, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე/ჩარიცხული პირების პერსონალური მონაცემების შესახებ (მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში - მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემები), აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ინფორმაციასთან; კოლეჯს საშტატო განრიგით ჰყავს რეესტრის წარმოების სპეციალისტი, რომელიც ვალდებულია დადგენილ ვადებში შეიტანოს შესაბამისი ინფორმაცია სისტემაში. იგი პასუხისმგებელია შეტანილი ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.**

4. კოლეჯი მუდმივ მოქმედ რეჟიმში, დროულად აწვდის შესაბამის ინფორმაციას ზემდგომ ორგანოებს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წელიწადში ერთხელ, წლის ბოლოს, მინისტრის სახელზე ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის საშუალებით, ხორციელდება კოლეჯის მთელი წლის საქმიანობის ანგარიშის წარდგენა. ასევე, წლის განმავლობაში, ეტაპობრივად ხდება ინფორმირება ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება კოლეჯის ძირითად საქმიანობას. შემოსულ კორესპოდენციასთან დაკავშირებით ხდება უკუკავშირი, ინფორმაციის გაცვლა, განაცხადების შეტანა, რეკომენდაციების მიღება და ა. შ. იმ მნიშვნელოვან ზემდგომ ორგანოებთან, როგორიცაა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, მასწავლებელთა პროფესიული უნარების განვითარების ცენტრი (მასწავლებელთა სახლი), საგანმანათლებლოდა სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტო და ა. შ.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება ზემდგომ ორგანოებს დროულად აწვდის შესაბამის ინფორმაციას, შემოსულ კორესპოდენციასთან დაკავშირებით ხდება დროული უკუკავშირი და შესაბამისი საქმისწარმოება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ „საქმისწარმოებისა და არქივის წარმოების წესი“ ;
- ✓ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- ✓ საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა EFLOW.EMIS.GE (პროგრამული უზრუნველყოფა);
- ✓ მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენცია, გაგზავნილი ანგარიშები.

შეფასება:



PDF Eraser Free

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდი (kpc.ge) და სოციალური ქსელი (facebook -სსიპ კოლეჯი "ახალი ტალღა") ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, რომლის საშუალებითაც ინფორმაცია გონივრულ ვადაში მიეწოდება დაინტერესებულ პირებს. ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას, იგი ასევე წარმოადგენს საკომუნიკაციო პლატფორმას (უკუკავშირის შესაძლებლობა). ვებგვერდზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია. ვებგვერდზე დატანილია ყველა ის არსებითი ინფორმაცია, რაც იძლევა პროფესიულ განათლებაში კოლეჯის ადგილისა და როლის ამოცნობის საშუალებას, კერძოდ: კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები,



PDF Eraser Free
დაწესებულების სტრუქტურა, ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, ინფორმაცია პერსონალის შესახებ, ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ, პროგრამების ანოტაციები: (სახელწოდება, ჩარიცხვის წინაპირობები, პროცედურები, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის დასრულების შემდეგ გასაცემი დოკუმენტი, კურსდამთავრებულთა დასაქმების ან შემდგომი სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები; სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, როგორიცაა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტაცია, საბიბლიოთეკო რესურსები, ელექტრონული კატალოგი; კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, წლიური ანგარიშები; ინფორმაცია პროფესიული სტუდენტებისთვის, მათ შორის სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისების შესახებ; დასაქმების შესაძლებლობები: ინფორმაცია პარტნიორი ბიზნეს ორგანიზაციების შესახებ, დასაქმებისსტატისტიკა, დასაქმების ხელშემწყობი აქტივობები და სერვისები; საზოგადოების ინტერესის დასაკმაყოფილებლად გამიზნული ინფორმაცია, როგორც მიმდინარე პროცესები და აქტივობები, ასევე დაგეგმილი ღონისძიებები და დროული სიახლეები; მედია კომუნიკაციის ამსახველი მასალა: პრესრელიზები, საგაზეთო პუბლიკაციები, სატელევიზიო/რადიო გაშუქებები; კოლეჯის საქმიანობის ამსახველი ფოტო და ვიდეო გალერეა და სხვა.ვებგვერდზე შესაძლებელია მარტივი ნავიგაცია. ინფორმაცია განთავსებულია ლოგიკურად დაჯგუფებულ და დასათაურებულ რუბრიკებში. არსებობს სიტყვით ძებნის ფუნქცია. **ექსპერტებმა დაადგინეს, რომ დაწესებულებას აქვს ოფიციალური ვებგვერდი (kpc.ge), რომელშიც ჩაშენებულია კატალოგი და სოციალური ქსელი (facebook -სსიპ კოლეჯი "ახალი ტალღა"), რომლებიც ასრულებენ საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, რომლის საშუალებითაც ინფორმაცია გონივრულ ვადაში მიეწოდება დაინტერესებულ პირებს, რითიც ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯის „ახალი ტალღა“ ხედვაში განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი და შესაბამისად კოლეჯი თანამშრომლობს სხვადასხვა ქვეყნების პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, გამომდინარე აქედან კოლეჯს აქვს ინგლისურენოვანი ვებ-გვერდი, რომელიც გამართულად ფუნქციონირებს. **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კოლეჯის დირექტორის 07.07.2020 წლის N01-04/104 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 24.12,2020 წლის N01-04/220ბრძანებით) „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი" განსაზღვრავს კოლეჯის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელების პირობებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებების ჩატარების გზებს, შიდა და გარე

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯღამე
ალექსანდრე კეკენაძე
თამარ ახალაძე
ნინო მოწყობილი
გიორგი ნაბეიშვილი
მამუკა ხომტარია
მაგული მებონია
ნატალია ბარათელი
მაკო ჯაფოშვილი
ნინო ბოკუჩავა
დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

კომუნიკაციის მართვის პრინციპებს, საინფორმაციო საშუალებების (ვებ. გვერდი, ელ-ფოსტა, სოციალური მედიის არხები) მართვისა და განვითარების სტრატეგიებს. წესი ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზისა და რეაგირების ფორმებს. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესწავლა, საზოგადოებასთან საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების პრაქტიკა, გავრცელებული ინფორმაციის შინაარსები, ჩატარდა გასაუბრება კოლეჯში ღონისძიებების ჩატარებასა და პიარზე პასუხისმგებელს პირებთან .საზოგადოებისთვის საინტერესო და ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მათ შორის ,ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებებიც ატვირთულია კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.**

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ - კატალოგი განთავსებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე: პროგრამების აღწერილობებით, სადაც მითითებულია პროგრამების ხელმძღვანელთა საკონტაქტო ინფორმაცია (მოპოვებულია თანხმობა) და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ და დეტალური ინფორმაცია მიიღონ პროგრამების შესახებ.

ასევე განთავსებულია ინფორმაცია პროფესიული მომზადება და პროფესიული გადამზადების პროგრამების შესახებ.

ექსპერტთა შეფასებით, სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას მათი საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

5. პროგრამების კატალოგის განახლება ხორციელდება პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად https://kpc.ge/catalogue.html კატალოგში მოცემულია შემდეგი ზოგადი ინფორმაცია: კოლეჯის მოკლე აღწერილობა, მისია, ხედვა, ღირებულებები; სტუდენტის სტატუსის მოპოვება; სტუდენტის შეფასება; სსმ/შშმ სტუდენტთა სწავლება;

თითოეულ პროგრამაზე:

- მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:
- კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:
- პროგრამის მიზანი:
- სწავლის შედეგები:



PDF Eraser Free

- პროგრამის მოცულობა:
- პროგრამის ხანგრძლივობა:
- პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციები;

ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ვებ-გვერდზე https://kpc.ge/catalogue.html პროგრამების კატალოგის განახლება ხდება ცვლილების შემთხვევაში, დაწესებულებას აგრეთვე საჯაროდ გამოქვეყნებული აქვს ყველა ის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც დაინტერესებულ მხარეს დაეხმარება პროგრამისა თუ სხვა ტექნიკური საკითხების დასადგენად და **დაწესებულება აკმაყოფილებს ინდიკატორით განსაზღვრულ მოთხოვნებს;**

6. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა თუ საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში კოლეჯი სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს რა ხერხებით იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. კოლეჯის საკომუნიკაციო არხებიდან მ. შ. სოციალური ქსელიდან შემოსული ინფორმაცია საჭიროების შემთხვევაში იტვირთება EFLOW-ის სისტემაში, რათა მოხდეს დროული და ეფექტური რეაგირება შესაბამისი პასუხისმგებელი პირებიდან. წერილს ენიჭება ნომერი და ისაზღვრება რეაგირების ვადა, რომლის დაცვა ხორციელდება შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ. აგრეთვე, გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ დაწესებულებას მყისიერი რეაგირება აქვს სოციალური ქსელიდან შემოსული მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღების შემთხვევაში მასზე დროული და ეფექტური უკუკავშირის გასაცემად და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების მიხედვით ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან განიხილება მათ საფუძველზე კოლეჯის განმავითარებელი აქტივობები, რაც ადასტურებს, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი";
- ✓ დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება;
- ✓ მოქმედი ვებგვერდი ქართულ ენაზე kpc.ge, ასევეინგლისურენოვანი ვებგვერდი.
- ✓ კატალოგი;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

თავმჯდომარე:		ნინო ვასაძე
წევრები:		ნიკა ჯიაძე
		ალექსანდრე კეკენაძე
		თამარ ანალაძე
		ნინო მოწყობილი
		გიორგი ნაბეიშვილი
		მამუკა ხომტარია
		მაგული მებონია
		ნატალია ბარათელი
		მაკო ჯაფარიძე
		ნინო ბოკუჩავა
		დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

□ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება - კოლეჯში ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე. მათი განმარტებვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის მიერ ხდება კოლეჯის ფინანსური შესაძლებლობების მიხედვით აქტივობების დაგეგმვა და პირიქით, ახალი მნიშვნელოვანი აქტივობის დაგეგმვის პროცესში ხდება შესაბამისი ფინანსური რესურსების მოძიების შესაძლებლობებისა და წყაროების განსაზღვრა. ამგვარად, საერთო ჯამში, სამოქმედო გეგმის შესაბამისად დგება ყოველი წლის ბიუჯეტისა და შესყიდვების გეგმა. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელებას კოლეჯი უზრუნველყოფს პროგრამული და ვაუჩერული დაფინანსებით და ასევე, გააჩნია საკუთარი სახსრები, მიზნობრივი ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტები. **ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება.**

2. კოლეჯის საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, რომელიც მოიცავს როგორც სახელფასო ანაზღაურების, კომუნალური გადასახადების, ისე მომსახურებისა და შესყიდვების და სხვა საჭირო ხარჯს. ვიზიტისას ექსპერტთა მიერ გადამოწმებული იქნა კოლეჯის ფინანსური დოკუმენტაცია, სამეურნეო და ინვენტარის შესყიდვების, კომუნალური გადასახადების გადარიცხვების, სახელფასო ანაზღაურების, სხვადასხვა მომსახურების



PDF Eraser Free
შესყიდვების და სხვა საოპერაციო ხარჯების შესახებ. **ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯის საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.**

3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას, რაც დადასტურდა კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებითა და მათი ფინანსური ანგარიშების შესწავლით. მათი განმარტებით სსიპ კოლეჯში ,,ახალი ტალღა“ ხორციელდება წინა წლის ფინანსური სიტუაციის ანალიზი, ასევე, ყოველი წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის ქვეყნდება ვებგვერდზე https://kpc.ge/about-us/Accounts და ხორციელდება ანგარიშის წარდგენა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. სახელმწიფო კოლეჯები არ არიან ვალდებულები ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე განათავსოს ყოველწლიური ფინანსური ანგარიში.**შესაბამისად, სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღა“ უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.**

4. საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტური შეფასების შედეგად კოლეჯი გეგმავს შემდეგი წლის აქტივობების გათვალისწინებით ბიუჯეტის შემუშავებას და ყოველი წლის ივლისში წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტის პროექტს იმ მოცულობით, რომელიც დასტურდება წინა წლების ფინანსური ანალიზით, რის შემდეგაც სამინისტროსთან ერთობლივი მუშაობის შედეგად ყოველი წლის დასაწყისში ხდება მისი დამტკიცება. განხილული იქნა რა ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ წინა წლების კოლეჯის დაფინანსების, ხარჯებისა და შემოსავლების დინამიკა, წყაროები, **შესაბამისად, დადგინდა, რომ დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა'' 2021 და 2022 წლის ბიუჯეტები;
- ✓ კოლეჯის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;
- ✓ სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა'' სამოქმედო გეგმა 2021 და 2022 წლებისთვის“;
- ✓ კოლეჯის 2021 წლის ფინანსური ანგარიში;
- ✓ შემოსავლებისა და ხარჯების დინამიკა 2016-2021წ.წ. https://kpc.ge/about-us/Accounts

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება



PDF Eraser Free

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის, განხორციელების ფორმისა და ენის მიხედვით. *(ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)*



PDF Eraser Free

პროგრამის სახელწოდება	მეფუტკრეობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მეფუტკრეობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	აჭარა, ქობულეთი, რუსთაველის №154
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	26
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	0
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	0

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯიაძე

ალექსანდრე კეკენაძე

თამარ ანალაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ბაბეშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაბოშვილი

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

RDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	62
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	0
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	77



PDF Eraser Free

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	



PDF Eraser Free

XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯიაძე

ალექსანდრე კეკენაძე

თამარ ანალაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაფარიძე

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ივნისის # 01-04/84 ბრძანებით(ცვლილება 20.04.2021 წელი ბრძანება N01-04/53) დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომლის მეორე მუხლის პირველი და მეორე პუნქტით განსაზღვრულია, რომ პროგრამის დასამატებლად საჭიროა ინიცირება, რომლის საფუძველზეც კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი მოიპოვებს ინფორმაციას და წარმოადგენს პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას. ამავე დოკუმეტით არის განსაზღვრული ის ჩამონათვალი, რასაც უნდა ეყრდნობოდეს პროგრამის დასაბუთება. „მეფუტკრეობის“ საგანმანათლებლო პროგრამაც ეფუძნება შესაბამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას და ეყრდნობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს 2022 წლის 27 იანვრის # 01-1813 წერილს და საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობისა და პროფესიული კვალიფიკაციების მოთხოვნა - მიწოდების შესაბამისობა ანგარიშს. დაწესებულებას მიზანშეწონილობის დოკუმენტში განხილული აქვს პროგრამის დამატებისთვის საჭირო ყველა აუცილებელი საკითხი. დაწესებულება ახორციელებს მრავალპროფილურ პროგრამებს, მოცემული პროგრამის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება თანხმობაშია კოლეჯის მისიასთან და პროგრამის ხელახალი ავტორიზაცია განსაზღვრულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმით სხვა პროგრამებთან ერთად. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**
2. მეფუტკრეობის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღრულია საბაზო განათლება. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 23 აგვისტოს №01-04/128 ბრძანებით დამტკიცებულია „საჯარო სამართლის იურიდიულ პირი კოლეჯი „ახალი ტალღის“ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე“ აპლიკანტის ჩარიცხვის წესი“, რაც წინააღმდეგობაში არ მოდის „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის # 42/ნ ბრძანებასთან. ჩარიცხვის წესის მე-7 მუხლით განსაზღვრულია აპლიკანტის შეფასება პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**



PDF Eraser Free

3. კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის 2022 წლის 14 იანვრის # 01/04-06 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. მოცემული დოკუმენტით განსაზღვრულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა კვოტის განსაზღვრის წესი, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია როგორც მატერიალური, ისე ადამიანური რესურსი, ასევე სასწავლო გარემოების გამოყენება შესაძლებელია ცვლებში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთება მეფუტკრეობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ ეფუძნება შესაბამის მეთოდლოგიას და განსაზღვრულია 26 პროფესიული სტუდენტით. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

4. მეფუტკრეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა მოიცავს იმ აღჭურვილობისა და მატერიალური რესურსის ჩამონათვალს, რაც უნდა იქნას გამოყენებული მოდულების განხორციელებისას. აღნიშნული ჩამონათვალი სრულ შესაბამისობაშია სოფლის მეურნეობის(მეფუტკრეობის მიმართულების) ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სარეკომენდაციო და აუცილებელ აღჭურვილობასა და საგანმანათლებლო რესურსებთან თითოეული მოდულის შესაბამისად. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

5. სოფლის მეურნეობის(მეფუტკრეობის მიმართულების) ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული არ არის არჩევითი მოდულები. კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის 2020 წლის 14 აპრილის # 01/04-56 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2022 წლის 21 იანვარი # 01/04-08) დამტკიცებული მეფუტკრეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს დამატებით არჩევით მოდულს მეწარმეობა 1-ს. პროგრამის ხელმძღვანელმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ მოდულის შინაარსიდან გამომდინარე, მოდულით განსაზღვრული სწავლის ოთხივე შედეგი-ბიზნესის დაგეგმვა/რეგისტრაცია, ბიზნესის ორგანიზება, პროდუქციის/მომსახურების რეალიზაცია, გამარტივებული ფინანსური აღრიცხვა- ანგარიშგების წარმოება-დაეხმარება პროგრამის კურსდამთავრებულს საკუთარი საქმიანობის წარმართვაში, რადგანაც მეფუტკრეობის კურსდამთავრებულები ძირითადად თვითდასაქმებულები არიან, მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგები მათ საქმიანობას გაუმარტივებდა. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.**



PDF Eraser Free

ექსპერტთა რეკომენდაცია: მეფუტკრეობის სასწავლო გეგმაში-პროგრამის მონაცემების დოკუმენტის მე-9 პუნქტში ჩანაწერი „შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევითი სტატუსის მოდულებს“ ჩასწორდეს, რადგან პროგრამა მოიცავს არჩევით მოდულს მეწარმეობა 1-ს.

6. კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის 2020 წლის 20 მაისის #01-04/66 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ მეხუთე მუხლის მეოთხე პუნქტით განსაზღვრულია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 14 აპრილის # 01/04-56 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2022 წლის 21 იანვარი # 01/04-08) დამტკიცებულია მეფუტკრეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

7. მეფუტკრეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები: სეზონურად მოუაროს და შეინახოს ფუტკარი; მართოს ფუტკრის მავნებელი დაავადებები; დაამზადოს ფუტკრის სკა; მიიღოს ფუტკრის პროდუქტები - დინდგელი, ცვილი, ყვავილის მტვერი, რძე, შხამი; უზრუნველყოს ფუტკრის პროდუქტების მიღება- რეალიზაცია-სრულ შესაბამისობაშია პროგრამის სახელწოდებასთან. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

8. კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის 2020 წლის 20 მაისის #01-04/66 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ მეხუთე მუხლის მეოთხე პუნქტით განსაზღვრულია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 14 აპრილის # 01/04-56 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2022 წლის 21 იანვარი # 01/04-08) დამტკიცებულია მეფუტკრეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები სწავლის შედეგები, ინფორმაცია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების, კრედიტების და პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, ჩანაწერები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯღიაძე

ალექსანდრე კეკენაძე

თამარ ანანიაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაბოშვილი

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free
სწავლების თაობაზე. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით. პროგრამას თან ერთვის ზოგადი,ინტეგრირებული, არჩევითი და პროფესიული მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების დაცვითა და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის მითითებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობის ‘‘ მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 62 კრედიტია, ხოლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 77 კრედიტს. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ კოლეჯის მისია და ხედვა ;
- ✓ სტრატეგიული გავითარების გეგმა(2019-2025) ;
- ✓ პროგრამის დამატების დასაბუთების დოკუმენტი;
- ✓ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია ;
- ✓ საგანამანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობის“ სასწავლო გეგმა ;
- ✓ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“;
- ✓ ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



PDF Eraser Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ კოლეჯს “ახალი ტალღა“ ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობას“ ქობულეთში . სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 26 სტუდენტს ორ ცვლაში. თითოეულ ცვლაში - 13 პროფესიული სტუდენტი. საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ მიზანია ხელი შეუწყოს მეფუტკრეობასა და თაფლის წარმოებასთან დაკავშირებული საქმიანობის გაფართოებას, საფუტკრე მურნეობების მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, გამრავალფეროვნებას, წარმოების ზრდას და კომერციალიზაციას. ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის სფეროსთვის შესაბამისი კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდას მეფუტკრეობაში. ჩარჩო-დოკუმენტის ,,სოფლის მეურნეობა“, საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მეფუტკრეობა“ განხორციელებისთვის კოლეჯს გააჩნია შესაბამისი



PDF Eraser Free
სასწავლო გარემო და ტექნიკური აღჭურვილობით. ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა მტერიალური ბაზა. პროგრამის განხორციელებისათვის კოლეჯს ქობულეთში გააჩნია A /C სასწავლო გარემო - თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის. A/C - სასწავლო გარემო აღჭურვილის შესაბამისი ინვენტარით, მაგიდა სკამებით , აღჭურვილობის შესანახი სათავსებით, სამუშაო მაგიდით, დაფით, მასწავლებლის მაგიდითა და ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, საჭიროების შემთხვევაში, დემონსტრირების საშუალებით (პროექტორი). A / C გარემოში განთავსებულია ინვენტარი 13 პროფესიულ სტუდენტზე ერთ ცვლაში-ორ ცვლაში 26 პროფესიულ სტუნდენტზე მათ შორის: სამუშაო ხელსაწყოები, მასალა და ინვენტარი. კოლეჯის ეზოში განლაგებულია სადემონსტრაციო საფუტკრე მეურნეობა ღია ცის ქვეშ ფუტკრის ოჯახებით. მეფუტკრეობის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ამასთან ერთად, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება მეფუტკრეობის პროგრამის ფარგლებში - 2021 წლის 16 ნოემბერს. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2028 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით, პროგრამის ავტორიზაციის ვადით. გავესაუბრეთ ხელშეკრულებაზე ხელმომწერ ი/მ მალაყმაძეს, რომელმაც აღნიშნა რომ ის არის კოოპერატივ „ნატურ გიფტ“ ის წევრი - ის ახდენს თაფლის, ფიჭის, ფუტკრის რძის შხამის, არყის წარმოება- დაფასოება, ეტიკეტირებას. ასევე ახდენს დედების გამოყვანას. ი/მ -ს შეუძლია ერთ ჯერზე მიიღოს - 13 პროფესიული სტუდენტი, რადგან კოოპერატივში - რომლის წევრი ისიც არის ჰყავთ 750 ფუტკრის ოჯახი. კოოპერატივი მიზნად ისახავს ბიო თაფლის წარმოებას და ბიო სერთიფიკატის მიღებას. პროდუქტების რეალიზაციას ახდენენ ადგილობრივ ბაზარზე. ხელშეკრულების მიხედვით, ინდ /მეწარმე ვალდებულია 8 პროფესიული მოდულის ფარგლებში (ჩამოთვლილია მოდილთა დასახელება) უზრუნველყოს სტუდენტთა დაშვება რეალურ სამუშაო გარემოში და განახორციელოს მატერიალურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა. ამასთან ერთად ინდ/ მეწარმე ვალდებულია უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო და სასწავლო გარემოს შექმნა, სამუშაოს დაწყებამდე გააცნოს სტუდენტს შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ნორმები. კოლეჯმა წარმოადგინა ყველა ინვენტარის ფლობის და მასალა-ნედლეულის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, აღნიშნული აღჭურვილობის და მასალების არსებობა დასტურდება ვიზუალური დათვალიერებით. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**



PDF Eraser Free

ექსპერტთა რეკომენდაცია: ინვენტარი და აღჭურვილობა განთავსებული იყოს შესაბამის ადგილზე, დაცული იყოს ჰიგიენის ნორმები და სტუდენტისათვის სასიამოვნო სასწავლო გარემო იყოს შექმნილი.

2. სსიპ კოლეჯში „ახალი ტალღა “ პროფესიულ მასწვლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვლიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ პროგრამაში ჩართულ თითოეულ მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, კომპეტენცია და სამუშაო გამოცდილება, რასაც ადასტურებს მათ მიერ კოლეჯში წარდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ყველა პედაგოგის პირადი საქმეების შესწავლა. წარმოდგენილი მასალები დამაკმაყოფილებელია და პედაგოგების კომპეტენცია იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. მეფუტკრეობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია 9 პროფესიულ მასწავლებელთან, რომელთაგან 7 უძღვება ზოგად სავალდებულო მოდულებს. პროფესიულ მოდულებს ანხორციელებს 2 მასწავლებელი. პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა რაოდენობა არის 26 პროფესიული სტუდენტი. პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის შეფარდება სტუდენტების ზღვრულ რაოდენობასთან არის 9/26, რაც სრულად უზრუნველყოფს მეფუტკრეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

3. დაწესებულება მუდმივად ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე. მათი შიდა შეფასება ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე, რომელიც ჩამოყალიბებულია პროფესიული სტანდარტის საფუძველზე. ხოლო საჭიროების შემთხვევაში დარგობრივი კომპეტენციების შეფასებას ხდება პროფესიის სტანდარტის საფუძველზე. აღნიშნულის საფუძველზე, უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებელ პირთან ერთად იგეგმება მასწავლებლის ინდივიდუალური განვითარების გეგმა, აღნიშნული გეგმის შესრულებაში მასწავლებელთა ხელშეწყობა არის კოლეჯის სამოქმედო გეგმის ნაწილი. კოლეჯი სისტემატიურად ზრუნავს პესონალის განვითარებაზე, წარმოდგენილი აქვთ „პერსონალის შეფასების წესი და საჭიროებათა კვლევის კითხვარი“ - დამტკიცებული ბრძანებით 2020 წლის 28 დეკემბერი #01-04/225. მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებათა კვლევის გაანალიზების შემდეგ კოლეჯის ადმინისტრაცია და ხარისხის სამსახური ადგენს წლის განმავლობაში ეტაპობრივად ჩასატარებელი ტრენინგების გეგმას. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა ტრენინგების ჩამონათვალის თემატიკა ჩასატარებელი თვეების მიხედვით. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა პედაგოგების პირადი საქმე, ასევე



PDF Eraser Free

გავესაუბრეთ მათ. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის განმახორციელებელი პირები არიან შესაბამისი კომპეტენციის და აქვთ სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის კოლეჯს ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებლები, რომელთაც აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

4. მეფუტკრეობის პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება მისი კვალიფიკაციის და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციით. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს საუკეთესო პრაქტიკული გამოცდილება და თეორიული ცოდნა, იმისათვის, რომ მან შეძლოს საუკეთესოდ უხელმძღვანელოს მეფუტკრეობის პროგრამას. სასწავლო დაწესებულებას გაწერილი აქვს პროგრამის ხელმძღვანელის მიმართ ფუნქცია-მოვალეობები, რომელსაც ეთანხმება და ხელმოწერით ადასტურებს პროგრამის ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელის დანიშნულებაა უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და საგანმანათლებლო პროგრამის მართვა. მასწავლებელთან ერთად, ვალდებულია იზრუნოს პროგრამის განვითარებაზე, მის მონიტორინგზე პროგრამის ადეკვატურ განხოციელებაზე, პრაქტიკისა და თეორიის კომპონენტის შეთავსებაზე, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსების განვითარებაზე. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში, რითიც ხელს უწყობს პროგრამის განვითარებას. პროგრამის ხელმძღვანელი სპეციფიკის გათვალისწინებით უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოში უსაფრთხოების წესების გაცნობას. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

5. კოლეჯს პროგრამის განხორციელებისათვის გააჩნია შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. დაწესებულებას აქვს სამკითხველო დარბაზი, სადაც განთავსებულია კომპიუტერები. სტუდენტებს საჭიროებისამებრ შეუძლიათ სასწავლო რესურსების გამოყენება. ბიბლიოთეკის ფონდი, გარდა სავალდებულო ლიტერატურისა, მოიცავს სხვა სახის ლიტერატურასაც. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული. პროგრამით გათვალისწინებული ყველა წიგნი აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული. **ექსპერტთა შეფასებით,**

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯღამე

ალექსანდრე კეკენაძე

თამარ ანანიაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაბოშვილი

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო სასწავლო რესურსებთან. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სსსმ პირთა ასისტენტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ - ერთი ფუნქციაა უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა, ხოლო სსსმ პირთა ასისტენტის ფუნქცია უზრუნველყოს სტუდენტის სამუშაო და სასწავლო მასალის ადაპტირება. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-17 მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალურ გეგმის შედგენისას ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა. ამ ეტაპზე პროგრამაზე ასეთი პირები არ ირიცხებიან. **ექსპერტთა შეფასებით, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

7. საგანმანათლებლო პროგრამა დაფინანსდება სამინისტროს მიერ ვაუჩერულად, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კოლეჯს შემუშავებული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც კონკრეტულად გათვლილია თანხის რა ნაწილი რაზე იხარჯება. გაწერილია პროგრამის განხორციელებისათვის სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა. დაწესებულების მიერ შემუშავებულია პროგრამის ბიუჯეტიდან ირკვევა რომ პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარს შეადგენს მინიმუმ 8 პროფესიულ სტუდენტს. ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. შემოსავლების მთავარი წყარო სწავლის საფასური - ვაუჩერი და პროგრამული დაფინანსებაა. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებს ძირითადად წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება და პროგრამის სასწავლო მასალების, მასალა-ნედლეულის ღირებულება. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):



PDF Eraser Free

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამით „მეფუტკრეობა“;
- ✓ მეფუტკრეობის პროგრამსათვის საჭირო მატერიალურ- ტექნიკური აღჭურვილობის დანართით;
- ✓ მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაციით;
- ✓ პროგრამის განმახორციელებლების დანართით;
- ✓ პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეებით;
- ✓ ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო წესით დამუშავეული სასწავლო რესურსით;
- ✓ პროგრამის ბიუჯეტით;
- ✓ გასაუბრების შედეგებით;
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით;
- ✓ „ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის შერჩევის წესი და პირობები“
- ✓ „ახალი თანამშრომლის სამუშაოსთან ადაპტაციისა და ორგანიზაციასთან ინტეგრაციის წესი“;
- ✓ „ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება პოლიტიკის დოკუმენტი“ ;
- ✓ ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #03-08/35 – 11 აპრილი 2022 წელი;
- ✓ „პერსონალის შეფასების წესი და საჭიროებათა კვლევის კითხვარი“ ;
- ✓ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“;
- ✓ პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში მოქმედებს დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222(ცვლილება 2021 წლის 29 ნოემბრის N01-04/212) ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“, რომელიც მოიცავს სისტემურობას და ხარისხის კონტროლის ციკლურ სისტემას -„დაგეგმე - განახორციელე-შეამოწმე და განავითარე“. ასევე 2021 წლის 20 მაისის N01-04/66 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელიც ითვალისწინებს არა მარტო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესებს, არამედ პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმს, პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზს და მასში ცვლილებების განხორციელების წესს და პროცედურებს. პროგრამის შეფასების მიზნით გამოიყენება უკუკავშირის მექანიზმი. შექმნილია კითხვარები, რომლითაც ხდება დამსაქმებლის გამოკითხვა. არსებული მექანიზმი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, სოციალური პარტნიორებისგან, პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების მოსაზრებებს, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას, უახლესი კვლევის შედეგებს. ანალიზის დროს კოლეჯი ითვალისწინებს სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგებსაც. სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების მიმდინარეობას და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. **ექსპერტთა შეფასებით,**



PDF Eraser Free

პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ დირექტორის 2021 წლის 20 მაისის N01-04/66 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომლის მე-6 და მე-7 მუხლით რეგულირდება პროგრამაში ცვლილებების შეტანა. დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, ცვლილებების ინიციატორი შეიძლება იყოს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაცია და სხვა დაინტერესებულ პირები. ხოლო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებლივი აქტით. მეფუტკრეობის საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილება სამჯერ განხორციელდა, რაც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ საგანამანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობის“ სასწავლო გეგმა ;
- ✓ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“;
- ✓ „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;
- ✓ ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯიაძე
ალექსანდრე კუკუნაძე
თამარ ანალაძე
ნინო მოწყობილი
გიორგი ნაბეიშვილი
მამუკა ხომტარია
მაგული მებონია
ნატალია ბარათელი
მაკო ჯაოშვილი
ნინო ბოკუჩავა
დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მეფუტკრეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას; სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის სავარაუდო კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმაში დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისთვის. კოლეჯში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო გეგმის შესაბამისად, რაც დასტურდება პროფესიულ მასწავლებლებთან და პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრებით. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.**

2. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესი და პირობები“, რომლითაც დაწესებულება არეგულირებს საჭიროების შემთხვევაში დისტანციური სწავლების პროცესს. სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა სწავლის შედეგების მისაღწევად, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ხდება სასწავლო გეგმის მოდიფიცირება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმი.



PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით, პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. პროგრამა აღჭურვილია ყველა იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით. პროფესიული განათლების მასწავლებლებს სისტემატიურად უტარდებათ ტრენინგები, სწავლებისა და შეფასების საკითხებზე, როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ასევე, კოლეჯის მართვის მენეჯერის ხემძღვანელობით ტარდება ტრენინგები და საკონსულტაციო შეხვედრები, რაც დასტურდება ცნობებით, სერტიფიკატებითა და ტრენინგებზე დასწრების ფურცლებით. **ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

4. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-17 მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურები, რომლეიც ითვალისწინებს როგორც მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას . აღნიშნული მექანიზმი გამოიყენება როგორც სსსმ პროფესიულ სტუდენტთან, ასევე საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის მობილობისას, სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის ,მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

5. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ი.მ თენგიზ მალაყმაძესთან, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობის ხელმისაწვდომობას მეფუტკრეობის საგანმანათლებლო პროგრამის 26 პროფესიული სტუდენტისთვის. ხელშეკრულება ძალაშია 2028 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით. **შესაბამისად, პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.**

6. დაწესებულებას გაწერილი აქვს შრომის უსაფრთხოების წესები (მათ შორის მეფუტკრის პროგრამისათვის), სადაც არ არის ჩანაწერი ისეთ სპეციფიკურ საკითხთან დაკავშირებით, როგორიცაა ფუტკრის დაკბენის შემთხვევაში, ალარგიული რეაქციების განვითარების თავიდან ასაცილებლად საჭირო ღონისძიებების შესახებ და სასწრაფო ქმედების შესახებ. **ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო**



PDF Eraser Free

პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ექსპერტთა რეკომენდაციაა, შრომის უსაფრთხოების წესში ჩაემატოს ჩანაწერი ფუტკრის დაკბენის შემთხვევაში, ალარგიული რეაქციების განვითარების თავიდან ასაცილებლად საჭირო ღონისძიებების შესახებ და განხორციელებდეს ინსტრუქტაჟი პროფესიულ სტუდენტებთან ამ საკითხთან დაკავშირებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ✓ სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესი და პირობები;
- ✓ საგანამანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობის“ სასწავლო გეგმა ;
- ✓ ხელშეკრულება(01-42/49; 16.11.2021წ) ი.მ. თამაზ მალაყმაძესთან;
- ✓ ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

თავმჯდომარე:	ნინო ვასაძე
წევრები:	ნიკა ჯიაძე
	ალექსანდრე კეკენაძე
	თამარ ანალაძე
	ნინო მოწყობილი
	გიორგი ნაბეიშვილი
	მამუკა ხომტარია
	მაგული მეპონია
	ნატალია ბარათელი
	მაკო ჯაოშვილი
	ნინო ბოკუჩავა
	დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-14 და მე-14[1] მუხლით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და რაოდენობა და ვადები, ინფორმაცია გამოყენებული ინსტრუმენტის შესახებ - წერილობითი გამოკითხვის დროს, დახურული ტიპის კითხვების გამოყენების შემთხვევაში ინსტრუმენტი შეცვლილია, ხოლო პრაქტიკული დავალებების შემთხვევაში დატოვებულია შეფასების იგივე ინსტრუმენტი განმეორებით გამოცდის დროსაც. მარეგულირებელი წესი მოიცავს ნამუშევრის გასწორებისა და შეფასების ვადებს. შეფასების სისტემა ეფუძნება სანდოობის, ვალიდურობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების წესი მოიცავს ინფორმაციას ინტეგრირებული პროგრამების შეფასების შესახებ, რომელიც მოყვანილია შესაბამისობაში „ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ივლისის #48/ნ ბრძანებასთან. **ექსპერტთა**

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯიბაძე

ალექსანდრე კეკენაძე

თამარ ანანიაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაფარიძე

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

შეფასებით, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც მოიცავს ვერიფიკაციის პროცესს, რომლის მიზანია შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედაგად შექმნილი მტკიცებულების, შეფასების სისტემის მიმართ ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. აღნიშნული მექანიზმი ეფუძნება ვალიდურობის,სანდოობის, გამჭირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრონციპებს. ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ორგანიზებით, რომელიც განსაზღვრავს ვერიფიკაციის განხორციელების განრიგსა და ვერიფიკატორს ან საჭიროების შემთხვევაში- ვერიფიკაციის ჯგუფს, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის და შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურები. **ექსპერტთა შეფასებით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

3. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-14 მუხლის 32-ე ,34-ე და 35-ე პუქტებით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტთა შეფასების დოკუმენტაციის წარმოების წესი. აღნიშნულ დოკუმენტში მტკიცებულებების შენახვის ვადად განსაზღვრულია სტანდარტის შესაბამისად 3 წელი, მტკიცებულებები იძლევა პიროვნების იდენტიფიცირების შესაძლებლობას. ექსპერტებთან გასაუბრებისას ხარისხის მენეჯერმა აღნიშნა, რომ მონაცემები აღირიცხება რეგულარულად როგორც მატერიალური ისე ელექტრონული სახით. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

4. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესი, რომლის მიხედვით შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება ხორციელდება ინდივიდუალურად, ხოლო პროფესიული სტუდენტის მხრიდან კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაცია ტარდება კონსულტაციის ფორმისა და მითითებული ვადის გათვალისწინებით. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისთვის, რაც დასტურდება ასევე განამხორციელებელ პირებთან გასაუბრებითაც. **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**



PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- ✓ ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის, განხორციელების ფორმისა და ენის მიხედვით. *(ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)*



PDF Eraser Free

პროგრამის სახელწოდება	ვებტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	აჭარა, ქობულეთი, რუსთაველის №154
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	15
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	68

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯიაძე

ალექსანდრე კვანტაძე

თამარ ანალაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ბაბეშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაბოშვილი

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Fraser Free

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	98



PDF Eraser Free

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯღამე

ალექსანდრე კვანტალიანი

თამარ ანალაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაბოშვილი

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ივნისის # 01-04/84 ბრძანებით(ცვლილება 20.04.2021 წელი ბრძანება N01-04/53) დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომლის მეორე მუხლის პირველი და მეორე პუნქტით განსაზღვრულია, რომ პროგრამის დასამატებლად საჭიროა ინიცირება, რომლის საფუძველზეც კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი მოიპოვებს ინფორმაციას და წარმოადგენს პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას. ამავე დოკუმენტით არის განსაზღვრული ის ჩამონათვალი, რასაც უნდა ეყრდნობოდეს პროგრამის დასაბუთება. „ვებტექნოლოგიების“ საგანმანათლებლო პროგრამა ეფუძნება შესაბამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას და საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობისა და პროფესიული კვალიფიკაციების მოთხოვნა - მიწოდების შესაბამისობის ანგარიშს. გარდა ამისა, დაწესებულება უკვე ახორციელებს ინფორმაციის ტექნოლოგიების და კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, შესაბამისად სკოლებში ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სკოლის მოსწავლეებს შორის ამ პროგრამებთან ერთად



PDF Eraser Free
აქტუალური იყო ვებტექნოლოგიების პროგრამა. კოლეჯი ახორციელებს მრავალპროფილურ პროგრამებს, მოცემული პროგრამის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება თანხმობაშია კოლეჯის მისიასთან და ვებტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით ავტორიზაციის განაცხადის წარდგენა განსაზღვრულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმით სხვა პროგრამებთან ერთად. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

2. ვებტექნოლოგიების მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღრულია სრული ზოგადი განათლება არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლების შემთხვევაში. დაწესებულებას პროგრამაში ინტეგრირებული აქვს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს #174/ნ ბრძანების მეოთხე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა. დაწესებულებას პროგრამაზე სწავლების წინაპირობად ინტეგრირებულ პროგრამაზე სწავლების შემთხვევაში განსაზღვრული აქვს საბაზო განათლება, ხოლო სწავლების ვადად სამი წელი. პროგრამაზე დაშვების პროცედურები დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 23 აგვისტოს „საჯარო სამართლის იურიდიულ პირი კოლეჯი „ახალი ტალღის“ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე“ აპლიკანტის ჩარიცხვის წესის შესახებ“ №01-04/128 ბრძანებით, და შესაბამისობაშია მოყვანილი „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის # 42/ნ ბრძანებასთან. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

3. კოლეჯ „ ახალი ტალღის“ დირექტორის 2022 წლის 14 იანვრის # 01/04-06 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. მოცემული დოკუმენტით განსაზღვრულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯიაძე

ალექსანდრე კეკენაძე

თამარ ანალაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაფოშვილი

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

კვოტის განსაზღვრის წესი, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია როგორც მატერიალური, ისე ადამიანური რესურსი, ასევე სასწავლო გარემოების გამოყენება შესაძლებელია ცვლებში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთება ვებტექნოლოგიების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ ეფუძნება შესაბამის მეთოდლოგიას და განსაზღვრულია 30 პროფესიული სტუდენტით, მათ შორის ინტერირებულ პროგრამაზე 15 პროფესიული სტუდენტით. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

4. ვებტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა მოიცავს იმ აღჭურვილობისა და მატერიალური რესურსის ჩამონათვალს, რაც უნდა იქნას გამოყენებული მოდულების განხორციელებისას. აღნიშნული ჩამონათვალი სრულ შესაბამისობაშია ვებტექნოლოგიების ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სარეკომენდაციო და აუცილებელ აღჭურვილობასა და საგანმანათლებლო რესურსებთან თითოეული მოდულის შესაბამისად. ინტეგრირებული მოდულებისთვის დამტკიცებული საგანმანათლებლო რესურსებიც სრულ შესაბამისობაშია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 19 აგვისტოს 170/ნ ბრძანებით დამტიცებული ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის აუცილებელი აღჭურვილობების ჩამონათვალთან. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

5. ვებტექნოლოგიების ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულია ორი არჩევითი მოდული. კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის 2022 წლის 23 თებერვლის # 01/04-38 ბრძანებით დამტკიცებული ვებტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ორივე არჩევით მოდულს: ვებგვერდისთვის მულტიმედიური კონტენტის შექმნა (Adobe Animate), ვებგვერდისთვის ფოტომასალის შექმნა. პროგრამის ხელმძღვანელმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ მოდულის შინაარსიდან გამომდინარე, აღნიშნული არჩევითი მოდული კავშირშია კურსადმთავრებულის მომავალ საქმინაობასთან. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.**

6. კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის 2020 წლის 20 მაისის #01-04/66 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ მეხუთე მუხლის მეოთხე პუნქტით განსაზღვრულია, რომ პროფესიულ

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯღიაძე
ალექსანდრე კეკენაძე
თამარ ანალაძე
ნინო მოწყობილი
გიორგი ნაბეიშვილი
მამუკა ხომტარია
მაგული მეპონია
ნატალია ბარათელი
მაკო ჯაფოშვილი
ნინო ბოკუჩავა
დავით კუპატაძე

PDF Eraser Free
საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 23 თებერვლის # 01/04-38 ბრძანებით დამტკიცებულია ვებტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

7. ვებტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები: შექმნას ვებგვერდის მაკეტი და მოარგოს სხვადასხვა მოწყობილობას, გააფორმოს ვებგვერდის ფონი, შრიფტი და ელემენტები სტილების საშუალებით, გადაწყვიტოს მარტივი ამოცანა JavaScript ენის ძირითადი ელემენტებისა და კონსტრუქციების გამოყენებით, მოახდინოს JavaScript-ის ბიბლიოთეკების ინტეგრაცია ვებგვერდთან, დააინსტალიროს გვერდის მართვის სისტემები (CMS) და ააწყოს ვებგვერდის დიზაინი, შეიმუშავოს გვერდის ინტერაქტივი და ეფექტები, მოახდინოს გვერდის მარკირება Bootstrap-ის სპეციალიზებული ბიბლიოთეკების საშუალებით, შეიმუშაოს გვერდის ინტერაქტივი და ეფექტები Angular-ის საშუალებით, მოამზადოს ვებინტერფეისის გრაფიკული დიზაინი, დაამუშაოს ვექტორული გამოსახულება, შექმნას ვებგვერდის მულტიმედიური კონტენტი, შექმნას ფოტომასალა ვებგვერდისთვის-სრულ შესაბამისობაშია პროგრამის სახელწოდებასთან. გარდა ამისა, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ დასახელებას. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

8. კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის 2020 წლის 20 მაისის #01-04/66 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ მეხუთე მუხლის მეოთხე პუნქტით განსაზღვრულია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 23 თებერვლის # 01/04-38 ბრძანებით დამტკიცებულია ვებტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები სწავლის შედეგები, ინფორმაცია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების, კრედიტების და პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, ჩანაწერები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლების თაობაზე . მოდულებში



PDF Eraser Free

აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით. პროგრამას თან ერთვის ზოგადი, არჩევითი, პროფესიული და ინტეგრირებული მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების დაცვითა და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის მითითებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვებტექნოლოგიების“ მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულ ენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 68 კრედიტს, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 98 კრედიტს. ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში კრედიტების მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 118 კრედიტია, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის- 148 კრედიტი. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ კოლეჯის მისია და ხედვა ;
- ✓ სტრატეგიული გავითარების გეგმა(2019-2025) ;
- ✓ პროგრამის დამატების დასაბუთების დოკუმენტი;
- ✓ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია ;
- ✓ საგანამანათლებლო პროგრამა „ვებტექნოლოგიების“ სასწავლო გეგმა ;
- ✓ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“;
- ✓ ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

თავმჯდომარე:		ნინო ვასაძე
წევრები:		ნიკა ჯიაძე
		ალექსანდრე კეკენაძე
		თამარ ანალაძე
		ნინო მოწყობილი
		გიორგი ნაბეიშვილი
		მამუკა ხომტარია
		მაგული მებონია
		ნატალია ბარათელი
		მაკო ჯაოშვილი
		ნინო ბოკუჩავა
		დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

□ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვებტექნოლოგიების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები სრულად ვერ მიიღწევა კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსით. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება - 30 პროფესიული სტუდენტი (2 ცვლაში) მათ შორის 15 ინტეგრირებული პროგრამისთვის. საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია ორი სასწავლო გარემო: აუდიტორია რომელშიც განთავსებულია: 15 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის, 1 პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის და შესაბამისი რაოდენობის სამუშაო ადგილი, პრინტერი, პროექტორი, დაფა, და კარადა. აუდიტორიაში განთავსებული



PDF Eraser Free
კომპიუტერული ტექნიკა მოძველებულია და არ აკმაყოფილებს ვებტექნოლოგიების ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული სარეკომენდაციო მოთხოვნებს, იგულისხმება როგორც კომპიუტერის ეკრანის ზომები-მონიტორი, ასევე აუდიტორიაში განთავსებული „ლეპტოპების“ მონაცემები. თუმცა აღნიშნული ინვენტარით შესაძლებელია მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. პროგრამის ფარგლებში კოლეჯს აქვს, ლაბორატორია ინტეგრირებული მოდულისათვის „მეცნიერება და ტექნოლოგია“ სადაც განთავსებულია: პროფესიული მასწავლებლის მაგიდა, სკამი და კომპიუტერი, 15 მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისთვის, პროექტორი, დაფა, კარადა, და შესაბამისი აღჭურვილობა ინტეგრირებული მოდულისათვის. ასევე ოთახში არის გამწოვი კარადა და წლის ნიჟარა. თუმცა არ არის ზოგიერთი ინვენტარი, რათ გათვალისწინებულია ინტეგრირებული მოდულებისთვის, მათ შორის: სხვადასხვა ზედაპირიანი კაუჭიანი ძელაკი ხახუნის ძალის შესასწავლად, ცეცხლის გამანაწილებელი, ვარვარების ნათურა სადგამით, ელ.წრედის ჩამრთველი, ელექტროძრავის მოდელი(9ვ). ვიზიტის დროს დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა არჩევითი მოდულის „ვებგვერდისთვის პოტომასალის შექმნა“ განხორციელებისთვის საჭირო რესურსები (ფოტოაპარატი, ფონების ნაკრები ფოტოსტუდიისთვის, განათების ნაკრები ფოტოსტუდიისთვის, და შტატივები. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

ექსპერტთა მიერ გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციაა, განახლდეს კომპიუტერული ტექნიკა და შესაბამისობაში იქნას მოყვანილი ვებტექნოლოგიების ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული სარეკომენდაციო მოთხოვნებთან.

კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2022 წლის 18 ივლისის #815392 წერილით დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტთან დაკავშირებით და მტკიცებულებები-ფოტომასალა და შესყიდვის აქტები, რითაც დასტურდება, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო ხარვეზის აღმოფხვრა და მფლობელობაში აქვს ინტეგრირებული მოდულებისთვის საჭირო ინვენტარი,მათ შორის: სხვადასხვა ზედაპირიანი კაუჭიანი ძელაკი ხახუნის ძალის შესასწავლად, ცეცხლის გამანაწილებელი, ვარვარების ნათურა სადგამით, ელ.წრედის ჩამრთველი, ელექტროძრავის მოდელი(9ვ). თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა მხედველობაში არ მიიღო მტკიცებულებები, რითაც დასტურდება არჩევითი მოდულის „ვებგვერდისთვის პოტომასალის შექმნა“ განხორციელებისთვის საჭირო რესურსების ფლობს. რადგან ფოტოსურათებით ვერ ხდება დადგენა

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯღამე

ალექსანდრე კეკენაძე

თამარ ახალაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეთვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მეპონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაფოშვილი

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free
რამდენად გამართულად მუშაობს აღნიშნული ტექნიკა და არის თუ არა მუშა მდგომარეობაში. დაწესებულებას ასევე წარმოდგენილი ჰქონდა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2022 წლის 18 ივლისის #01-04/137 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა. აღნიშნული გეგმა გაწერილია 6 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას, განხორციელების პერიოდს, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ 6 თვის ვადაში სავსებით შესაძლებელია ზემოთ აღნიშნული მოდულისთვის შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფა.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული ინდიკატორი შეაფასა როგორც მეტწილად შესაბამისი.

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოფილ იქნას არჩევითი მოდულის „ვებგვერდისთვის პოტომასალის შექმნა“ განხორციელებისთვის საჭირო რესურსები (ფოტოაპარატი, ფონების ნაკრები ფოტოსტუდიისთვის, განათების ნაკრები ფოტოსტუდიისთვის, და შტატივები).

2. „ვებ ტექნოლოგიები“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 18 პროფესიული მასწავლებელი, აქედან 2 დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებელი. პირადი საქმეების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ თითოეული მათგანი შერჩეულია შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით. გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვაც, მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. შესაბამისად, **ექსპერტთა შეფასებით,პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

3. დაწესებულებას შერჩეული ჰყავს ზოგადი, ინტეგრირებული და პროფესიული მოდულების განმახორციელებელად პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კომპეტენცია. ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ ისინი საფუძვლიანად იცნობენ „ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ივლისის #48/ნ ბრძანებით განსაზღვრულ შეფასების სისტემას, აქვთ



PDF Eraser Free

როგორც დარგობრივი, ისე სტუდენტთა შეფასების კომპეტენცია. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

4. ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მოხდა მასთან გასაუბრება დისტანციური რეჟიმში, ზუმის პლატფორმის გამოყენებით ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო . გასაუბრებით დადასტურდა, რომ იგი ჩართული იყო პროგრამის შემუშავების პროცესში, იცნობს მოდული პროგრამების განხორციელების თავისებურებს და აქვს დარგობრივი კომპეტენცია. პროგრამის ხელმძღვანელი განისაზღვრა კოლეჯის დირექტორის 202 წლის 23 თებერვლის 01-04/38 ბრძანებით ვებტექნოლოგიის პროგრამის დამტკიცებისას. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

5. ექსპერტების მიერ განხორციელდა კოლეჯის ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკა სარგებლობს ელექტრონული კატალოგით, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე. აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური სახით. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ყველა მათგანი და დადასტურდა მათი ფონდში არსებობა. ბიბლიოთეკის მომსახურების ფარგლებში შესაძლებელია ამობეჭდვაც, კოლეჯის ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერები, სადაც ჩატვირთულია ელექტრონული წიგნები, იქვეა განთავსებული პრინტერი სკანერით, რომლის გამოყენებაც შეუზღუდავად შეუძლიათ პროფესიული განათლების მასწავლებლებს და პროფესიულ სტუდენტებს. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო სასწავლო რესურსებთან. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სსსმ პირთა ასისტენტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ - ერთი ფუნქციაა უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა, ხოლო სსსმ პირთა ასისტენტის ფუნქცია უზრუნველყოს



PDF Eraser Free

სტუდენტის სამუშაო და სასწავლო მასალის ადაპტირება. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-17 მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალურ გეგმის შედგენისას ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა. **ექსპერტთა შეფასებით, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

7. საგანმანათლებლო პროგრამა დაფინანსდება სამინისტროს მიერ ვაუჩერულად, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კოლეჯს შემუშავებული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც კონკრეტულად გათვლილია თანხის რა ნაწილი რაზე იხარჯება. გაწერილია პროგრამის განხორციელებისათვის სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა. დაწესებულების მიერ შემუშავებულია პროგრამის ბიუჯეტიდან ირკვევა რომ პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარს შეადგენს მინიმუმ 10 პროფესიულ სტუდენტს. ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. შემოსავლების მთავარი წყარო სწავლის საფასური - ვაუჩერი და პროგრამული დაფინანსებაა. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებს ძირითადად წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება და პროგრამის სასწავლო მასალების, მასალა-ნედლეულის ღირებულება. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამით „ვებტექნოლოგიები“;
- ✓ მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაცია;
- ✓ პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეები;
- ✓ ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო წესით დამუშავეული სასწავლო რესურსი;
- ✓ პროგრამის ბიუჯეტი;
- ✓ გასაუბრება;
- ✓ ვიზუალური დათვალიერება;
- ✓ „ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის შერჩევის წესი და პირობები“

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯიაძე
ალექსანდრე კეკენაძე
თამარ ანალაძე
ნინო მოწყობილი
გიორგი ნაბეიშვილი
მამუკა ხომტარია
მაგული მებონია
ნატალია ბარათელი
მაკო ჯაოშვილი
ნინო ბოკუჩავა
დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

- ✓ „ახალი თანამშრომლის სამუშაოსთან ადაპტაციისა და ორგანიზაციასთან ინტეგრაციის წესი“;
- ✓ „ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება პოლიტიკის დოკუმენტი“ ;
- ✓ „პერსონალის შეფასების წესი და საჭიროებათა კვლევის კითხვარი“ ;
- ✓ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“;
- ✓ პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში მოქმედებს დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222(ცვლილება 2021 წლის 29 ნოემბრის N01-04/212) ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“,



PDF Eraser Free

რომელიც მოიცავს სისტემურობას და ხარისხის კონტროლის ციკლურ სისტემას -„დაგეგმე - განახორციელე-შეამოწმე და განავითარე“. ასევე 2021 წლის 20 მაისის N01-04/66 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელიც ითვალისწინებს არა მარტო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესებს, არამედ პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმს, პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზს და მასში ცვლილებების განხორციელების წესს და პროცედურებს. პროგრამის შეფასების მიზნით გამოიყენება უკუკავშირის მექანიზმი. შექმნილია კითხვარები, რომლითაც ხდება დამსაქმებლის გამოკითხვა. არსებული მექანიზმი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, სოციალური პარტნიორებისგან, პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების მოსაზრებებს, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას, უახლესი კვლევის შედეგებს. ანალიზის დროს კოლეჯი ითვალისწინებს სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგებსაც. სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების მიმდინარეობას და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

2. სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ დირექტორის 2021 წლის 20 მაისის N01-04/66 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომლის მე-6 და მე-7 მუხლით რეგულირდება პროგრამაში ცვლილებების შეტანა. დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, ცვლილებების ინიციატორი შეიძლება იყოს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაცია და სხვა დაინტერესებულ პირები. ხოლო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებლივი აქტით. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**



PDF Eraser Free
დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ საგანამანათლებლო პროგრამა „ვებტექნოლოგიების“ სასწავლო გეგმა ;
- ✓ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“;
- ✓ „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;
- ✓ ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვებტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას; სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას



PDF Eraser Free

დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის სავარაუდო კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმაში დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისთვის. კოლეჯში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო გეგმის შესაბამისად, რაც დასტურდება პროფესიულ მასწავლებლებთან და პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრებით. ასევე გათვალისწინებელია ინტეგრირებული პროგრამების სასწავლო გეგმის აგების სპეციფიკა. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.**

2. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესი და პირობები“, რომლითაც დაწესებულება არეგულირებს საჭიროების შემთხვევაში დისტანციური სწავლების პროცესს. სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა სწავლის შედეგების მისაღწევად, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ხდება სასწავლო გეგმის მოდიფიცირება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმი. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**

3. პროგრამა აღჭურვილია ყველა იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით. „ვებ ტექნოლოგიები“ პროგრამით განსაზღვრულია სწავლების თანამედროვე მეთოდების და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება. პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ისინი იცნობენ ამ მეთოდებს და აპირებენ გამოიყენონ სასწავლო პროცესში. **ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

4. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-17 მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურები, რომლეიც ითვალისწინებს როგორც მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას . აღნიშნული მექანიზმი გამოიყენება როგორც სსსმ პროფესიულ სტუდენტთან, ასევე საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის მობილობისას, სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის ,მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯღამე

ალექსანდრე კეკენაძე

თამარ ანალაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაფოშვილი

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

5. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ერთ პრაქტიკის ობიექტთან რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობის ხელმისაწვდომობას ვებტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამის 30 პროფესიული სტუდენტისთვის. **შესაბამისად, პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.**

6. დაწესებულებას გაწერილი აქვს შრომის უსაფრთხოების წესები . კოლეჯის სასწავლო/სამუშაო გარემოში სათანადოდ არის უზრუნველყოფილი უსაფრთხოების ნორმების დაცვა. პროგრამის სწავლებისას დამატებითი მოთხოვნების გათვალისწინება არაა საჭირო. **ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ✓ სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესი და პირობები;
- ✓ საგანამანათლებლო პროგრამა „ვებტექნოლოგიები“ სასწავლო გეგმა ;
- ✓ ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტთან;
- ✓ ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;



PDF Eraser Free

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-14 და მე-14[1] მუხლით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და რაოდენობა და ვადები, ინფორმაცია გამოყენებული ინსტრუმენტის შესახებ - წერილობითი გამოკითხვის დროს, დახურული ტიპის კითხვების გამოყენების შემთხვევაში ინსტრუმენტი შეცვლილია, ხოლო პრაქტიკული დავალებების შემთხვევაში დატოვებულია შეფასების იგივე ინსტრუმენტი განმეორებით გამოცდის დროსაც. მარეგულირებელი წესი მოიცავს ნამუშევრის გასწორებისა და შეფასების ვადებს. შეფასების სისტემა ეფუძნება სანდოობის, ვალიდურობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების წესი მოიცავს ინფორმაციას ინტეგრირებული პროგრამების შეფასების შესახებ, რომელიც მოყვანილია შესაბამისობაში „ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ივლისის #48/ნ ბრძანებასთან. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

2. სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც მოიცავს ვერიფიკაციის პროცესს, რომლის მიზანია შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედაგად შექმნილი მტკიცებულების, შეფასების სისტემის მიმართ ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ



PDF Eraser Free
მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. აღნიშნული მექანიზმი ეფუძნება ვალიდურობის,სანდოობის, გამჭირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრონციპებს. ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ორგანიზებით, რომელიც განსაზღვრავს ვერიფიკაციის განხორციელების განრიგსა და ვერიფიკატორს ან საჭიროების შემთხვევაში- ვერიფიკაციის ჯგუფს, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის და შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურები. **ექსპერტთა შეფასებით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

3. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-14 მუხლის 32-ე ,34-ე და 35-ე პუქტებით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტთა შეფასების დოკუმენტაციის წარმოების წესი. აღნიშნულ დოკუმენტში მტკიცებულებების შენახვის ვადად განსაზღვრულია სტანდარტის შესაბამისად 3 წელი, მტკიცებულებები იძლევა პიროვნების იდენტიფიცირების შესაძლებლობას. ექსპერტებთან გასაუბრებისას ხარისხის მენეჯერმა აღნიშნა, რომ მონაცემები აღირიცხება რეგულარულად როგორც მატერიალური ისე ელექტრონული სახით. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

8.კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის 2020 წლის 20 მაისის #01-04/66 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ მეხუთე მუხლის მეოთხე პუნქტით განსაზღვრულია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის # 01/04-10 ბრძანებით (ბოლო



PDF Eraser Free
ცვლილება 2022 წლის 21 იანვარი # 01/04-08) დამტკიცებულია თმის სტილისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები სწავლის შედეგები, ინფორმაცია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების, კრედიტების და პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, ჩანაწერები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლების თაობაზე . მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით. პროგრამას თან ერთვის ზოგადი, არჩევითი და პროფესიული მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების დაცვითა და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის მითითებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „თმის სტილისტის “ მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 62 კრედიტია, ხოლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 77 კრედიტს. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ კოლეჯის მისია და ხედვა ;
- ✓ სტრატეგიული გავითარების გეგმა(2019-2025) ;
- ✓ პროგრამის დამატების დასაბუთების დოკუმენტი;
- ✓ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია ;
- ✓ საგანამანათლებლო პროგრამა „თმის სტილისტის“ სასწავლო გეგმა ;
- ✓ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“;
- ✓ ინტერვიუ.



PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.



PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. თმის სტილისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება დაგეგმილია ქ.ქობულეთში, სრულიად ადაპტირებულ და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ,განახლებულ გარემოში; პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი A/C და B ტიპის გარემო. გასაუბრება შედგა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული ვიზიტის განრიგის შესაბამისად, კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, სასწავლო პროცესის მენეჯერთან, სასწავლო და სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის- ,,თმის სტილისტის“ პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განმახორციელებელ დარგობრივი მოდულების მასწავლებლებთან; პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციების ფარგლებში განხორციელდა კოლეჯისა და ერთი პარტნიორი ორგანიზაციის სასწავლო გარემოს დათვალიერება და სასწავლო რესურსების შემოწმება ადგილზე;პარტნიორი ორგანიზაცია არის სასწავლო-საწარმო; რომელიც სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს და აქვს უახლესი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი და მისი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ,,თმის სტილისტის“ პროგრამის გაცნობითი პრაქტიკა - თმის მომსახურება; საწარმოო პრაქტიკა - თმის მომსახურება, პარტნიორ ორგანიზაციებში განხორციელებასთან დაკავშირებით კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორადუმი და შეთანხმება. პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია. შეთანხმებების საფუძველზე,საწარმო ორ ცვლაში მიიღებს 30 პროფესიული სტუდენტს; სალონის ფართი და სამუშაო ადგილების რაოდენობა იძლევა შესაძლებლობას შეუფერხებლად განხორციელდეს სტუდენტების სწავლება შეთანხმებული კვოტის ფარგლებში. კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსით, პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებებითა და მათი მატერიალური რესურსით. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

2. მოდულური პროგრამით ,,თმის სტილისტი“ გათვალისწინებულია 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის, 10 ზოგადი მოდულების, ხოლო, კონცენტრაციის პროფესიული,დარგობრივი მოდულების განხორციელებისათვის კოლეჯს გათვალისწინებული ჰყავს 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი. გასაუბრებისას, ზოგადი და პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს კოლეჯთან თანამშრომლობის მზაობა. მათ შორის, ზოგადი მოდულების მასწავლებლებს და პროგრამის



PDF Eraser Free

ხელმძღვანელს უკვე აქვთ კოლეჯთან თანამშრომლობის გამოცდილება. დარგობრივი კომპეტენციით ყავთ ერთი ახალი მასწავლებელი, კოლეჯს დაგეგმილი აქვს მისი შემდგომი განვითარება. კოლეჯმა წარმოადგინა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამის დანართთან - ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების შესახებ. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთა არ აღემატება კანონმდებლობით დადგენილ ნორმას. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

3. დაწესებულება მუდმივად ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე. მათი შიდა შეფასება ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე, რომელიც ჩამოყალიბებულია პროფესიული სტანდარტის საფუძველზე. ხოლო საჭიროების შემთხვევაში დარგობრივი კომპეტენციების შეფასებას ხდება პროფესიის სტანდარტის საფუძველზე. აღნიშნულის საფუძველზე, უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებელ პირთან ერთად იგეგმება მასწავლებლის ინდივიდუალური განვითარების გეგმა, აღნიშნული გეგმის შესრულებაში მასწავლებელთა ხელშეწყობა არის კოლეჯის სამოქმედო გეგმის ნაწილი. კოლეჯი სისტემატიურად ზრუნავს პესონალის განვითარებაზე, წარმოდგენილი აქვთ „პერსონალის შეფასების წესი და საჭიროებათა კვლევის კითხვარი“ - დამტკიცებული ბრძანებით 2020 წლის 28 დეკემბერი #01-04/225. მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებათა კვლევის გაანალიზების შემდეგ კოლეჯის ადმინისტრაცია და ხარისხის სამსახური ადგენს წლის განმავლობაში ეტაპობრივად ჩასატარებელი ტრენინგების გეგმას. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა ტრენინგების ჩამონათვალის თემატიკა ჩასატარებელი თვეების მიხედვით. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა პედაგოგების პირადი საქმე, ასევე გავესაუბრეთ მათ. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და გასაუბრებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის განმახორციელებელი პირები არიან შესაბამისი კომპეტენციის და აქვთ სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის კოლეჯს ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებლები, რომელთაც აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

4. თმის სტილისტის პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება მისი კვალიფიკაციის და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციით. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს საუკეთესო

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯღამე

ალექსანდრე კეკენაძე

თამარ ანალაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაფარიძე

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free
პრაქტიკული გამოცდილება და თეორიული ცოდნა, იმისათვის, რომ მან შეძლოს საუკეთესოდ უხელმძღვანელოს აღნიშნულ პროგრამას. სასწავლო დაწესებულებას გაწერილი აქვს პროგრამის ხელმძღვანელის მიმართ ფუნქცია-მოვალეობები, რომელსაც ეთანხმება და ხელმოწერით ადასტურებს პროგრამის ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელის დანიშნულებაა უზრუნველოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და საგანმანათლებლო პროგრამის მართვა. მასწავლებელთან ერთად, ვალდებულია იზრუნოს პროგრამის განვითარებაზე, მის მონიტორინგზე პროგრამის ადეკვატურ განხოციელებაზე, პრაქტიკისა და თეორიის კომპონენტის შეთავსებაზე, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამინური რესურსების განვითარებაზე. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში, რითიც ხელს უწყობს პროგრამის განვითარებას. პროგრამის ხელმძღვანელი სპეციფიკის გათვალისწინებით უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოში უსაფრთხოების წესების გაცნობას. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

5. კოლეჯს პროგრამის განხორციელებისათვის გააჩნია შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. დაწესებულებას აქვს სამკითხველო დარბაზი, სადაც განთავსებულია კომპიუტერები. სტუდენტებს საჭიროებისამებრ შეუძლიათ სასწავლო რესურსების გამოყენება. ბიბლიოთეკის ფონდი, გარდა სავალდებულო ლიტერატურისა, მოიცავს სხვა სახის ლიტერატურასაც. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული. პროგრამით გათვალისწინებული ყველა წიგნი აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო სასწავლო რესურსებთან. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სსსმ პირთა ასისტენტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ - ერთი ფუნქციაა უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური



PDF Eraser Free

საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა, ხოლო სსსმ პირთა ასისტენტის ფუნქცია უზრუნველყოს სტუდენტის სამუშაო და სასწავლო მასალის ადაპტირება. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-17 მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალურ გეგმის შედგენისას ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა. ამ ეტაპზე პროგრამაზე ასეთი პირები არ ირიცხებიან. **ექსპერტთა შეფასებით, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

7. საგანმანათლებლო პროგრამა დაფინანსდება სამინისტროს მიერ ვაუჩერულად, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კოლეჯს შემუშავებული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც კონკრეტულად გათვლილია თანხის რა ნაწილი რაზე იხარჯება. გაწერილია პროგრამის განხორციელებისათვის სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა. დაწესებულების მიერ შემუშავებულია პროგრამის ბიუჯეტიდან ირკვევა რომ პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარს შეადგენს მინიმუმ 13 პროფესიულ სტუდენტს. ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. შემოსავლების მთავარი წყარო სწავლის საფასური - ვაუჩერი და პროგრამული დაფინანსებაა. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებს ძირითადად წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება და პროგრამის სასწავლო მასალების, მასალა-ნედლეულის ღირებულება. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამით „თმის სტილისტი“;
- ✓ მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაცია;
- ✓ პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეები;
- ✓ ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო წესით დამუშავეული სასწავლო რესურსი;
- ✓ პროგრამის ბიუჯეტი;
- ✓ გასაუბრება;
- ✓ ვიზუალური დათვალიერება;
- ✓ „ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის შერჩევის წესი და პირობები“



PDF Eraser Free

- ✓ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“;
- ✓ პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში მოქმედებს დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222(ცვლილება 2021 წლის 29 ნოემბრის N01-04/212) ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“, რომელიც მოიცავს სისტემურობას და ხარისხის კონტროლის ციკლურ სისტემას -„დაგეგმე - განახორციელე-შეამოწმე და განავითარე“. ასევე 2021 წლის 20 მაისის N01-04/66 ბრძანებით



PDF Eraser Free
დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელიც ითვალისწინებს არა მარტო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესებს, არამედ პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმს, პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზს და მასში ცვლილებების განხორციელების წესს და პროცედურებს. პროგრამის შეფასების მიზნით გამოიყენება უკუკავშირის მექანიზმი. შექმნილია კითხვარები, რომლითაც ხდება დამსაქმებლის გამოკითხვა. არსებული მექანიზმი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, სოციალური პარტნიორებისგან, პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების მოსაზრებებს, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას, უახლესი კვლევის შედეგებს. ანალიზის დროს კოლეჯი ითვალისწინებს სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგებსაც. სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების მიმდინარეობას და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

2. სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ დირექტორის 2021 წლის 20 მაისის N01-04/66 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომლის მე-6 და მე-7 მუხლით რეგულირდება პროგრამაში ცვლილებების შეტანა. დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, ცვლილებების ინიციატორი შეიძლება იყოს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაცია და სხვა დაინტერესებულ პირები. ხოლო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებლივი აქტით. თმის სტილისტის საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილება ხუთჯერ განხორციელდა, რაც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**



PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ საგანამანათლებლო პროგრამა „თმის სტილისტი“ სასწავლო გეგმა ;
- ✓ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“;
- ✓ „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;
- ✓ ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;



PDF Eraser Free

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.თმის სტილისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას; სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის სავარაუდო კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმაში დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისთვის. კოლეჯში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო გეგმის შესაბამისად, რაც დასტურდება პროფესიულ მასწავლებლებთან და პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრებით. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.**

2.კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესი და პირობები“, რომლითაც დაწესებულება არეგულირებს საჭიროების შემთხვევაში დისტანციური სწავლების პროცესს. სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა სწავლის შედეგების მისაღწევად, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ხდება სასწავლო გეგმის მოდიფიცირება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმი. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**

3.პროგრამა აღჭურვილია ყველა იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით. პროფესიული განათლების მასწავლებლებს სისტემატიურად უტარდებათ ტრენინგები, სწავლებისა და შეფასების საკითხებზე, როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ასევე, კოლეჯის მართვის მენეჯერის ხემძღვანელობით ტარდება ტრენინგები და საკონსულტაციო შეხვედრები, რაც დასტურდება ცნობებით, სერტიფიკატებითა და ტრენინგებზე დასწრების ფურცლებით. **ექსპერტთა შეფასებით,**



PDF Eraser Free

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4.სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-17 მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურები, რომლიც ითვალისწინებს როგორც მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას . აღნიშნული მექანიზმი გამოიყენება როგორც სსსმ პროფესიულ სტუდენტთან, ასევე საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის მობილობისას, სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის ,მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

5.დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს ვი აი პი სტაილთან, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობის ხელმისაწვდომობას თმის სტილისტის საგანმანათლებლო პროგრამის 30 პროფესიული სტუდენტისთვის. ხელშეკრულება ძალაშია 2028 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით. **შესაბამისად, პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.**

6.დაწესებულებას გაწერილი აქვს შრომის უსაფრთხოების წესები. სასწავლო გარემოში უზრუნველყოფილია უსაფრთხოება. პროგრამა არ მოითხოვს დამატებით უსაფრთხოების ნორმებს. **ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ✓ სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესი და პირობები;
- ✓ საგანამანათლებლო პროგრამა „თმის სტილისტის“ სასწავლო გეგმა ;



PDF Eraser Free

- ✓ ხელშეკრულება(01-42/39; 04.11.2021წ) შპს ვი აი პი სტაილთან;
- ✓ ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-14 და მე-14[1] მუხლით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და რაოდენობა და ვადები, ინფორმაცია გამოყენებული ინსტრუმენტის შესახებ - წერილობითი გამოკითხვის დროს, დახურული ტიპის კითხვების გამოყენების შემთხვევაში ინსტრუმენტი შეცვლილია, ხოლო პრაქტიკული დავალებების შემთხვევაში დატოვებულია შეფასების იგივე ინსტრუმენტი განმეორებით გამოცდის დროსაც. მარეგულირებელი წესი მოიცავს ნამუშევრის გასწორებისა და შეფასების ვადებს. შეფასების სისტემა ეფუძნება სანდოობის, ვალიდურობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების წესი მოიცავს ინფორმაციას ინტეგრირებული პროგრამების შეფასების შესახებ, რომელიც მოყვანილია შესაბამისობაში „ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ივლისის #48/ნ ბრძანებასთან. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯღიამე

ალექსანდრე კეკენაძე

თამარ ანანიაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაბოშვილი

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

2. სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც მოიცავს ვერიფიკაციის პროცესს, რომლის მიზანია შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედაგად შექმნილი მტკიცებულების, შეფასების სისტემის მიმართ ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. აღნიშნული მექანიზმი ეფუძნება ვალიდურობის,სანდოობის, გამჭირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრონციპებს. ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ორგანიზებით, რომელიც განსაზღვრავს ვერიფიკაციის განხორციელების განრიგსა და ვერიფიკატორს ან საჭიროების შემთხვევაში- ვერიფიკაციის ჯგუფს, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის და შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურები. **ექსპერტთა შეფასებით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

3. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-14 მუხლის 32-ე ,34-ე და 35-ე პუქტებით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტთა შეფასების დოკუმენტაციის წარმოების წესი. აღნიშნულ დოკუმენტში მტკიცებულებების შენახვის ვადად განსაზღვრულია სტანდარტის შესაბამისად 3 წელი, მტკიცებულებები იძლევა პიროვნების იდენტიფიცირების შესაძლებლობას. ექსპერტებთან გასაუბრებისას ხარისხის მენეჯერმა აღნიშნა, რომ მონაცემები აღირიცხება რეგულარულად როგორც მატერიალური ისე ელექტრონული სახით. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

4. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესი, რომლის მიხედვით შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება ხორციელდება ინდივიდუალურად, ხოლო პროფესიული სტუდენტის მხრიდან კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაცია ტარდება კონსულტაციის ფორმისა და მითითებული ვადის გათვალისწინებით. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისთვის, რაც დასტურდება ასევე განამხორციელებელ პირებთან გასაუბრებითაც. **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯღამე

ალექსანდრე კეკენაძე

თამარ ანანიაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაბოშვილი

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- ✓ ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის, განხორციელების ფორმისა და ენის მიხედვით. *(ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება*



PDF Eraser Free

განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)

პროგრამის სახელწოდება	ღონისძიებების ორგანიზება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ღონისძიების ორგანიზებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413.3.1
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	აჭარა, ქობულეთი, რუსთაველის №154
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	26
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	0
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	0

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯიაძე
ალექსანდრე კეკენაძე
თამარ ანალაძე
ნინო მოწყობილი
გიორგი ნაბეთვილი
მამუკა ხომტარია
მაგული მებონია
ნატალია ბარათელი
მაკო ჯაფარიძე
ნინო ბოკუჩავა
დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	66
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	0
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	96



PDF Eraser Free

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯიაძე

ალექსანდრე კუკუნაძე

თამარ ანალაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მეშონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაოშვილი

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯიაძე

ალექსანდრე კეკენაძე

თამარ ანალაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაფარიძე

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ივნისის # 01-04/84 ბრძანებით(ცვლილება 20.04.2021 წელი ბრძანება N01-04/53) დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომლის მეორე მუხლის პირველი და მეორე პუნქტით განსაზღვრულია, რომ პროგრამის დასამატებლად საჭიროა ინიცირება, რომლის საფუძველზეც კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი მოიპოვებს ინფორმაციას და წარმოადგენს პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას. ამავე დოკუმეტით არის განსაზღვრული ის ჩამონათვალი, რასაც უნდა ეყრდნობოდეს პროგრამის დასაბუთება. „ღონისძიებების ორგანიზება“ საგანმანათლებლო პროგრამაც ეფუძნება შესაბამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას და ეყრდნობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს 2022 წლის 27 იანვრის # 01-1813 წერილს და საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობისა და პროფესიული კვალიფიკაციების მოთხოვნა - მიწოდების შესაბამისობა ანგარიშს. 2020 წელს 20 აპლიკანტი, ხოლო 2021 წელს-25 აპლიკანტი დარეგისტრირდა დაწესებულების მიერ გამოცხადებულ 12 მისაღებ ადგილზე. შესაბამისად . პროგრამა მოთხოვნადია და აქტუალურია, რასაც ადასტურებს დასაქმებულთა რაოდენობა 2020-2021 წლებში 17 კურსდამთავრებულიდან 10 პროფესიით არის დასაქმებული. დაწესებულებას მიზანშეწონილობის დოკუმენტში განხილული აქვს პროგრამის დამატებისთვის საჭირო ყველა აუცილებელი საკითხი. კოლეჯი ახორციელებს მრავალპროფილურ პროგრამებს, მოცემული პროგრამის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება თანხმობაშია კოლეჯის მისიასთან და პროგრამის ხელახალი ავტორიზაცია განსაზღვრულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმით სხვა პროგრამებთან ერთად. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

2.ღონისძიებების ორგანიზების მეოთხე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღრულია სრული ზოგადი განათლება. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 23 აგვისტოს №01-04/128 ბრძანებით დამტკიცებულია „საჯარო სამართლის იურიდიულ პირი კოლეჯი „ახალი ტალღის“ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე“ აპლიკანტის ჩარიცხვის წესი“, რაც წინააღმდეგობაში არ მოდის „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის # 42/ნ ბრძანებასთან. ჩარიცხვის წესის მე-7 მუხლით განსაზღვრულია აპლიკანტის შეფასება პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების**



PDF Eraser Free

წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. კოლეჯ „ ახალი ტალღის“ დირექტორის 2022 წლის 14 იანვრის # 01/04-06 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. მოცემული დოკუმენტით განსაზღვრულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა კვოტის განსაზღვრის წესი, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია როგორც მატერიალური, ისე ადამიანური რესურსი, ასევე სასწავლო გარემოების გამოყენება შესაძლებელია ცვლებში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთება ღონისძიებების ორგანიზების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ ეფუძნება შესაბამის მეთოდლოგიას და განსაზღვრულია 26 პროფესიული სტუდენტით. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

4. ღონისძიებების ორგანიზების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა მოიცავს იმ აღჭურვილობისა და მატერიალური რესურსის ჩამონათვალს, რაც უნდა იქნას გამოყენებული მოდულების განხორციელებისას. აღნიშნული ჩამონათვალი სრულ შესაბამისობაშია საოფისე საქმისა და ღონისძიებების ორგანიზების ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სარეკომენდაციო და აუცილებელ აღჭურვილობასა და საგანმანათლებლო რესურსებთან თითოეული მოდულის შესაბამისად. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

5. საოფისე საქმისა და ღონისძიებების ორგანიზების ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული არ არის არჩევითი მოდულები. კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის # 01/04-10 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2022 წლის 21 იანვარი # 01/04-08) დამტკიცებული ღონისძიებების ორგანიზების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს დამატებით არჩევით მოდულის უცხოური ენის(რუსული)-5 კრედიტს. პროგრამის ხელმძღვანელმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ მოდულის შინაარსიდან გამომდინარე, აღნიშნული არჩევითი მოდული კავშირშია კურსადმთავრებულის მომავალ საქმინაობასთან. პროგრამა მოიცავს ისეთ სწავლის შედეგებს, როგორიცაა დაგეგმოს სადღესასწაულო, სპორტულ/სანახაობრივ და ოფიციალურ/საქმიანი ღონისძიებები და ურთიერთობა ჰქონდეს ღონისძიებაში ჩართულ მხარეებთან. შესაბამისად რადგან აჭარა ტურისტული რეგიონია ხშირია უცხოელებთან ურთიერთობა. დამატებით მეორე უცხო ენის ცოდნა კურსდამთავრებულისთვის არის ის



PDF Eraser Free

უნარი, რაც მას კონკურენტუნარიანს გახდის სამუშაო ბაზარზე და დაეხმარება დასაქმებასა და მომავალ საქმიანობაში. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.**

6. კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის 2020 წლის 20 მაისის #01-04/66 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ მეხუთე მუხლის მეოთხე პუნქტით განსაზღვრულია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის # 01/04-10 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2022 წლის 21 იანვარი # 01/04-08) დამტკიცებულია ღონისძიებების ორგანიზების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

7. ღონისძიებების ორგანიზების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები: დაგეგმოს სადღესასწაულო, სპორტულ/სანახაობრივ და ოფიციალურ/საქმიანი ღონისძიებები, კოორდინირება გაუწიოს ღონისძიების მოსამზადებელ სამუშაოებს, ურთიერთობა ჰქონდეს ღონისძიებაში ჩართულ მხარეებთან, გაუკეთოს ორგანიზება ღონისძიების ტექნიკურ მომსახურებასა და უსაფრთხოებას, გაუკეთოს ორგანიზება ქორწილს, გააფორმოს ღონისძიება და დიზაინი-სრულ შესაბამისობაშია პროგრამის სახელწოდებასთან. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

8. კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის 2020 წლის 20 მაისის #01-04/66 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ მეხუთე მუხლის მეოთხე პუნქტით განსაზღვრულია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის # 01/04-10 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2022 წლის 21 იანვარი # 01/04-08) დამტკიცებულია ღონისძიებების ორგანიზების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები სწავლის შედეგები, ინფორმაცია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების, კრედიტების და პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, ჩანაწერები

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯღამე

ალექსანდრე კეკენაძე

თამარ ანალაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაბოშვილი

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლების თაობაზე . მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით. პროგრამას თან ერთვის ზოგადი, არჩევითი და პროფესიული მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების დაცვითა და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის მითითებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ღონისძიებების ორგანიზების " მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 66 კრედიტია, ხოლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 96 კრედიტს. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ კოლეჯის მისია და ხედვა ;
- ✓ სტრატეგიული გავითარების გეგმა(2019-2025) ;
- ✓ პროგრამის დამატების დასაბუთების დოკუმენტი;
- ✓ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია ;
- ✓ საგანამანათლებლო პროგრამა „ღონისზიებების ორგანიზების“ სასწავლო გეგმა ;
- ✓ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“;
- ✓ ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯიაძე
ალექსანდრე კეკენაძე
თამარ ანალაძე
ნინო მოწყობილი
გიორგი ნაბეიშვილი
მამუკა ხომტარია
მაგული მებონია
ნატალია ბარათელი
მაკო ჯაფარიძე
ნინო ბოკუჩავა
დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ კოლეჯს "ახალი ტალღა" ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამა „ღონისძიებების ორგანიზებას" ქობულეთში . სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 26 სტუდენტს ორ ცვლაში. თითოეულ ცვლაში - 13 პროფესიული სტუდენტი. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია როგორც დაწესებულების, ასევე სასწავლო პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. დაწესებულებას ამჟამად გაფორმებული აქვს 4 მემორანდუმი სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებთან. მათ შორის, სასტუმრო „ჯორჯიან პალასი", სასტუმრო „პარაგრაფი", სადაც თვალსაჩინოდ შეიძლება სტუდენტმა ნახოს სასწავლო პროგრამაში არსებული მოდულების მიხედვით კონკრეტული აქტივობა (მაგ. კვებითი უზრუნველყოფა, გაფორმება და



PDF Eraser Free
დიზაინი, ტექნიკური აღჭურვილობა...). მოცემულ ეტაპზე პრაქტიკის ობიექტები აკმაყოფილებს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისთვის შესაბამისი გარემოს მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა მტერიალური ბაზა. პროგრამის განხორციელებისათვის კოლეჯს ქობულეთში გააჩნია A /C სასწავლო გარემო - თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის. A/C - სასწავლო გარემო აღჭურვილის შესაბამისი ინვენტარით, მაგიდა სკამებით , აღჭურვილობის შესანახი სათავსებით, სამუშაო მაგიდით, დაფით, მასწავლებლის მაგიდითა და ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, საჭიროების შემთხვევაში, დემონსტრირების საშუალებით (პროექტორი). A / C გარემოში განთავსებულია ინვენტარი 13 პროფესიულ სტუდენტზე ერთ ცვლაში-ორ ცვლაში 26 პროფესიულ სტუნდენტზე კოლეჯმა წარმოადგინა ყველა ინვენტარის ფლობის და მასალა-ნედლეულის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, აღნიშნული აღჭურვილობის და მასალების არსებობა დასტურდება ვიზუალური დათვალიერებით. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

2.სსიპ კოლეჯში „ახალი ტალღა “ პროფესიულ მასწვლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვლიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ პროგრამაში ჩართულ თითოეულ მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, კომპეტენცია და სამუშაო გამოცდილება, რასაც ადასტურებს მათ მიერ კოლეჯში წარდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ყველა პედაგოგის პირადი საქმეების შესწავლა. წარმოდგენილი მასალები დამაკმაყოფილებელია და პედაგოგების კომპეტენცია იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

ექსპერტთა აზრით, მიზანშეწონილია, ჩაერთოს დამატებითი ადამიანური რესურსი პრაქტიკის ობიექტიდან, რომელიც არის აღნიშული კოლეჯის კურსდამთავრებული, აქვს სასტუმრო ბიზნესში სხვადასხვა პოზიციებზე მუშაობის 9 წლიანი გამოცდილება და ამჟამად ხელმძღვანელობს F & B დეპარტამენტს და ღონისძიებების ორგანიზებას. შესაბამისად, მისი პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება სასარგებლო იქნება სტუდენტებისთვის.

3.დაწესებულება მუდმივად ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე. მათი შიდა შეფასება ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე,

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯღიაძე

ალექსანდრე კეკენაძე

თამარ ანანიაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაბოშვილი

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free
რომელიც ჩამოყალიბებულია პროფესიული სტანდარტის საფუძველზე. ხოლო საჭიროების შემთხვევაში დარგობრივი კომპეტენციების შეფასებას ხდება პროფესიის სტანდარტის საფუძველზე. აღნიშნულის საფუძველზე, უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებელ პირთან ერთად იგეგმება მასწავლებლის ინდივიდუალური განვითარების გეგმა, აღნიშნული გეგმის შესრულებაში მასწავლებელთა ხელშეწყობა არის კოლეჯის სამოქმედო გეგმის ნაწილი. კოლეჯი სისტემატიურად ზრუნავს პესონალის განვითარებაზე, წარმოდგენილი აქვთ „პერსონალის შეფასების წესი და საჭიროებათა კვლევის კითხვარი“ - დამტკიცებული ბრძანებით 2020 წლის 28 დეკემბერი #01-04/225. მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებათა კვლევის გაანალიზების შემდეგ კოლეჯის ადმინისტრაცია და ხარისხის სამსახური ადგენს წლის განმავლობაში ეტაპობრივად ჩასატარებელი ტრენინგების გეგმას. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა ტრენინგების ჩამონათვალის თემატიკა ჩასატარებელი თვეების მიხედვით. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა პედაგოგების პირადი საქმე, ასევე გავესაუბრეთ მათ. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის განმახორციელებელი პირები არიან შესაბამისი კომპეტენციის და აქვთ სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა. პროგრამის ძირითადი მოდულების მასწავლებელი არის სათანადო კომპეტენციის მქონე პირი, რომელიც აღნიშნული პროგრამის შემუშავების პროცესშიც იყო ჩართული , ასევე მონაწილეობდა პროგრამის ოპტიმიზაციისა და სწავლის შედეგების ვერიფიკაციის პროცესებში .**ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის კოლეჯს ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებლები, რომელთაც აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

4. ღონისძიებების ორგანიზების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ხელმძღვანელობს ძირითადი მოდულების განმახორციელებელი პირი, რომელიც ამავდროულად, კოლეჯში დასაქმებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში და შესაბამისად, აქვს სათანადო პრაქტიკული გამოცდილება ღონისძებების ორგანიზების მიმართულებით. გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენცია დასტურდება მისი კვალიფიკაციის და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციით. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში, რითიც ხელს უწყობს პროგრამის განვითარებას. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

5. კოლეჯს პროგრამის განხორციელებისათვის გააჩნია შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის



PDF Eraser Free
უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3.პროგრამა აღჭურვილია ყველა იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით. პროფესიული განათლების მასწავლებლებს სისტემატიურად უტარდებათ ტრენინგები, სწავლებისა და შეფასების საკითხებზე, როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ასევე, კოლეჯის მართვის მენეჯერის ხემძღვანელობით ტარდება ტრენინგები და საკონსულტაციო შეხვედრები, რაც დასტურდება ცნობებით, სერტიფიკატებითა და ტრენინგებზე დასწრების ფურცლებით. **ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

4.სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-17 მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურები, რომლეიც ითვალისწინებს როგორც მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას . აღნიშნული მექანიზმი გამოიყენება როგორც სსსმ პროფესიულ სტუდენტთან, ასევე საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის მობილობისას, სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის ,მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

5.დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „შატო კვირიკესთან“, თუმცა აღნიშნული საწარმოო პრაქტიკის ობიექტი არარელევანტურია ხის მხატვრული დამუშავების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწნებული სწავლის შედეგების მისაღწევად. ხელშეკრულება გაფორმებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.**

6.დაწესებულებას გაწერილი აქვს შრომის უსაფრთხოების წესები ხის მხატვრული დამუშავების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად. უსაფრთხოების წესები გამოკრულია C გარემოში თვალსაჩინო ადგილას. **ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯღამე

ალექსანდრე კეკენაძე

თამარ ანალაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაფარიძე

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ✓ სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესი და პირობები;
- ✓ საგანამანათლებლო პროგრამა „ხის მხატვრული დამუშავების“ სასწავლო გეგმა ;
- ✓ ხელშეკრულება შპს „შატო კვირიკესთან“;
- ✓ ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-14 და მე-14[1] მუხლით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და რაოდენობა და ვადები, ინფორმაცია გამოყენებული ინსტრუმენტის შესახებ - წერილობითი გამოკითხვის დროს, დახურული ტიპის კითხვების გამოყენების შემთხვევაში ინსტრუმენტი შეცვლილია, ხოლო პრაქტიკული დავალებების შემთხვევაში დატოვებულია შეფასების იგივე ინსტრუმენტი განმეორებით გამოცდის დროსაც. მარეგულირებელი წესი მოიცავს ნამუშევრის გასწორებისა და შეფასების ვადებს. შეფასების სისტემა ეფუძნება სანდოობის, ვალიდურობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების წესი მოიცავს ინფორმაციას ინტეგრირებული პროგრამების შეფასების შესახებ, რომელიც მოყვანილია შესაბამისობაში „ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ივლისის #48/ნ ბრძანებასთან. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**



PDF Eraser Free

2.სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც მოიცავს ვერიფიკაციის პროცესს, რომლის მიზანია შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედაგად შექმნილი მტკიცებულების, შეფასების სისტემის მიმართ ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. აღნიშნული მექანიზმი ეფუძნება ვალიდურობის,სანდოობის, გამჭირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრონციპებს. ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ორგანიზებით, რომელიც განსაზღვრავს ვერიფიკაციის განხორციელების განრიგსა და ვერიფიკატორს ან საჭიროების შემთხვევაში- ვერიფიკაციის ჯგუფს, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის და შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურები. **ექსპერტთა შეფასებით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

3.კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-14 მუხლის 32-ე ,34-ე და 35-ე პუქტებით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტთა შეფასების დოკუმენტაციის წარმოების წესი. აღნიშნულ დოკუმენტში მტკიცებულებების შენახვის ვადად განსაზღვრულია სტანდარტის შესაბამისად 3 წელი, მტკიცებულებები იძლევა პიროვნების იდენტიფიცირების შესაძლებლობას. ექსპერტებთან გასაუბრებისას ხარისხის მენეჯერმა აღნიშნა, რომ მონაცემები აღირიცხება რეგულარულად როგორც მატერიალური ისე ელექტრონული სახით. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

4.სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესი, რომლის მიხედვით შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება ხორციელდება ინდივიდუალურად, ხოლო პროფესიული სტუდენტის მხრიდან კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაცია ტარდება კონსულტაციის ფორმისა და მითითებული ვადის გათვალისწინებით. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისთვის, რაც დასტურდება ასევე განამხორციელებელ პირებთან გასაუბრებითაც. **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**



PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- ✓ ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ



PDF Eraser Free

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის, განხორციელების ფორმისა და ენის მიხედვით. *(ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)*

პროგრამის სახელწოდება	სასტუმრო მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქობულეთი, რუსთაველის №154
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური/დუალური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	ჯამში - 80 პროფესიული სტუდენტი აქედან -20 დუალური და 60 მოდულური (მ.შ. 45 ინტეგრირებული)



PDF Eraser Free

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	45
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯიბაძე
ალექსანდრე კვანტაძე
თამარ ანანიაძე
ნინო მოწყობილი
გიორგი ხაბეიშვილი
მამუკა ხომერიკი
მაგული მებონია
ნატალია ბარათელი
მაკო ჯაფარიძე
ნინო ბოკუჩავა
დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	



PDF Eraser Free

XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;



PDF Eraser Free

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის „ახალი ტალღის“ დირექტორის 2020 წლის 16 ივნისის # 01-04/84 ბრძანებით (ცვლილება 20.04.2021 წელი ბრძანება N01-04/53) დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომლის მეორე მუხლის პირველი და მეორე პუნქტით განსაზღვრულია, რომ პროგრამის დასამატებლად საჭიროა ინიცირება, რომლის საფუძველზეც კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი მოიპოვებს ინფორმაციას და წარმოადგენს პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას. ამავე დოკუმენტით არის განსაზღვრული ის ჩამონათვალი, რასაც უნდა ეყრდნობოდეს პროგრამის დასაბუთება. „სასტუმრო მომსახურების“ საგანმანათლებლო პროგრამაც ეფუძნება შესაბამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას და ეყრდნობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს 2022 წლის 27 იანვრის # 01-1813 წერილს და საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობისა და პროფესიული კვალიფიკაციების მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისობა ანგარიშს. დაწესებულება ახორციელებს მრავალპროფილურ პროგრამებს, მოცემული პროგრამის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება თანხმობაშია კოლეჯის მისიასთან და პროგრამის ხელახალი ავტორიზაცია განსაზღვრულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმით სხვა პროგრამებთან ერთად.

ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. პროგრამა „სასტუმრო მომსახურების“ მეოთხე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლების შემთხვევაში. დაწესებულებას პროგრამაში ინტეგრირებული აქვს ზოგადი

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯღიამე
ალექსანდრე კუკურაძე
თამარ ანანიაძე
ნინო მოწყობილი
გიორგი ნაბეიშვილი
მამუკა ხომერიკი
მაგული მეპონია
ნატალია ბარათელი
მაკო ჯაფარიძე
ნინო ბოკუჩავა
დავით კუპატაძე

PDF Eraser Free
განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს #174/ნ ბრძანების მეოთხე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა. დაწესებულებას პროგრამაზე სწავლების წინაპირობად ინტეგრირებულ პროგრამაზე სწავლების შემთხვევაში განსაზღვრული აქვს საბაზო განათლება, ხოლო სწავლების ვადად სამი წელი. პროგრამაზე დაშვების პროცედურები დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 23 აგვისტოს „საჯარო სამართლის იურიდიულ პირი კოლეჯი „ახალი ტალღის“ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე“ აპლიკანტის ჩარიცხვის წესის შესახებ“ №01-04/128 ბრძანებით, და შესაბამისობაშია მოყვანილი „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის # 42/ნ ბრძანებასთან. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

3. კოლეჯ „ ახალი ტალღის“ დირექტორის 2022 წლის 14 იანვრის # 01/04-06 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. მოცემული დოკუმენტით განსაზღვრულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა კვოტის განსაზღვრის წესი, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია როგორც მატერიალური, ისე ადამიანური რესურსი, ასევე სასწავლო გარემოების გამოყენება შესაძლებელია ცვლებში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთება „სასტუმორს მომსახურების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ ეფუძნება შესაბამის მეთოდოლოგიას და განსაზღვრულია ჯამში - 80 პროფესიული სტუდენტი აქედან - 20 დუალური და 60 მოდულური (მ.შ. 45 ინტეგრირებული). **ექსპერტთა შეფასებით, პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

4. „სასტუმროს მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა მოიცავს იმ აღჭურვილობისა და მატერიალური რესურსის ჩამონათვალს, რაც უნდა იქნას გამოყენებული მოდულების განხორციელებისას. აღნიშნული ჩამონათვალი სრულ შესაბამისობაშია „სასტუმრო,



PDF Eraser Free
რესტორანი და კვების“ ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სარეკომენდაციო და აუცილებელ აღჭურვილობასა და საგანმანათლებლო რესურსებთან თითოეული მოდულის შესაბამისად. ინტეგრირებული მოდულებისთვის დამტკიცებული საგანმანათლებლო რესურსებიც სრულ შესაბამისობაშია განათლების და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 19 აგვისტოს 170/ნ ბრძანებით დამტიცებული ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის აუცილებელი აღჭურვილობების ჩამონათვალთან. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

5. სასტუმრო მომსახურების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ერთ არჩევით მოდულს-ბარის ორგანიზებას. პროგრამის ხელმძღვანელის დასაბუთებით, აღნიშნული არჩევითი მოდული გამოადგება სტუდენტს მომავალ საქმიანობაში, რადგან სასტუმრო მოიცავს ბარის მომსახურებასაც. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.**

6. კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის 2020 წლის 20 მაისის #01-04/66 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ მეხუთე მუხლის მეოთხე პუნქტით განსაზღვრულია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 18 აგვისტოს N01-04/107 ბრძანებით დამტკიცებულია „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

7. პროგრამის „სასტუმრო მომსახურების“ სახელწოდება და შესაბამისი სწავლის შედეგები: განახორციელოს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურა; უზრუნველყოს დასუფთავების მომსახურება; შეასრულოს სასტუმროს შიდა, მარტივი მარკეტინგული საქმიანობა; უზრუნველყოს სასტუმროს უსაფრთხოების წესების დანერგვა; სასტუმროში მართოს პრობლემური სიტუაციები;.აკონტროლოს ცვლების მონაცვლეობა; უზრუნველყოს სასტუმროს ძირითადი და დამატებითი მომსახურებების მიწოდება, შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ კვალიფიკაციას. **ექსპერტთა აზრით, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯღამე

ალექსანდრე კეკენაძე

თამარ ანალაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაბოშვილი

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

8. პროგრამა ცვლილება შესულია კოლეჯის 2021 წლის 20 მაისის N01-04/66 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. იგი ეფუძნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის N656 ბრძანებით (ცვლილება - 2019 წლის 25 სექტემბერი N 882/ი) დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს (ჩარჩო დოკუმენტს) - ,,სასტუმრო, რესტორანი და კვება“ და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანება „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. შესაბამისად, მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ 8 იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც ვერ დაადასტურეს ქართული ენის ცოდნა პროგრამაზე შერჩევის პროცესში. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. აღნიშნული პირებისათვის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. მათ შორის, 15 კრედიტი განკუთვნილია ,,ქართული ენა A2” მოდულის და 15 კრედიტი ,,ქართული ენა“ B1 სწავლებისათვის. **ექსპერტთა შეჯამებით, პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ✓ კოლეჯის მისია და ხედვა ;
- ✓ სტრატეგიული გავითარების გეგმა(2019-2025) ;
- ✓ პროგრამის დამატების დასაბუთების დოკუმენტი;
- ✓ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია ;



PDF Eraser Free

✓ საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურების“ სასწავლო გეგმა ;

✓ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“;

✓ ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;



PDF Eraser Free

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და ვიზუალური დათვალიერების, ასევე შესაბამის პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „სასტუმრო მომსახურება“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (80 პროფესიული სტუდენტი - აქედან, 20 დუალური ფორმით და 60 მოდულური ფორმით (მათ შორის 45 ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით). მოდულური სწავლების მოდულებში მითითებული სწავლის შედეგების მიღწევა დაგეგმილია დაწესებულებაში, თავისივე მატერიალური რესურსებით, რომელთა ფლობა დასტურდება როგორც შესყიდვის აქტებით, ასევე დათვალიერების შედეგად. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული შეთანხმებების თანახმად იკვეთება პრაქტიკის ობიექტების მზაობა პროგრამაში მოცემული მოდულების შედეგების მიღწევაში, თუმცა პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების და მოდულების გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ პრაქტიკის ობიექტებთან მხოლოდ ახორციელებს ვიზიტებს გაცნობითი პრაქტიკის მოდულის ფარგლებში სასტუმროს სპეციფიკისა და სერვისების შესახებ ინფორმაციის გაცნობის მიზნით. ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს შემდეგ პრაქტიკის ობიექტებთან: შპს „შატო კვირიკე“ 12.11.2021 თარიღით - 2028 წლის 30 სექტემბრამდე ვადით; შპს ჭყონია და კომპანიასთან „სასტუმრო ჯორჯია პალასი“ 24.11.2021 თარიღით - 2028 წლის 30 სექტემბრამდე ვადით; შპს პარაგრაფ შეკვეთილი“ 22.12.2021 თარიღით - 2028 წლის 31 დეკემბრამდე ვადით; და შპს „ტურინვესტი“ 27.12.2021 თარიღით - 2028 წლის 31 დეკემბრამდე ვადით. ხელშეკრულებებში ჩამოთვლილია პროგრამაში მითითებული მოდულები და დეტალურად არის გაწერილი პრაქტიკის ობიექტის მიერ მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა და მისაღწევი შედეგები. ხელშეკრულებებში ასევე მითითებულია შესაბამისი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, რომლის არსებობაც ასევე უნდა



PDF Eraser Free
უზრუნველყოს პრაქტიკის ობიექტმა განსახორციელებელი მოდულის ფარგლებში. ხელშეკრულებაში მითითებული დეტალები ასევე დასტურდება, პრაქტიკის ობიექტზე მოდულის განმახორციელებლებთან და საწარმოს წარმომადგენელთან გასაუბრების შედეგად; ს(ს)იპ კოლეჯს "ახალი ტალღა" მოთხოვნილი მოდულური პროგრამის განსახორციელებლად გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული A და B გარემოები, ასევე C სასტუმრო რამდენიმე სასტუმრო ოთახით, რომლებიც მოცემულია შესაბამისი აღჭურვილობით. 30 პროფესიული სტუდენტის სწავლება დაგეგმილია 2 ცვლაში, შესაბამისად სამივე ტიპის გარემო გათვალისწინებულია ჯგუფში 15 პროფესიულ სტუდენტზე. მითითებული სასწავლო გარემოები გადამოწმდა დათვალიერებისას. კვების ბლოკისთვის გათვალისწინებულია ცალკე ერთი C გარემო შესაბამისი მატერიალური რესურსებით და ლაბორატორია ინტეგრირებული მოდულების პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად, რაც ასევე გადამოწმდა დათვალიერებისას. თუმცა არ არის ზოგიერთი ინვენტარი, რათ გათვალისწინებულია ინტეგრირებული მოდულებისთვის, მათ შორის: სხვადასხვა ზედაპირიანი კაუჭიანი ძელაკი ხახუნის ძალის შესასწავლად, ცეცხლის გამანაწილებელი, ვარვარების ნათურა სადგამით, ელ.წრედის ჩამრთველი, ელექტროძრავის მოდელი(9ვ). ასევე აღჭურვილია სასტუმრო მომსახურების სპეციფიკის C გარემოსთვის დამახასიათებელი მატერიალური აღჭურვილობით: სასტუმროს დახლი, სხვადასხვა დროითი სარტყელის საათები, სამუშაო კომპიუტერი და პრინტერი. სასტუმრო პროგრამა „ოპერა" ჩაწერილია B გარემოს კომპიუტერებში, რა ადგილზე გადამოწმდა. პროგრამის გამტარუნარიანობას ზრდის ის ფაქტორიც, რომ დაწესებულება ოპერირებს ორ ცვლაში. რაც შეეხება დუალური პროგრამას, ის ხორციელდება დუალური მიდგომით. კერძოდ, სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 51,57 % მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში. პროფესიული სტუდენტი სწავლების 1-15 კვირეებში 5 დღე არის კოლეჯში; 16-24 კვირეებში 3 დღე არის კოლეჯში, ხოლო 2 დღე საწარმოში; 25-46 კვირეებში 5 დღე არის საწარმოში; 47-66 კვირეებში 3 დღე არის კოლეჯში, ხოლო 2 დღე საწარმოში; 67-80 კვირეებში 5 დღე არის საწარმოში. გადამოწმდა პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები დუალური მიდგომით დაგეგმილი პროგრამის განხორციელების ფარგლებში, სადაც სამივე პრაქტიკის ობიექტს აქვთ მზაობა მიიღონ - ჯამში 10-10 პროფესიული სტუდენტი, 5-5 სტუდენტი ერთდროულად. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის სრულად უზრუნველყოფილი დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის**



PDF Eraser Free

მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2022 წლის 18 ივლისის #815392 წერილით დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტთან დაკავშირებით და მტკიცებულებები-ფოტომასალა და შესყიდვის აქტები, რითაც დასტურდება, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო ხარვეზის აღმოფხვრა და მფლობელობაში აქვს ინტეგრირებული მოდულებისთვის საჭირო ინვენტარი,მათ შორის: სხვადასხვა ზედაპირიანი კაუჭიანი ძელაკი ხახუნის ძალის შესასწავლად, ცეცხლის გამანაწილებელი, ვარვარების ნათურა სადგამით, ელ.წრედის ჩამრთველი, ელექტროძრავის მოდელი(9ვ).. **შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული ინდიკატორი შეაფასა როგორც სრულად შესაბამისი.**

2. კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამისთვის - „სასტუმრო მომსახურება“- განსაზღვრული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და მათი საათობრივი დატვირთვა. პროგრამის განხორციელების მდგრადობის მიზნით პროგრამაზე განსაზღვრულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 36 პროფესიული განათლების მასწავლებელი რომლებთანაც გაფორმებულია სამუშაო ხელშეკრულებები. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მათი პირადი საქმეები, კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტები და კვირეული საათობრივი დატვირთვა. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სასტუმრო მომსახურების“ განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის პერიოდში შემოწმდა მათი პირადი საქმეები. აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმების და მათთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურების“ განსახორციელებლად, პროფესიული განათლების მასწავლებლები, აყვანილნი არიან დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის საფუძველზე და აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. მათ გავლილი აქვთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და კოლეჯის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დგინდება, რომ ისინი კვლავაც გეგმავენ პროფესიული მასწავლებლების შემდგომ განვითარებას. ინტეგრირებული



PDF Eraser Free

მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ ისინი საფუძვლიანად იცნობენ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ივლისის #48/ნ ბრძანებით განსაზღვრულ შეფასების სისტემას, აქვთ როგორც დარგობრივი, ისე სტუდენტთა შეფასების კომპეტენცია. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ ხელმძღვანელთან გასაუბრებით და პირადი საქმით დადგინდა, რომ იგი მაღალკვალიფიციური კადრია, ჩართული იყო პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის შემუშავების საქმეში და აქტიურად მონაწილეობს მისი განხორციელების, შეფასების და განვითარების მთლიან ციკლში კოორდინაციას უწევს პროფესიული განათლების მასწავლებლების საქმიანობას, პროგრამასთან/მოდულთან დაკავშირებულ ინფორმაციას აწვდის პროფესიულ სტუდენტებს. პროგრამის ხელმძღვანელს წარმოდგენილი აქვს დოკუმენტაცია, რომლითაც უდასტურდება ტურიზმის მენეჯმენტის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. მას აღნიშნულ პროგრამაზე მასწავლებლად მუშაობის 15 წლიანი გამოცდილება აქვს. ჩართული იყო „სასტუმრო მომსახურების„ პროგრამის მოდულების შემუშავების პროცესში, იგი ავტორია „სასტუმრო მომსახურების“ პროგრამის ერთ-ერთი გზამკვლევის. მას გავლილი აქვს ტრენინგები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ (გერმანია, ესტონეთი). გავლილი აქვს საერთაშორისო სასტუმროს მართვის პროგრამის (OPERA) სრული კურსი. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 16 დეკემბრის #04-225 ბრძანებით დამტკიცებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი მტკიცდება ბრძანებით და განსაზღვრულია პროგრამის ავტორიზაციის ვადით. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

5. დაწესებულებამ ექსპერტებს წარმოგვიდგინა და დაგვათვალიერებინა კოლეჯის ბიბლიოთეკა. შერჩევითობის პრინციპით, დავათვალიერეთ პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი და როგორც აღმოჩნდა დაწესებულებას ბიბლიოთეკაში აქვს საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი (CD დისკზე ჩაწერილი) და მატერიალური სახით, რომლებიც ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. ნაწილი წარმოდგენილია

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯღამე

ალექსანდრე კეკენაძე

თამარ ანალაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაბოშვილი

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

RDF Eraser Free
ბიბლიოთეკაში ფიზიკური სახით, ხოლო ნაწილი მოცემულია ელექტრონული ვერსიის სახით. მოდულებში მითითებული ელექტრონული ლიტერატურა განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე (https://kpc.ge/library.html) თავისუფალი წვდომის რეჟიმში. სახით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების გამოყენებისთვის კოლეჯის მასწავლებლებს მუდმივად აქვთ განახლებულ აქტებზე წვდომა, რისთვისაც გამოიყენება ოფიციალური ორგანოს- სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (matsne.gov.ge) საკანონმდებლო აქტების საძიებო სისტემა, რაც დასტურდება მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო სასწავლო რესურსებთან. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სსსმ პირთა ასისტენტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ - ერთი ფუნქციაა უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა, ხოლო სსსმ პირთა ასისტენტის ფუნქცია უზრუნველყოს სტუდენტის სამუშაო და სასწავლო მასალის ადაპტირება. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-17 მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალურ გეგმის შედგენისას ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა. **ექსპერტთა შეფასებით, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

7. პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, ხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. პროგრამის ბიუჯეტის გათვლის დროს გათვალისწინებულია რენტაბელობის ზღვარი. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება, დაწესებულებამ განაცხადით წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯღიამე

ალექსანდრე კეკენაძე

თამარ ანანიაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომერიკი

მაგული მეშონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაფარიძე

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- ✓ პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ✓ პროგრამის ბიუჯეტი;
- ✓ სასწავლო პროცესის და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი;
- ✓ ინტერვიუ

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში მოქმედებს დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222(ცვლილება 2021 წლის 29 ნოემბრის N01-04/212) ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“, რომელიც მოიცავს სისტემურობას და ხარისხის კონტროლის ციკლურ სისტემას -„დაგეგმე - განახორციელე-შეამოწმე და განავითარე“. ასევე 2021 წლის 20 მაისის N01-04/66 ბრძანებით



PDF Eraser Free
დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელიც ითვალისწინებს არა მარტო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესებს, არამედ პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმს, პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზს და მასში ცვლილებების განხორციელების წესს და პროცედურებს. პროგრამის შეფასების მიზნით გამოიყენება უკუკავშირის მექანიზმი. შექმნილია კითხვარები, რომლითაც ხდება დამსაქმებლის გამოკითხვა. არსებული მექანიზმი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, სოციალური პარტნიორებისგან, პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების მოსაზრებებს, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას, უახლესი კვლევის შედეგებს. ანალიზის დროს კოლეჯი ითვალისწინებს სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგებსაც. სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების მიმდინარეობას და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

2. სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ დირექტორის 2021 წლის 20 მაისის N01-04/66 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომლის მე-6 და მე-7 მუხლით რეგულირდება პროგრამაში ცვლილებების შეტანა. დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, ცვლილებების ინიციატორი შეიძლება იყოს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაცია და სხვა დაინტერესებულ პირები. ხოლო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებლივი აქტით. „სასტუმრო მომსახურების“ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილება დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯღიაძე

ალექსანდრე კეკენაძე

თამარ ანანიაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაბოშვილი

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

✓ საგანამანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურების“ სასწავლო გეგმა ;

✓ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“;

✓ „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;

✓ ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;



PDF Eraser Free

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას; სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის სავარაუდო კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმაში დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისთვის. კოლეჯში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო გეგმის შესაბამისად, რაც დასტურდება პროფესიულ მასწავლებლებთან და პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრებით. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.**
2. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესი და პირობები“, რომლითაც დაწესებულება არეგულირებს საჭიროების შემთხვევაში დისტანციური სწავლების პროცესს. სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა სწავლის შედეგების მისაღწევად, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ხდება სასწავლო გეგმის მოდიფიცირება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმი. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**
3. „სასტუმრო მომსახურების“ პროგრამა აღჭურვილია ყველა იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით. პროფესიული განათლების მასწავლებლებს სისტემატიურად უტარდებათ ტრენინგები, სწავლებისა და შეფასების საკითხებზე, როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ასევე, კოლეჯის მართვის მენეჯერის ხელმძღვანელობით ტარდება ტრენინგები და საკონსულტაციო შეხვედრები, რაც დასტურდება ცნობებით, სერტიფიკატებითა და ტრენინგებზე დასწრების ფურცლებით. **ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**



PDF Eraser Free

4. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-17 მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურები, რომლელიც ითვალისწინებს როგორც მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას. აღნიშნული მექანიზმი გამოიყენება როგორც სსსმ პროფესიულ სტუდენტთან, ასევე საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის მობილობისას, სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის ,მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**
5. კოლეჯს გაფორმებული აქვს სასწავლო საწარმოებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, რომლებიც ითვალისწინებს მოდულების „გაცნობითი პრაქტიკის“ და „პრაქტიკული პროექტის“ განხორციელების ხელშეწყობას და პანდემიის პირობებში კომპანიები უზრუველყოფენ სხვა მოდულების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასაც საჭიროებიდან გამომდინარე. პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელებისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სხვადასხვა საწარმოებთან და მათი ჩართულობით შემუშავებულია „სწავლის შედეგების განაწილების სქემა“ და „სასაწავლო გეგმა“. ხელშეკრულებით განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგები, მათი მიღწევისა და დადასტურების უზრუნველსაყოფად საჭირო კოორდინაციის საკითხები, პროფესიულ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიები, ასევე, პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რაც პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის ერთ-ერთი საფუძველია. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.**
6. სასწავლო გარემო აღჭურვილია ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში მოქმედებს 24.07.2020 წლის N01-04/124 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (მ.შ. „სასტუმრო მომსახურება“) ლაბორატორიებისთვის შრომის უსაფრთხოების წესი, რომელიც სასწავლო ლაბორატორიაში თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული და რომლის გაცნობასაც პროფესიული სტუდენტები აფიქსირებენ ხელის მოწერით. პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თან განმახორციელებელ დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტებისათვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას. **ექსპერტთა**



PDF Eraser Free

შეფასებით, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ✓ სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესი და პირობები;
- ✓ შრომის უსაფრთხოების წესიინტერვიუ პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოს თანამშრომლობის მიზნებისა და შედეგების შესახებ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



PDF Eraser Free

1. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-14 და მე-14[1] მუხლით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და რაოდენობა და ვადები, ინფორმაცია გამოყენებული ინსტრუმენტის შესახებ - წერილობითი გამოკითხვის დროს, დახურული ტიპის კითხვების გამოყენების შემთხვევაში ინსტრუმენტი შეცვლილია, ხოლო პრაქტიკული დავალებების შემთხვევაში დატოვებულია შეფასების იგივე ინსტრუმენტი განმეორებით გამოცდის დროსაც. მარეგულირებელი წესი მოიცავს ნამუშევრის გასწორებისა და შეფასების ვადებს. შეფასების სისტემა ეფუძნება სანდოობის, ვალიდურობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების წესი მოიცავს ინფორმაციას ინტეგრირებული პროგრამების შეფასების შესახებ, რომელიც მოყვანილია შესაბამისობაში „ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ივლისის #48/ნ ბრძანებასთან. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

2. სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც მოიცავს ვერიფიკაციის პროცესს, რომლის მიზანია შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედაგად შექმნილი მტკიცებულების, შეფასების სისტემის მიმართ ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. აღნიშნული მექანიზმი ეფუძნება ვალიდურობის,სანდოობის, გამჭირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრონციპებს. ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ორგანიზებით, რომელიც განსაზღვრავს ვერიფიკაციის განხორციელების განრიგსა და ვერიფიკატორს ან საჭიროების შემთხვევაში- ვერიფიკაციის ჯგუფს, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის და შეფასების ინსტრუმენტის

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯღიაძე

ალექსანდრე კეკენაძე

თამარ ანანიაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაბოშვილი

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free
შერჩევის პროცედურები. **ექსპერტთა შეფასებით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ბჭარა,ქობულეთი, რუსთაველის №154
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	0
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	0

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯიაძე

ალექსანდრე კეკენაძე

თამარ ანანიაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაფარიძე

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	0
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	82



PDF Eraser Free

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯიბაძე

ალექსანდრე კეკენაძე

თამარ ანანიაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომერიკი

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაფარიძე

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;



PDF Eraser Free

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ივნისის # 01-04/84 ბრძანებით(ცვლილება 20.04.2021 წელი ბრძანება N01-04/53) დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომლის მეორე მუხლის პირველი და მეორე პუნქტით განსაზღვრულია, რომ პროგრამის დასამატებლად საჭიროა ინიცირება, რომლის საფუძველზეც კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი მოიპოვებს ინფორმაციას და წარმოადგენს პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას. ამავე დოკუმენტით არის განსაზღვრული ის ჩამონათვალი, რასაც უნდა ეყრდნობოდეს პროგრამის დასაბუთება. „ჰაერის კონდიცირება“ საგანმანათლებლო პროგრამაც ეფუძნება შესაბამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას და ეყრდნობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს 2022 წლის 27 იანვრის # 01-1813 წერილს და საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობისა და პროფესიული კვალიფიკაციების მოთხოვნა - მიწოდების შესაბამისობა ანგარიშს. დაწესებულებას მიზანშეწონილობის დოკუმენტში განხილული აქვს პროგრამის დამატებისთვის საჭირო ყველა აუცილებელი საკითხი. დაწესებულება ახორციელებს მრავალპროფილურ პროგრამებს, მოცემული პროგრამის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება თანხმობაშია კოლეჯის მისიასთან და პროგრამის ხელახალი ავტორიზაცია განსაზღვრულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმით სხვა 32 პროგრამასთან ერთად. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**
2. „ჰაერის კონდიცირების“ მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღრულია სრული ზოგადი განათლება. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 23



PDF Eraser Free

აგვისტოს №01-04/128 ბრძანებით დამტკიცებულია „საჯარო სამართლის იურიდიულ პირი კოლეჯი „ახალი ტალღის“ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე“ აპლიკანტის ჩარიცხვის წესი“, რაც წინააღმდეგობაში არ მოდის „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის # 42/ნ ბრძანებასთან. ჩარიცხვის წესის მე-7 მუხლით განსაზღვრულია აპლიკანტის შეფასება პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

3. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ რომელიც დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ დირექტორის მ/შ 2022 წლის 14 იანვრის #01-04/06 ბრძანებით, კერძოდ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება შემდეგი გარემოებები: 1) A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; 2) B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა, 3) C სასწავლო გარემოსთან მიმართებაში გათვალისწინებულია ფართი ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად (არსებობის შემთხვევაში) და რესურსი პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით; 4) დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება, პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის, სხვადასხვა ცვლებში მუშაობის რეჟიმის გათვალისწინებით; 5) კვოტის განსაზღვრის დროს გაითვალისწინება პროგრამისათვის გამოყოფილი სასწავლო გარემოს ოდენობა. რაც მეტია გარემო, მით მეტია პროფესიულ სტუდენტთა გამტარიანობა; 6) კვოტის განსაზღვრის დროს ძირითად შემზღუდავ ფაქტორს წარმოადგენს სასწავლო გარემოს ფართი. ის უნდა აკმაყოფილებდეს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. რამდენიმე გარემოს არსებობის შემთხვევაში კვოტა ეყრდნობა ყველაზე მცირე მოცულობის ფართს, შესაბამისი აღჭურვილობის გათვალისწინებით; 7) ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობის შესაბამისად, ყველა გარემოს რესურსიდან უმცირესის გათვალისწინებით.

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯღიაძე

ალექსანდრე კეკენაძე

თამარ ანალაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაბოშვილი

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free
მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაანგარიშება ხდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი, მიმდინარე წელს მისაღები სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით.

ექსპერტთა შეფასებით, პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

ექსპერტთა რეკომენდაციაა, გადაიხედოს და გასწორდეს „სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთება“ (ჩანაწერი - „ჰაერის კონდიცირება“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ A - გარემო და C - გარემო) და თვითშეფასების ანგარიში (ჩანაწერი პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია A/C სასწავლო გარემო), რადგან პროგრამა ითვალისწინებს B - გარემოსაც - მოდულის „ინფორმაციული წიგნიერება 1“ განხორციელებისათვის. ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებაშიც გათვალისწინებულ იქნეს B - გარემო.

4. „ჰაერის კონდიცირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა მოიცავს იმ აღჭურვილობისა და მატერიალური რესურსის ჩამონათვალს, რაც უნდა იქნას გამოყენებული მოდულების განხორციელებისას. აღნიშნული ჩამონათვალი სრულ შესაბამისობაშია „ჰაერის კონდიცირების“ ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სარეკომენდაციო და აუცილებელ აღჭურვილობასა და საგანმანათლებლო რესურსებთან თითოეული მოდულის შესაბამისად. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

5. **პროგრამა არჩევით მოდულს არ ითვალისწინებს.**

6. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 20 მაისის N01-04/66 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი - კოლეჯის დირექტორი, რომლის 2018 წლის 1 თებერვლის წლის N 01-04/10 (ბოლო ცვლილება 21.01.2022 წლის N01-04/08) ბრძანებით დამტკიცებულია „ჰაერის კონდიცირება“ საგანმანათლებლო პროგრამა. **შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯიაძე
ალექსანდრე კეკენაძე
თამარ ანალაძე
ნინო მოწყობილი
გიორგი ნაბეიშვილი
მამუკა ხომტარია
მაგული მეპონია
ნატალია ბარათელი
მაკო ჯაფარიძე
ნინო ბოკუჩავა
დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

7. „ჰაერის კონდიცირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები: დაგეგმოს ჰაერის კონდიცირების სისტემის სამუშაოები; მომსახურება გაუწიოს და დაამონტაჟოს „სპლიტ“ სისტემის ჰაერის კონდიციონერი; მომსახურება გაუწიოს და დაამონტაჟოს პირდაპირი და არაპირდაპირი ჰაერის კონდიცირების სისტემები; მომსახურება გაუწიოს და დაამონტაჟოს ვარიაციული გაგრილების ჰაერის კონდიცირების სისტემებს; მომსახურება გაუწიოს და დაამონტაჟოს ვენტილაციის მექანიკური სისტემები; მომსახურება გაუწიოს და დაამონტაჟოს ვენტილაციის ელექტრული სისტემები... სრულ შესაბამისობაშია პროგრამის სახელწოდებასთან. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

8. პროგრამა შემუშავებულია 2021 წლის 20 მაისის N01-04/66 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. იგი ეფუძნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის №656 ბრძანებით დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტს ,, ჰაერის კონდიცირება“ რომელშიც ცვლილებები შევიდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 5 ივნისის N 458 ბრძანებით; 2019 წლის 31 იანვარი N 80/ი ბრძანებით;2019 წლის 25 სექტემბრის N 882/ი ბრძანებით პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. მოდელების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულები (A2; B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. შესაბამისად, მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც ვერ დაადასტურეს ქართული ენის ცოდნა პროგრამაზე შერჩევის პროცესში. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. . პროგრამას ემატება ქართული ენის მოდული (A2 -15 კრედიტი; B1 -15 კრედიტი). **ექსპერტთა აზრით, პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ კოლეჯის მისია და ხედვა ;
- ✓ სტრატეგიული გავითარების გეგმა(2019-2025) ;

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები:
ნიკა ჯიაძე
ალექსანდრე კეკენაძე
თამარ ანალაძე
ნინო მოწყობილი
გიორგი ნაბეიშვილი
მამუკა ხომტარია
მაგული მეპონია
ნატალია ბარათელი
მაკო ჯაოშვილი
ნინო ბოკუჩავა
დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

- ✓ პროგრამის დამატების დასაბუთების დოკუმენტი;
- ✓ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია ;
- ✓ საგანამანათლებლო პროგრამა „ჰაერის კონდიცირების“ სასწავლო გეგმა ;
- ✓ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“;
- ✓ ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯიბაძე

ალექსანდრე კუკუნაძე

თამარ ანანიაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაფარიძე

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამით გათვალისწინებული რეკომენდირებული მატერიალური რსეურსი და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. „ჰაერის კონდიცირება“ ძირითადი პროფესიული 11 მოდულიდან მხოლოდ 6 მოდული („სპლიტ“ სისტემის ჰაერის კონდიციონერის სამუშაოები; პირდაპირი და არაპირდაპირი ჰაერის კონდიცირების სისტემების სამუშაოები; ვარიაციული გაგრილების ჰაერის კონდიცირების სისტემების სამუშაოები; ვენტილაციის მექანიკური სისტემების სამუშაოები; ვენტილაციის ელექტრული სისტემების სამუშაოები; გაცივების სისტემების სამუშაოები) ხორციელდება A და C გარემოში ერთად.

ვინაიდან სასწავლო გარემოს C მოდელი მოითხოვს - სასწავლო ფართი არანაკლებ 3 მ2-ისა ერთ სტუდენტზე, შესაბამისად დაწესებულების C გარემო ვერ უზრუნველყოფს 15 პროფესიული სტუდენტის განთავსებას ზემოთ აღნიშნულ ფართზე. C გარემოში არ არის უსაფრთხოების სპეციფიკური ზომებისთვის აუცილებელი ამკრძალავი და გამაფრთხილებელი პლაკატები გამოკრული (ფიზიკურად დაწესებულებას არ აღმოაჩნდა ასეთი პლაკათები), არსებობს უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის ჩატარების აღრიცხვის ჟურნალი, რომელიც არ ფუნქციონირებს. დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულება შპს „თერმორუმი“ (ხელშეკრულება #01-42/37, 03.11.2021 წ.) რომელმაც უნდა უზრუნველყოს 30 პროფესიული სტუდენტისათვის სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის განხორციელება და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მათ შორის, დანართის შესაბამისად პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო



PDF Eraser Free
აღჭურვილობის ხელმისაწვდომობა. ხელშეკრულება ძალაშია 2028 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით. **ექსპერტთა აზრით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2022 წლის 18 ივლისის #815392 წერილით დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტთან დაკავშირებით. დაწესებულებას ასევე წარმოდგენილი ჰქონდა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2022 წლის 18 ივლისის #01-04/137 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმადა მტკიცებულებები-კერძოდ, მე-3 კორპუსის I სართულის გეგმა-ნახაზი და ფოტომასალა. როგორც გეგმა-ნახაზიდან, ასევე ფოტომასალიდან ირკვევა დაწესებულებამ A და C გარემოს შეუცვალა ადგილები, კერძოდ - A გარემო განათავსა მე-3 კორპუსის 103 აუდიტორიაში - 30,8 მ^2 და C გარემო - მე-3 კორპუსის 102 აუდიტორიაში - 45,4 მ^2. როგორც ფოტომასალიდან ჩანს გამოკრული აქვთ უსაფრთხოების სპეციფიკური ზომებისთვის აუცილებელი ამკრძალავი და გამაფრთხილებელი პლაკატები, წარმოდგენილია ასევე უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის ჩატარების აღრიცხვის მოქმედი ჟურნალის დასკანერებული ვერსია. აღნიშნული გეგმა გაწერილია 6 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას, განხორციელების პერიოდს, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიჩნია, რომ 6 თვის ვადაში სავსებით შესაძლებელია გეგმით წარმოდგენილი აქტივობების განხორციელება. **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი მეტწილად არის სტანდარტთან შესაბამისობაში.**

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში მოეწყოს C გარემო მოთხოვნის შესაბამისად- სასწავლო ფართი არანაკლებ 3 მ2-ისა ერთ სტუდენტზე, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისად 15 პროფესიულ სტუდენტისთვის, ორ ცვლაში 30 პროფესიული სტუდენტისთვის.

2. „ჰაერის კონდიცირება“ პროგრამისთვის განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 6 (ექვსი) + 1 (ერთი) ქართული ენის მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 2 (ორი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების



PDF Eraser Free
მასწავლებელთა რაოდენობა და სასწავლო გეგმის თანახმად, მათი საათობრივი კვირეული დატვირთვა, შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. **ექსპერტთა აზრით, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ჰაერის კონდიცირება“ განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა განმახორციელებლების პირადი საქმეები, კვალიფიკაცია, დატვირთვები და ასევე მათი ჩართულობა კოლეჯის სხვა საგანმანათლებლო პროგრამებში. აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმებისა და მათთან გასაუბრების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პროფესიულ მასწავლებელთა განათლება და სამუშაო გამოცდილება, უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციას. აღნიშნული კომპეტენციები მათ უდასტურდებათ შესაბამისი კვალიფიკაციით და/ან მრავალწლიანი პროფესიული/ პედაგოგიური გამოცდილებით და/ან გავლილი ტრენინგებით. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით (16.12.2021 წლის N01-04/225) დამტკიცებულია პროგრამის ხელმძღვანელი და მისი ფუნქცია მოვალეობები. შემოწმებული იქნა მისი პირადი საქმე, რითაც უდასტურდება პროგრამის სწავლების შესაბამისი კვალიფიკაცია, ასევე აქვს პრაქტიკული მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელმა გასაუბრებისას განაცხადა, რომ იგი ჩართული იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და ადაპტირებაში, იცნობს მოდულის სპეციფიკას (ზოგადი, სტანდარტული და დამხმარე ჩანაწერები), შეფასების ფორმების და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაც არაა მისთვის უცხო. ექსპერტთა აზრით, **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სავალდებულო, ზოგადი და არჩევით მოდულებში მითითებული ლიტერატურა. **საგანმანათლებლო პროგრამაში**

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯღიაძე

ალექსანდრე კეკენაძე

თამარ ანანიაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაფარიძე

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სსსმ პირთა ასისტენტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ - ერთი ფუნქციაა უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა, ხოლო სსსმ პირთა ასისტენტის ფუნქცია უზრუნველყოს სტუდენტის სამუშაო და სასწავლო მასალის ადაპტირება, რაც რეალურად დანერგილი პრაქტიკაა კოლეჯში. ამ ეტაპზე პროგრამაზე ასეთი პირები არ ირიცხებიან. **შესაბამისად, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

7. დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამისათვის „ჰაერის კონდიცირება“ შემუშავებული აქვს ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს როგორც შემოსავლების ასევე ხარჯვით ნაწილებს და ბიუჯეტით გაანგარიშებულია პროგრამის რენტაბელობის ზღვარი (12). სწავლება ფინანსდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. პროგრამა ფინანსდება ვაუჩერულად. კოლეჯს შემუშავებული აქვს პროგრამის ბიუჯეტი. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;
- ✓ განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი და მათი პირადი საქმეები
- ✓ პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის აქტი, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქციები
- ✓ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ✓ პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსები;
- ✓ პროგრამის ბიუჯეტი.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

თავმჯდომარე:		ნინო ვასაძე
წევრები:		ნიკა ჯღამე
		ალექსანდრე კეკენაძე
		თამარ ანალაძე
		ნინო მოწყობილი
		გიორგი ნაბეიშვილი
		მამუკა ხომტარია
		მაგული მეპონია
		ნატალია ბარათელი
		მაკო ჯაბოშვილი
		ნინო ბოკუჩავა
		დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ქლიაძე

ალექსანდრე კვანტალიანი

თამარ ანანიაშვილი

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეღლავი

მამუკა ხომერიკი

მაგული მებონია

ნატალია ბარამიძე

მაკო ჭკონდიდელი

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კოლეჯში მოქმედებს დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222(ცვლილება 2021 წლის 29 ნოემბრის N01-04/212) ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“, რომელიც მოიცავს სისტემურობას და ხარისხის კონტროლის ციკლურ სისტემას -„დაგეგმე - განახორციელე-შეამოწმე და განავითარე“. ასევე 2021 წლის 20 მაისის N01-04/66 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელიც ითვალისწინებს არა მარტო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესებს, არამედ პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმს, პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზს და მასში ცვლილებების განხორციელების წესს და პროცედურებს. პროგრამის შეფასების მიზნით გამოიყენება უკუკავშირის მექანიზმი. შექმნილია კითხვარები, რომლითაც ხდება დამსაქმებლის გამოკითხვა. არსებული მექანიზმი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, სოციალური პარტნიორებისგან, პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების მოსაზრებებს, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას, უახლესი კვლევის შედეგებს. ანალიზის დროს კოლეჯი ითვალისწინებს სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგებსაც. სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების მიმდინარეობას და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების,



PDF Eraser Free
განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

2. სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ დირექტორის 2021 წლის 20 მაისის N01-04/66 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომლის მე-6 და მე-7 მუხლით რეგულირდება პროგრამაში ცვლილებების შეტანა. დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, ცვლილებების ინიციატორი შეიძლება იყოს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაცია და სხვა დაინტერესებულ პირები. ხოლო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებლივი აქტით. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ საგანამანათლებლო პროგრამა „ჰაერის კონდიცირების“ სასწავლო გეგმა ;
- ✓ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“;
- ✓ „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;
- ✓ ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯიაძე
ალექსანდრე კეკენაძე
თამარ ანანიაძე
ნინო მოწყობილი
გიორგი ნაბეიშვილი
მამუკა ხომტარია
მაგული მებონია
ნატალია ბარათელი
მაკო ჯაფარიძე
ნინო ბოკუჩავა
დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „ჰაერის კონდიცირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას; სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის სავარაუდო კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმაში დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისთვის. კოლეჯში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო გეგმის შესაბამისად, რაც დასტურდება პროფესიულ მასწავლებლებთან და პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრებით. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.**
2. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესი და პირობები“, რომლითაც დაწესებულება არეგულირებს საჭიროების შემთხვევაში დისტანციური სწავლების პროცესს. სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა



PDF Eraser Free

სწავლის შედეგების მისაღწევად, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ხდება სასწავლო გეგმის მოდიფიცირება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმი. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**

3. პროგრამა აღჭურვილია ყველა იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით. პროფესიული განათლების მასწავლებლებს სისტემატიურად უტარდებათ ტრენინგები, სწავლებისა და შეფასების საკითხებზე, როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ასევე, კოლეჯის მართვის მენეჯერის ხემძღვანელობით ტარდება ტრენინგები და საკონსულტაციო შეხვედრები, რაც დასტურდება ცნობებით, სერტიფიკატებითა და ტრენინგებზე დასწრების ფურცლებით. **ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

4. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-17 მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურები, რომელიც ითვალისწინებს როგორც მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას . აღნიშნული მექანიზმი გამოიყენება როგორც სსსმ პროფესიულ სტუდენტთან, ასევე საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის მობილობისას, სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის ,მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

5. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შპს „თერმორუმთან“, სადაც ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების პრაქტიკული კომპონენტების ნაწილი.

6. ექსპერტთა შეფასებით სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. ექსპერტთა შეფასებით C გარემოში მოთავსებულია პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთი, ცეცხლმაქრი. გაკრულია მუშაობისა და უსაფრთხოების დაცვის წესები, <u>არ არის გამოკრული ამკრძალავი და გამაფრთხილებელი პლაკატები.</u> დაწესებულების შენობა არის უსაფრთხო, კოლეჯ „ახალი ტალღა“ რეგულირების წესით განსაზღვრულია უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები.

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯიაძე

ალექსანდრე კეკენაძე

თამარ ანალაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაფარიძე

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ექსპერტთა რეკომენდაციაა, გამოიკრას ამკრძალავი და გამაფრთხილებელი პლაკატები C გარემოში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი
- ✓ გაფორმებული ხელშეკრულებები
- ✓ დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი - 24.07.2020 წლის N01-04/124 ბრძანება დამტკიცებული ლაბორატორიებისთვის შრომის უსაფრთხოების წესი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯიაძე
ალექსანდრე კეკენაძე
თამარ ანალაძე
ნინო მოწყობილი
გიორგი ნაბეიშვილი
მამუკა ხომტარია
მაგული მეპონია
ნატალია ბარათელი
მაკო ჯაოშვილი
ნინო ბოკუჩავა
დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-14 და მე-14[1] მუხლით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და რაოდენობა და ვადები, ინფორმაცია გამოყენებული ინსტრუმენტის შესახებ - წერილობითი გამოკითხვის დროს, დახურული ტიპის კითხვების გამოყენების შემთხვევაში ინსტრუმენტი შეცვლილია, ხოლო პრაქტიკული დავალებების შემთხვევაში დატოვებულია შეფასების იგივე ინსტრუმენტი განმეორებით გამოცდის დროსაც. მარეგულირებელი წესი მოიცავს ნამუშევრის გასწორებისა და შეფასების ვადებს. შეფასების სისტემა ეფუძნება სანდოობის, ვალიდურობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების წესი მოიცავს ინფორმაციას ინტეგრირებული პროგრამების შეფასების შესახებ, რომელიც მოყვანილია შესაბამისობაში „ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული



PDF Eraser Free
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ივლისის #48/ნ ბრძანებასთან. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

2. სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც მოიცავს ვერიფიკაციის პროცესს, რომლის მიზანია შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულების, შეფასების სისტემის მიმართ ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. აღნიშნული მექანიზმი ეფუძნება ვალიდურობის,სანდოობის, გამჭირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს. ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ორგანიზებით, რომელიც განსაზღვრავს ვერიფიკაციის განხორციელების განრიგსა და ვერიფიკატორს ან საჭიროების შემთხვევაში- ვერიფიკაციის ჯგუფს, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის და შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურები. **ექსპერტთა შეფასებით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

3. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-14 მუხლის 32-ე ,34-ე და 35-ე პუნქტებით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტთა შეფასების დოკუმენტაციის წარმოების წესი. აღნიშნულ დოკუმენტში მტკიცებულებების შენახვის ვადად განსაზღვრულია სტანდარტის შესაბამისად 3 წელი, მტკიცებულებები იძლევა პიროვნების იდენტიფიცირების შესაძლებლობას. ექსპერტებთან გასაუბრებისას ხარისხის მენეჯერმა აღნიშნა, რომ მონაცემები აღირიცხება რეგულარულად როგორც მატერიალური ისე ელექტრონული სახით. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

4. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესი, რომლის მიხედვით შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება ხორციელდება ინდივიდუალურად, ხოლო პროფესიული სტუდენტის მხრიდან კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაცია ტარდება კონსულტაციის ფორმისა და მითითებული ვადის



PDF Eraser Free

გათვალისწინებით. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისთვის, რაც დასტურდება ასევე განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებითაც. **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- ✓ ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯიბაძე

ალექსანდრე კეკენაძე

თამარ ანანიაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაფარიძე

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

XII. ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში

გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია მხოლოდ იმ პროგრამის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში, "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ივსება თითოეული მილევადი პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

პროგრამის სახელწოდება	კონდიტერია
პროფესიული განათლების დონე	მესამე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კონდიტერიაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქობულეთი, რუსთაველის ქ N154
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	65
სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების	0



PDF Eraser Free

საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე დაფიქსირებული საერთო ფაქტობრივი რაოდენობის ფარგლებში)	

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯიბაძე

ალექსანდრე კვანტალიანი

თამარ ანანიაშვილი

ნინო მოწყობილი

გიორგი ნაბეიშვილი

მამუკა ხომერიკი

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაფარიძე

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

პროგრამის სახელწოდება	კულინარიის ხელოვნება
პროფესიული განათლების დონე	მესამე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქობულეთი, რუსთაველის ქ N154
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური/დუალური
სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	მოდულური- 74 დუალური - 19
სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე დაფიქსირებული საერთო ფაქტობრივი რაოდენობის ფარგლებში)	0

პროგრამის სახელწოდება	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნიკა ჯიაძე

ალექსანდრე კეკენაძე

თამარ ანალაძე

ნინო მოწყობილი

გიორგი ბაბეშვილი

მამუკა ხომტარია

მაგული მებონია

ნატალია ბარათელი

მაკო ჯაოშვილი

ნინო ბოკუჩავა

დავით კუპატაძე

PDF Eraser Free

პროფესიული განათლების დონე	მეხუთე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	112063
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქობულეთი, რუსთაველის ქ N154
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	8
სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე დაფიქსირებული საერთო ფაქტობრივი რაოდენობის ფარგლებში)	0

პროგრამის სახელწოდება	ტუროპერატორი



PDF Eraser Free

პროფესიული განათლების დონე	მეხუთე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ტურიზმის ტუროპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	112062
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქობულეთი, რუსთაველის ქ N154
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	10
სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე დაფიქსირებული საერთო ფაქტობრივი რაოდენობის ფარგლებში)	0

XIII. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

25.07.2022
თარიღი

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები:
ნიკა ჯიბაძე
ალექსანდრე კეკენაძე
თამარ ანალაძე
ნინო მოწყობილი
გიორგი ნაბეიშვილი
მამუკა ხომტარია
მაგული მებონია
ნატალია ბარათელი
მაკო ჯაოშვილი
ნინო ბოკუჩავა
დავით კუპატაძე